# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 მაისი 2000 №92 (1114) | ფასი 50 თეთრი


## უცვლელი შეიცვალა!

უშინ სამტრედიაში ნათამაშევი მორიგი უქლო ფრით თბილისის „დინამომ“ ცვლელი ჩემპიონობა მოვონებად აქცია. ტორპედოს“ გაჩემპიონებამდე, სულ მცირე, ურია დარჩენილი გუშინ „კოლხეთთან“ ამარცხებულ „ვიტ ჯორჯიას“ უთაისელები 5 ქულას უგებენ. მაგრამ უკვე ათელია, „დინამო“ წლეულს უთასოდ. თქროთოდ დარჩა და გამორიცხული არც სა, ევროტურნირთა მიღმაც აღმოჩნდეს.

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 12 ტური

«ა» ზონა

17 მაისი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 6 |
| სიონი | 1 |
| იბერია | 0 |
| დინამო | 0 |
| კოლხეთი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ბათუმი | 4 |
| დილა | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 7 | 3 | 2 | 33:11 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 13:7 | 37 |
| ბათუმი | 12 | 7 | 2 | 3 | 20:8 | 36 |
| დინამო | 12 | 3 | 9 | 0 | 11:3 | 35 |
| კოლხეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:8 | 34 |
| სიონი | 12 | 2 | 1 | 9 | 12:30 | 18 |
| იბერია | 12 | 2 | 2 | 8 | 6:27 | 17 |
| დილა | 12 | 2 | 0 | 10 | 9:27 | 16 |

«ბ» ზონა

17 მაისი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| თსუ | 2 |
| მერანი | 1 |
| სამგურალი | 2 |
| არსენალი | 0 |
| ხობი | 1 |
| გორდა | 4 |
| ლოკომოტივი | 1 |
| თბილისი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 12 | 7 | 4 | 1 | 13:4 | 33 |
| ლოკომოტივი | 12 | 7 | 3 | 2 | 19:4 | 33 |
| თსუ | 12 | 8 | 0 | 4 | 19:11 | 32 |
| გორდა | 12 | 7 | 2 | 3 | 22:8 | 31 |
| სამგურალი | 12 | 6 | 3 | 3 | 13:7 | 27 |
| თბილისი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:24 | 15 |
| არსენალი | 12 | 3 | 0 | 9 | 11:23 | 14 |
| ხობი | 12 | 1 | 0 | 11 | 11:36 | 8 |

ირველი ეტაპის ქულები განახევრებულია „არსენალი“, „თბილისი“ და „ხობი“ მეორე ლიგაში დაქვეითდნენ

## ლუქსემბურგი 92 საქართველო 71

დაუჯერებელია, მაგრამ მწარე სიმართ-ლეს ვერსად გავექცევით. საუკუნეთა მიჯნა-ზე ქართულმა კალათბურთმა საუკუნის სირ-ცხვილი ჭამა — დანიის ქალაქ ვაილეში დაწყე-ბულ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვა-ლიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში სა-ქართველოს ნაკრებმა ისეთი ქვეყნის გუნდ-თან წააგო, რუქას ხეირიანად რომ არ აჭყვია. გუშინვე დანიამ 58:57 მოუგო კვიპროსს, ირ-ლანდიამ კი რუმინეთს აჯობა — 57:51.



REUTERS კომერსანტიდან

თურქული ფეხბურთის ტრიუმფის დღე: „გალათასარაის“ მცველი უმითი უეფას თასით

# დიდი თურქობა

UEFA CUP

გუშინ უეფას თასის ფინალში ინგლისური „არსენალის“ პენალტებით დამმარცხებელი „გალათასარაის“ მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა, აქამდე მართლაც საფეხბურთო ჯოჯოხეთი რომ მოუწყო ნაქებ ინგლისურ, იტალიურ თუ გერმანულ კლუბებს, სამი მობერებული უცხოელითა და ერთგულ-არიფებით თურქეთს პირველი ევროპული თასი აჩუქა.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS კომერსანტიდან

ფათიჰ თერიმი — აწ ყველაზე დიდი თურქი

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი | |
| 17 მაისი | |
| 23.45 საათი | |
| პარკენი | |
| 38 919 (ტევადობა 40 000) | |

**გალათასარაი 0:0 არსენალი**

პენალტებით 4:1

1:0 ერგუნი, 1:0 შუკერი (ძელი), 2:0 ჰაქან შუქური, 2:1 პარლოუ, 3:1 უმითი, 3:1 ვიეირა (ხარიხა), 4:1 პოპესკუ

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (შუკერი 115), ბერხკამპი (კანუ 75), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, პოპესკუ, ბულენთი, უმითი, ჰაჯი, სუათი (აჰმეთი 94), ოქანი (ჰაქან უნსალი 84), ჰაქან შუქური, არიფი (ჰასან შაში 94), ერგუნი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

გაფრთხილება: ოქანი, ბულენთი, ვიეირა, კიოუნი, არიფი, პოპესკუ, კაპონე, ადამსი, ჰასან შაში

გაძევება: ჰაჯი (94)

მსაჯი: ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

# იდგა კაცი, იჯდა კაცი

UEFA CUP

## უეფას თასი. ფინალი



REUTERS კოპენჰაგენიდან

ინგლისელმა ლი დიქსონმა (მარჯვნივ) თურქი უმითი წამოაქცია

ᲘᲓᲒᲐ, მაგრამ რას იდგა — შთაბეჭდილება იქმნებოდა, პენალტიდანაც ვერავინ გაუტანდა. შიშს დიდი თვალები აქვსო და, ჯერ შუკერმა მოარტყა ბურთი ძელს, მერე ვიეირამ. მხოლოდ რეი პარლოუმ, ხუთეულიდან ერთადერთმა ინგლისელმა, შეძლო მის უკან ბადის შერხევა. არც მაშინ მოტყუვდა. უბრალოდ, იდეალური პენალტი იყო და ბურთს ველარ მიწვდა. ამასობაში თანაგუნდელებმა რაც დაარტყეს, ყველა გაიტანეს. ბოლო, გამარჯვებისა, პოპესკუსი იყო. ხუთ წუთში „გალათასარაიმ“ უეფას თასი ჩაიბარა.

მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის დაწყებისთანავე იყო მომენტი, როცა თურქთა ბრაზილიელ მეკარე კლაუდიო ტაფარელს აღარაფრის გაკეთება შეეძლო — ანრის მარცხნიდან ჩაწოდებულმა ბურთმა მასაც გვერდი ჩაუარა და კიოუნის ფეხი მოძებნა. ტაფარელი შორსაა, კარი ცარიელი... კიოუნმა ააცილა.

სხვა შემთხვევებში ტაფარელს ასიდან ერთი შანსი მაინც რჩებოდა. წამოხტებოდა „პარკენზე“ შეკრებილი ინგლისური ფანობა, მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ის ერთი, ბრაზილიელის წყალობით, დანარჩენ 99-ზე მეტი იყო. აბა, სხვაგვარად როგორ გინდა აღწერო ის მომენტი, როცა პარლოუს იდეალურ პასს ტიერი ანრიმ უთავა, თუმცა... არა, ამ კაცის მომრევი გუშინ არავინ იყო.

სანამ ჭკუა არ დაკარგა, ლონდონელებმა ვერც გეორგე ჰაჯის დააკლეს რამე. რაც რომ ამის არსენალში ხრიკებია, ერთი არ დააკლო არსენალელებს, მაგრამ ერთ მშვენიერ წუთზე მასხავით გამოცდილ ადამსს გადაეკიდა ცუდად და ჯაჯგურის შემდეგ ერთიც უთავაზა. სტადიონი, მით უმეტეს მინდორი, ქუჩა არაა და ლოპეს ნიეტომ ხელების ქნევა დანიელ პოლიციელებზე გაცილებით ოპერატიულად აღკვეთა. „გალა“ 10 ლომითღა დარჩა.

აი, ლომებსაც მივადექით. მართლაც, მეტი რაღა უნდა უწოდოს სრულიად თურქეთმა იმ 14 კაცს, გუშინ სამშობლოს არნახული ზეიმი რომ აჩუქა? აბა, ბულენთი, გვარად ქორქმაზი, ლომთალომი არაა? ბევრი გინახავთ, ლამის მთელ ტანზე ბინტშემოხვეულს და ხელშეკრულს ეთამაშოს? მაგრამ ბულენთი კაპიტანია. ის გუშინ მინდორს არ დატოვებდა.

მინდვრის გარეთ კი იდგა ფათიჰ თერიმი, ამათი მომთვინიერებელი. კაცი, რომელმაც საფეხბურთო ჯოჯოხეთი მოუწყო ნაქებ ინგლისურ, იტალიურ თუ გერმანულ კლუბებს. მწვრთნელი, ვინც სამი მობერებული უცხოელითა და ერლუნ-არიფებით თურქეთს პირველი ევროპული თასი აჩუქა.

არ იყო ღირსი „არსენალი“ ამ თასის. მილიონერი ვარსკვლავები ურიგოდ როდი ირჯებოდნენ, ლამის მთელი ჯანიც „პარკენზე“ დატოვეს, მაგრამ მეტოქისგან ის განსხვავებდათ, რომ ეს არ იყო მათი კარიერის უმნიშვნელოვანესი დღე. დიახ, ჩვეულად, სულით და გულით თამაშობდნენ ადამსი და კიოუნი, დიქსონი და საკვირველი გამძლეობის მქონე პარლოუ, მაგრამ ისინი ამას ყოველ თამაშში აკეთებენ — „ლესტერთანაც“ და „ბარსელონასთანაც“. თურქებისთვის კი ეს ძალიან, ძალიან დიდი მატჩი გახლდათ...

მეტი სახიფათო მომენტი „არსენალს“ ჰქონდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმსა და დამატებით დროში, სადაც პირველივე გოლზე თამაში მთავრდებოდა. აქ თურქებს ერთადერთი მიზანიღა ჰქონდათ — პენალტებამდე მისვლა, თუმცა ამისთვის არც საკუთარ კარს მიჯაჭვულან და არც სიმენის შეწუხებაზე უთქვამთ უარი. ძალიან კი ნერვიულობდნენ — მარტო პირველი ტაიმის ბოლოს მეკარესთან პირისპირ დარჩენილი არიფის უხეიროდ დარტყმულის გახსენება კმარა. მაგრამ, ეს მხოლოდ შეტევის ბოლო ფაზაში იგრძნობოდა, როცა ასე ახლოს, ძალიან ახლოს ხარ მიზანთან.

პენალტები კი ისე შეასრულეს, კაცი იფიქრებდა, ამათზე ცივსისხლიანი ქვეყნად აღარავინ დარჩენილაო.

... იჯდა კაცი და გუშინდელ მატჩზე ფიქრობდა. ოდენ ფიქრობდა, რადგან ტელევიზორი არ ჰქონდა და ფინალს ვერ უყურებდა. ეს კაცი კიდევ დიდხანს იჯდება, რადგან 30 ათასი თურქის მკვლელობის ბრალდებით სიკვდილი აქვს მისჯილი.

იჯდა სიკვდილმისჯილი კაცი და უხაროდა, რადგან „გალათასარაი“ მისი საყვარელი გუნდია.

ეს კაცი ქურთი მუსტაფა ოჯალანია.

ის დღე, როცა მოსისხლე მტერიც კი შენიანი ხდება, შენი დღეა.

**ᲒᲘᲒᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ**



REUTERS კოპენჰაგენიდან

ტაფარელი სიხარულის ნიშნად წუხელაც ისე დაემხო, როგორც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში



REUTERS კოპენჰაგენიდან

დევიდ სიმენმა „არსენალს“ ვერაფერი უშველა: ყველა პენალტი გაუშვა

### მატჩის სტენოგრამა

3 არიფმა საჯარიმოს სიახლოვიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი კიოუნმა აისხლიტა და კუთხურზე გადავიდა.

7 ბერხკამპი თურქების საჯარიმოში შეიჭრა, პოპესკუსა და კაპონეს შორის გაძვრა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოასწრო და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

11 ოვერმარსის კუთხურს ჯერ ვიეირას, შემდეგ ანრის დარტყმები მოჰყვა, მაგრამ ბურთმა ხარიხას გადაუფრინა.

16 ჯარიმა „არსენალის“ კართან. ჰაჯიმ არიფს დაუგორა, ამანაც შეუჩერებლივ მძლავრად დაჰკრა ბურთს, მაგრამ სიმენმა კუთხურზე გადააგდო.

27 არიფის ჩაწოდებულს ჰაქანი მაკრატელათი შეხვდა, თუმცა ბურთი კარს აცდა.

35 „არსენალის“ მრავალსვლიან კომბინაციას „გალათასარაის“ კარის მარცხენა დაბალ კუთხეში ოვერმარსის დარტყმა მოჰყვა, ტაფარელმა ძლივს მოიგერია კუთხურზე.

39 ისევ ოვერმარსის სახიფათო გასროლა შორეულ დაბალ კუთხეში. ბურთი ოდნავ აცდა „გალათასარაის“ კარს.

43 „არსენალის“ მცველებს თამაშგარე ეგონათ და არიფი სიმენს პირისპირ შეატოვეს, მაგრამ თურქმა ბურთი კარს ააცილა.

48 „არსენალს“ საჯარიმოში კიოუნი ფეხებში ჩაუვარდა ჰაქანს, ამ უკანასკნელმა მაინც მოასწრო დარტყმა, ბურთი ძელს მოხვდა.

49 ანრი მარცხნიდან შეიჭრა თურქთა საჯარიმოში, კარგადაც ჩაანოდა კარის გასწვრივ, მაგრამ კიოუნმა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, ბურთი ხარიხას გადააცილა.

64 ანრიმ ბიულენთს მისსავე საჯარიმოსთან ბურთი მოჰპარა, მაგრამ დარტყმა უხეირო გამოუვიდა.

66 ოვერმარსის ჩაწოდებულ ბურთს პარლოუმ შეუჩერებლივ მეტოქის კარისკენ მისცა მიმართულება, მაგრამ ააცილა.

83 ჰაკანმა „არსენალის“ საჯარიმოში მოედნის სიღრმიდან მიიღო პასი, კიოუნიც მოატყუა, მაგრამ სიმენმა ივაჟკაცა და მისი დარტყმული გააუვნებლა.

101 ანრიმ ოვერმარსს ჩინებული პასი მისცა, მაგრამ ჰოლანდიელმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა.

108 ანრის თავურს ტაფარელი სასწაულით იგერიებს.

112 კანუ ახლოდან ორჯერ ურტყამს მეტოქის კარში, ტაფარელი ორივეს იღებს.

# სტამბოლი გაგიჟდა

ᲬᲣᲮᲔᲚ კოპენჰაგენში თამაშის დამთავრებისთანავე სტამბოლი სიხარულის სიგიჟემ მოიცვა. პატრიოტული სიმღერები, დოლთა დაუსრულებელი ბრახუნი, მაშხალები, დროშები და სხვა მრავალი საზეიმო ატრიბუტი მთელი ღამე არ მოსცილებია ბოსფორის სრუტეზე გადაჭიმულ ქალაქს.

„ინგლისელებს ისედაც მთელი მსოფლიო იცნობს, ჩვენ კი თურქები ვართ და გავაცნობთ თუ არა პლანეტას თავს, ძალიან მნიშვნელოვანია. ყველამ უნდა ნახოს, რისი შემძლენიც ვართ“ — განუცხადა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს მავანმა ბედნიერმა ახალგაზრდამ, გულთექინ ულუქმა.

ცენტრალურ მოედანზე ათასობით ადამიანი ადევნებდა თვალს „გალათასარაისა“ და „არსენალის“ შეხვედრის პირდაპირ ტრანსლაციას.

წუხელ სტამბოლური შუღლიც კი მეორე პლანზე გადავიდა.

„მე „ფენერბაჰჩეს“ ქომაგი ვარ, მაგრამ ძალიან მიხარია“ — თქვა არცთუ ახალგაზრდა კაცმა, რომლის საყვარელი კლუბიც ბოსფორსგაღმა, ქალაქის ეგრეთ წოდებულ აზიურ ნაწილში ბუდობს.

ზეიმმა მოიცვა თურქეთის დედაქალაქი ანკარაც. ხალხი იქაც ქუჩებში გამოეფინა ეროვნული დროშების ფრიალითა და ნაღარით. ასეთივე სურათი იყო სხვა ქალაქებშიც.

„ეს ბიჭები მთელი ქვეყნის სიამაყე გახლავან“ — ამბობდა ანკარელი, რომელიც მთავარ მოედანზე ქათმებს წვავდა და ყიდდა — „გალათასარაი“ მხოლოდ ერთია“.

საერთოდ, თურქეთში ზეიმის დროს წესად ტყვიის სროლაა მიღებული, ამჯერადაც ასე იყო, მაგრამ წინასწარი მონაცემების თანახმად არავინ და არაფერი დაშავებულა.

სტამბოლის ცა მწვანე ლაზერულმა პროჟექტორებმა გაანათა. ეროვნული ტელევიზია ეკრანზე აციმციმებდა სიტყვებს: „თასი თურქეთშია“ და „გმადლობთ, „გალათასარაი“.

# ამბავი დანებისა დანიაში

## აგრეთვე ბოთლებისა, ჭიქებისა, ჭრისა, თავპირისმტვრევისა და ველოსიპედისაც კი



დანიური „რეკორდი“: შემაგინა და არ მესროლა?!




ინგლისური კლასიკა. ფანი პოლიციელთა ესკორტით

იყო და არა იყო რა, არის თავი-
თვის ერთი წყნარი ქვეყანა, სა-
ლად დანია. იქ ვიკინგთა შთა-
მავლები ცხოვრობენ. ადრე ეს
ლხი სხვას სცემდა შიშის ზარს,
გრამ ბევრი იფიქრეს თუ დრომ
იტანა, ახლა, როგორც წესი,
ნიელები ქუჩაში დანის გარე-
ც მიმოდიან. არც ლუდის ბო-
ლი და კათხა ეცემათ თავზე. მით
ეტეს, ველოსიპედი. მაგრამ
თ მშვენიერ დღეს დანიის დე-
ქალაქმა ფეხბურთში უეფას
სის ფინალის ჩატარება განიზ-
ხა. მიიღ- კიდეც დასტური...
ფინალის ჩატარების დღეც და-
გა და თუმ- დანიურმა პოლი-
ამ რალაც -უმანა და XX საუ-
ნეში ყველაზე დიდი ოპერაცი-
თვის მთელი შემადგენლობის
ხუთედი (სულ 2000 კაცი) გაამ-
სა, კოპენჰაგენის ბრძოლა მა-
ც შედგა.

### ბახის კამერული ათი კაცისთვის

საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა — 17 მაისი დადგაო — და დაიწყო.

არადა, აქამდე ყველაფერი უჩვეულოდ წყნარად და მეგობრულად ვითარდებოდა. „არსენალისა“ და „გალათასარაის“ გულშემატკივრები ერთმანეთს სალამს არ აყვედრიდნენ. ეს კი არა, ალაგ-ალაგ, წარმატებას გისურვებთო, გაიგებდით. მერე 50-ოდე ინგლისელი რადჰუსპლადსენზე მდებარე ერთ რესტორანში მოკალათდა და სმა გააჩაღა. გარშემო ხუთჯერ მეტი თურქი მოგროვდა... იმ რესტორნის ოფიციანტის თქმით, ერთმა ლონდონელმა თურქებს, დანებს რომ უტრიალებდნენ მეტოქეთ, ლუდის ბოთლი ესროლა.

შვიდი კაცი — ოთხი ინგლისელი და სამი თურქი — საავადმყოფოში მოხვდა. ბოთლებს და ლუდის მასიურ კათხებს მოჩხუბრებმა ადგილობრივი მოსახლეობის ველოსიპედებიც მიაყოლეს. აზიელებმა დანებიც გახსნეს და თუ „ლიდსის“ ორი გულშემატკივრის გზას „არსენალის“ ერთი ფანიც არ დაადგა, უბრალო შემთხვევის წყალობაა — ჭრილობა სასიკვდილო არ გამოდგა. ეგ იყო, დაჭრილი ლამის სისხლისგან დაიცალა, ვინაიდან სასწრაფომ მხოლოდ 13 წუთის მერე მოახერხა ადგილზე მიღწევა.

და პოლიცია? „ეს რა დაქლიავებული პოლიციელები ჰყოლიათ. იდგნენ გაკვირვებულები და გვიყურებდნენ“ — ამბობდა ერთი ინგლისელი. „ჩხუბს ნამდვილად არ ვაპირებდით. თურქებმა პროვოკაცია მოგვიწყვეს“ — აღშფოთებულიყო მეორე. ერთს ასეთსაც დაეკითხნენ, ხელის ქნევაში აქამდეც რომ შეუმჩნევიათ: „დიახ, აქ საჩხუბრად ნაღდად არ ჩამოვსულვართ, მაგრამ აწი თავის თავს დააბრალონ. დილით კიდევ 8 ათასი კაცი მოდის ლონდონიდან და თუ ომი უნდათ, მიიღებენ კიდეც“ — იყო პასუხი.

პოლიციამ მხოლოდ ორი საათის შემდეგ შეძლო ბრძოლის შეწყვეტა. „ყველაფერი დამთავრდა, ასეთი რამ აღარ განმეორდება“ — განაცხადა კოპენჰაგენის პოლიციის ერთ-ერთმა თავკაცმა ფინ ბახმა. მისი ინფორმაციით, იმ დროისთვის ჩხუბის 10 მონაწილე იყო დაპატიმრებული: 6 დანიაში მცხოვრები თურქი, ერთი ასევე კოპენჰაგენელი, ოღონდ ინგლისელი და სამიც ლონდონიდან ჩამოსული.

### 11 ასლანი „პარკენზე“

გათენდა. დანიურმა გაზეთებმა მომხდარში თურქები დაადანაშაულეს, თურქულ პრესას კი ამ ამბებისთვის ყურიც არ დაუგდია. „მოიგეთ და თქვენ ძეგლებს დავდგამთ“ — წერდა „ჰურიეთი“. „ერთი მიზანი, 11 ლომი და 65 მილიონი ანთებული გული“ — ასეთია გაზეთ „ფანატიკის“ პირველი გვერდი. ვინ ვის რა ესროლა, ამათ არ აინტერესებთ. „თურქებმა რომ მოიგონ, გულს მოეფონებათ — აწი ნამდვილი ევროპელები ვართო“ — იკბინებიან ინგლისელები.

...კოპენჰაგენში კი პოლიცია დამატებით რაზმებს აეროპორტისკენ აგზავნის. დილის 10 საათიდან შუადღემდე 8 ათასზე მეტი ინგლისელი ჩამოდის. მათთვის ცალკე გამოსასვლელი კეთდება და ყველას საგულდაგულოდ ამოწმებენ.

...სკოტლანდ-იარდი დანიელ კოლეგებს აფრთხილებს, რომ დღის მეორე ნახევარში კოპენჰაგენში გადაფრენას 200 ყველაზე საშიში გულშემატკივარი აპირებს. მას შემდეგ, რაც თურქებმა კაცი დაჭრეს, ლონდონში „ჩელსის“, „ფულემის“, უელსური „სუონსის“ (?), შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ და, ცხადია, „ლიდსის“ ხულიგანი ფანები შეკრებილან და მეთოფეთა დასახმარებლად გამგზავრება გადაუწყვეტიათ. საბედნიეროდ, ამათი ნახევარი ინგლისშივე დააკავეს.

...დღის პირველი საათისთვის ბრძოლები კვლავ განახლდა. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დაპატიმრებულია ორი თურქი.

...მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე კოპენჰაგენის ჰოსპიტალში რვა დაჭრილი მიჰყავთ. ექიმების თქმით, ხუთი მათგანი უმძიმეს დღეშია და არ არის გამორიცხული, რომელიმე დაიღუპოს კიდეც. დაზარალებულთა ვინაობას არავინ იტყობინება. BBC-ის ჟურნალისტის ცნობით,. ერთი მათგანისთვის ყური მოუჭრიათ...




ერთი მიზანი, 11 ლომი და 65 მილიონი ანთებული გული




პირველი ბრძოლის პირველი სისხლი. ფილტვში დაჭრილი ინგლისელი გულშემატკივარი




თავპირისლეწვა ყოველ ფეხის ნაბიჯზე

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
12 ტური

# ტორპედო ჩემპიონი?! ტორპედოელი შტუტგარტში?!



ჰეთ-თრიქის გამტანი და 24 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირი ზურაბ იონანიძე ბოლნისელ მცველთა ალყაში

ქუთაისი
17 მაისი
18 საათი
ტორპედო
8 000 (ტევადობა 20 000)

**ტორპედო 6:1 სიონი**

1:0 ბობოხიძე (13), 2:0 ასათიანი (52), 3:0 იონანიძე (59), 3:1 კ. გოგოლაძე (66), 4:1 იმედაძე (70), 5:1, 6:1 იონანიძე (75, 76)
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი (თავბერიძე 60), მახვილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, ასათიანი, ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი 46), გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (იმედაძე 65), მ. ბობოხიძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ამისულაშვილი
**სიონი:** ვოლკოვი (დალაქიშვილი 54), დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ფ. არჩვაძე (ჩაგელიშვილი 57), ისიანი, ნ. მინდიაშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე, სვანიძე
*სათადარიგონი:* მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

ვერ გამიგია, რატომ, მაგრამ მავანთ „დინამოს" ტახტიდან გადმოგდება და „ტორპედოს" საუკუნის უკანასკნელ ჩემპიონად შესაძლო (რალა შესაძლოო) კურთხევა, ეტყობა, კუჭსაც მაგრად სწვავს და ბოლმითაც ავსებს. რა გაეწყობა, კაცია და ხასიათი. „ტორპედოს" ამით არაფერი აკლდება და საკუთარი სიკარგით (სხვისი სიგლახითაც) სანუკვარი მიზნისკენ მიილტვის.

გუშინ ქუთაისელებმა ერთი ნაბიჯიც გადადგეს მეთერთმეტე ეროვნულის ოქროს მედლებისკენ. მათი „სიონთან" გამარჯვება ოდნავაც არ იწვევდა ეჭვს და ისემც ყველაფერი კარგი აგიხდეთ. „ტორპედოს" უპირატესობა ბოლო რვა შეხვედრაში ერთადერთი ქულის ამღებ მეტოქესთან ანგარიშმაც კარგად ასახა.

მასპინძლებმა თავიდანვე მძლავრად, გაშლილად შეუტიეს და დიდ გასაჭირში ჩააგდეს ბოლნისელები. სხვა რა გზა ჰქონდა, „სიონი" დაცვაში ჩაჯდა, მაგრამ სულ ცამეტ წუთს გაუძლო. გოლს შეიძლება კურიოზულიც ეწოდოს. ბურთი სტუმართა ძელს მოხვდა, იქედან ასხლეტილი ვოლკოვს და ისე შეგორდა კარში.

დაწინაურებულებს არც ამის შემდეგ უღალატიათ შემტევი მანერისათვის, იერიშზე იერიში მიჰქონდათ, თან აქცენტს თავიანთ გოლეადორ იონანიძეზე აკეთებდნენ. ასე იყო და ზურას პირველ ტაიმში იღბალი რომ დაჰყოლოდა, ოთხ გოლს მაინც გაიტანდა. მე-16 წუთზე ტორპედოელის საჯარიმოს გარედან ძლიერად დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა. წუთში მის მიერ ახლოდან დარტყმული თავურიც მცირედით გადაცდა ხარიხას. 27-ე წუთზე ჯანაშიას ბობოხიძე-იონანიძის ლამაზად გათამაშებული კომბინაციაც ამ უკანასკნელის ახლოდან აცილებულმა ჩაფუშა. მე-40 წუთზე იონანიძემ ახვლედიანის ფლანგურ გადაცემას ისევ ახლოდან შეაგება თავური, მაგრამ არც ამჯერად გაუმართლა. ბოლნისელებმა ტაიმის მიწურულს გამოიღეს ხელი და ორჯერ მწვავედაც შეუტიეს მასპინძლებს. მინდიაშვილის მარცხნიდან ჩაწოდებულს „ტორპედოს" საჯარიმოში კახა გოგოლაძე გამოეხმაურა, თუმც თავურს ძალა ვერ დაატანა. ამას უმალ მურმან გოგოლაძის შორეული დარტყმა მოჰყვა, რომელსაც ჭანტურია დაუხვდა ადგილზე.

მეორე ნახევარში დატრიალებული მოვლენების აღწერა შორს წაგვიყვანს და ჩვენც მოკლედ, ვთქვათ. ის, რაც შესვენებამდე დაიკლო, იონანიძემ თამაშის განახლების შემდეგ აინაზღაურა. მეთერთმეტე ეროვნულის სნაიპერმა სამჯერ დალაშქრა „სიონის" კარი და მეტიც შეეძლო.

პირველ გოლამდე ასათიანმა დაგვამახსოვრა თავი დრიბლინგით (იგი სამ მცველს დაუსხლტა) და ეფექტური გოლით. იონანიძის პირველი გოლიდან გოგიაშვილისა და ჯანაშიას ასისტენტობით) შვიდ წუთში ბოლნისელი კახა გოგოლაძის მიერ დაახლოებით 25 მეტრიდან გასროლილზე კარიდან წინ გამოსული ჭანტურია ამაოდ გადახტა. მერე გოგიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა შეასრულა და იმედაძეს გაატანინა. იონანიძის სადუბლო და საჰეთთრიქო გოლებში კი შესაბამისად ასათიანმა და იმავე გოგიაშვილმა დაიდეს წილი. „ტორპედოს" კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ აშკარად დაინდო მეტოქე, ექვსი იკმარა.

გუშინ „ტორპედოს" თავისი კაპიტანი კვეტენაძე აკლდა ტრავმის გამო. კახას ფეხი აწუხებდა. „ტორპედოს" გუშინ გია მეგრელაძეც არ ჰყავდა, ოღონდ სულ სხვა მიზეზით — როგორც მამამისისგან, მერაბ მეგრელაძისგან შევიტყვეთ, გია 15 მაისს გერმანიაში გამგზავრებულა ერთკვირიანი მივლინებით. ტორპედოელი ბუნდესლიგის „შტუტგარტს" მიუწვევია გასინჯვაზე. რა გამოვა ამ საქმიდან? ვნახოთ. ისე, ღმერთმა ქნას...

# ფინალს მივუსწროთ

სენაკი
17 მაისი
17.50 საათი
ემრისი
200 (ტევადობა 3 000)

**ხობი 1:4 გორდა**

0:1, 0:2 ვ. კილასონია (26, 58), 1:2 ვ. ჩიტაია (65), 1:3 კილასონია (69), 1:4 ბაჩილავა (86)
**ხობი:** ნიქაბერიძე, აბაკელია, ჯიქია, ვართაგავა, ოდიშარია, ხურცილავა (დ. ჩიტაია 38), ვ. ჩიტაია, ქაშიბაძე (ლატარია 74), ლ. ბუკია, თ. ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი (მ. ბუკია 46)
*სათადარიგონი:* მ. ტყებუჩავა, დანელია, ბერაია
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, პატარიძე (ბაჩილავა 59), გაბელაია, ბექაური (წიკლაური 87), გ. კილასონია, ვ. კილასონია, ბერიძე, მელაძე (კიტეიშვილი 57), ა. ბუკია, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* გონგაძე; სილაგაძე, მ. სახვაძე
**გაფრთხილება:** ვართაგავა (8)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**პაატა კვანტალიანი სენაკიდან**



ჰეთ-თრიქის გამტანი „გორდას" კაპიტანი ვარლამ კილასონია

მატჩის ინსპექტორმა ორივე გუნდის თხოვნა დააკმაყოფილა და შეხვედრაც დათქმულზე ათი წუთით ადრე დაიწყო. ათი წუთი შეისვენეს გუნდებმა ტაიმებს შორისაც. მიზეზი, მგონი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სტუმრებიც და მსაჯ-ინსპექტორებიც უეფას თასის ფინალის სანახავად მიიჩქაროდნენ. მატჩი კი ვარლამ კილასონიას ბენეფისად იქცა. ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა მეგოლემ და ასევე ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ხობელთა განადგურებაში ლომის წილი დაიდო.

რუსთაველთა უპირატესობა რომ საგრძნობი იყო, ამის დასტურად ერთს გეტყვით, მთელი თამაშის განმავლობაში „ხობმა" სტუმართა კარის მიმართულებით სულ ორჯერ დაარტყა. ამ მხრივ „გორდას" უპირატესობა მართლაც რომ შთამბეჭდავია. მეფოლადეებმა 17-ჯერ მოახვედრეს ბურთი ნიქაბერიძის კარის ჩარჩოში.

შეხვედრის საწყის ხუთწუთეულში „ხობი" შვიდჯერ(!) იხსნა ნიქაბერიძემ. მამუკამ ოთხჯერ ვარლამ კილასონიას არ მისცა გატანის საშუალება, თითოჯერაც მელაძე, პატარიძე და გიორგი კილასონია არ ახეირა.

სანახაობრივად პირველი ნახევარი მართლაც რომ საინტერესო გამოდგა. ეგ არის, მხოლოდ ერთი გუნდი ბატონობდა მოედანზე. რუსთაველები ყველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდნენ მეტოქეს და ეს უპირატესობა ანგარიშშიც აისახა. „გორდამ" ჩვეულ სტილში გაიტანა — კილასონიების ორსვლიანი კომბინაცია ვარლამმა დაასრულა. გიას გამოზომილი პასით მიღებული ბურთი უფროსმა კილასონიამ ეფექტურად შემოატარა კარიდან გამოსულ ნიქაბერიძეს. ტაიმიც ამ ანგარიშით დამთავრდა.

შესვენების შემდეგ „გორდამ" კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა. კილასონიას მეორე გოლი ცალკე აღნიშვნის ღირსია. იგი ტყუპისცალივით ჰგავდა ვან ბასტენის მიერ 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში გატანილ გოლს. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ვარლამმა შეცვლაზე შესული კიტეიშვილის პასი მარცხენა ფლანგზე მიიღო და შეუჩერებელი დარტყმით, მოხდენილად ჩაუსვა ბურთი მეკარეს ცხრიანში.

იასონ ალადაშვილმა ეფექტური შეცვლები განახორციელა. კიტეიშვილიც და ბაჩილავაც აქტიურად ჩაებნენ თამაშში და ლომის წილი დაიდეს ხობელთა განადგურებაში. მანამდე კი მასპინძლებმაც გაიხარეს. მატჩის განმავლობაში მათი მეორე(!) კონტრიერიში ვლადიმერ ჩიტაიას გოლით დასრულდა. ჩიტაიამ გარჯა არ დაუკარგა მოგვარე დავითს და ბედიაშვილს საჯარიმოს მისადგომებიდან აულებელი დაურტყა.

მერე კი გია კილასონიას ჯარიმა იყო. უმცროსმა კილასონიამ საჯარიმოში შეჭრილ ძმას ფეხზე დაასვა ბურთი და ვარლამმაც წლევანდელ ჩემპიონატში ოცდამეერთედ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე.

მატჩს წერტილი ბაჩილავამ დაუსვა. ახალგაზრდა ნახევარმცველმა ვარლამ კილასონიას პასი შეირგო, უშიშრად გაიარა ორ მეურვეს შორის და ეროვნულ პირველობაზე თავისი მეხუთე გოლი გაიტანა. და მაინც, „გორდას" მეხუთე გოლის გატანაც შეეძლო — ბოლოსწინა წუთზე კიტეიშვილმა სამ მცველს შორის გაილაღა და ძლიერად დაარტყა... ნიქაბერიძე საუკეთესო იყო თავისიანთა შორის.

ამ მოგებით სტუმრებმა რჩეულთა რიგებში დარჩენა ფაქტობრივად დაიბევეს. რუსთავის გზაზე დამდგართ მეორე პრობლემა ჰქონდათ გადასაწყვეტი — ჩაასწრებდა „გორდა" ფინალს?

# იმედი, რომელიც ცოცხლობს

წყალტუბო
17 მაისი
18 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:0 არსენალი**

1:0 ხუნდაძე (73), 2:0 ქუთათელაძე (75)
სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, შველიძე, სუხიაშვილი (ნებიერიძე 84), დარსაძე (კაპანაძე 80), გიორგობიანი, ბერაძე, ბაბუნაშვილი, ხუნდაძე (ფუტკარაძე 78), კვერნაძე, ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე, ჭყონია, ვოსკანოვი, ჯანელიძე
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, მ. შუკაკიძე, ხმალაძე (წონკოლაური 75), გ. ტუღუში, ჩალაძე, კაპანაძე
*სათადარიგონი:* წონკოლაური, ქოიავა, ა. კაკაშვილი
გაფრთხილება: ხუნდაძე (77)
გაძევება: ალადაშვილი (58)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალაღურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

კონსტანტინე გოგიშვილი
წყალტუბოდან

მატჩის შემდეგ თითქმის არა-[...]ინ წასულა სტადიონიდან. ყველანი [...]ერაბ მალაღურაძეს და მის მობი-[...]ლურს შესცქეროდნენ. „გორდა" და [...]ისუ, აი, წყალტუბოელთა მთავარი [...]აწუხარი. ისე მოხდა, ორივე მეტო-[...]ქემ გაიმარჯვა და ბევრს ხელიც ჩა-[...]ქნევინა — მოგვიწია ზევით-ქვევით [...]რთხელაც წანწალმაო. თუმც იმედი [...]ჯერაც არის. წინ კიდევ ორი ტურია.

პირველმა ტაიმმა მასპინძელთა აშ-[...]კარა უპირატესობით ჩაიარა. ამის სა-[...]უკეთესო დასტური სტატისტიკაა — „არსენალმა" დარტყმა რაა, ისიც კი [...]ერ გაახერხა. მეტსაც გეტყვით, სულ [...]უთიოლჯერ გადავიდა „სამგურალის" [...]ახევარზე. თბილისელები ინდონეზი-ურ ფეხბურთს თამაშობენო, არმიელთა „ზებეტონის" შემხედვარეს დასცდა ვილაცას და იქვე ახსნაც მოაყოლა — ამა და ამ წელს სსრკ ნაკრები ინდონეზიისას ეთამაშა და „არსენალივით" ინდონეზიელებსაც არ გაუხედავთ მეტოქის კარისკენო.

ახლა „სამგურალის" უპირატესობას რაც შეეხება — მასპინძლები ჩვეულად ცენტრიდან და მარჯვნივ უტევდნენ. ცენტრში მამუკა ხუნდაძე და გიორგობიანი ანაწილებდნენ პასებს. მარჯვნივ სუხიაშვილი აქტიურობდა და სწორედ ამ სამი გამოცდილი ფეხბურთელის წამოწყებული კომბინაციები მთავრდებოდა კუპატაძის კარის დაბომბვით. სულ თხუთმეტჯერ დაურტყეს პირველ ნახევარში ზვიადს, აქედან შვიდი კარის ჩარჩოში წავიდა და სწორედ არმიელთა მეკარის დამსახურებაა, გოლი რომ ვერ გაიტანეს იმერლებმა.

გამოცდილ ფეხბურთელთა თავგამოდება მშვენიერი რამაა, მაგრამ ახალგაზრდა ქუთათელაძის გარჯა მაინც ყველაზე თვალშისაცემი იყო. ამ ბიჭისთვის ცოტა სიმაღლე ვერ გაუმეტებია ბუნებას, თორემ სხვამხრივ არა უშავს რა — სისწრაფე, ალღო, ადგილის შერჩევის უნარი არ აკლია წყალტუბოელთა მეექვსე ნომერს. მიუხედავად ჩია აღნაგობისა, ქუთათელაძე მშვენივრად თამაშობს თავით და იმ ოცდათორმეტი დარტყმულიდან, რაც კი „არსენალის" კარისკენ ან კარში წავიდა, ათიოდე სწორედ მისი თავური იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მას კარგად ეხერხება ბურთის კორპუსით დაფარვა და კარისკენ ზურგშექცეული თამაში... მოკლედ, ქუთათელაძე ნიჭიერი ფეხბურთელია.

პირველი ტაიმი უგოლოდ ჩაამთავრეს გუნდებმა. მეორე ნახევრის სცენარი ტყუპისცალივით ჰგავდა პირველისას უტევდა „სამგურალი", სადაც მოუხდებოდა, ბურთს იქ იგერიებდა არსენალი. დროსტუმრების სახეიროდ მუშაობდა — მასპინძელთა ათასერთ შეტევას თავისი მიჰქონდა და როცა შეხვედრის დამთავრებას დაახლოებით ნახევარი საათი დააკლდა, თვით მშვიდი იასონ ბზიკაძეც წამოიჭრა სამწვრთნელო სკამიდან — ამ მოგებაზე ხომ „სამგურალის" საპირველლიგო იმედი ეკიდა.

იმედი, რომელიც ალადაშვილის გაძევების შემდეგ მეტად რეალური გახდა. არმიელთა მარჯვენა მცველს მთელი სისწრაფით გაქცეული შიო დარსაძე გასცდა და მასაც რაღა დარჩენოდა, მოცელა მეტოქე. ამას ტკივილისგან დაკლაკნილი დარსაძე, კახა მესხის კატეგორიული ჟესტიკულაცია და ალადაშვილისთვის აფრიალებული წითელი ბარათი მოჰყვა.

აბა, ათ არსენალელს რა უნდა გაეწყო ისედაც გაალმასებულ წყალტუბოელთა წინააღმდეგ და მოსახდენიც საათის მეოთხედში მოხდა.

ხუნდაძის გოლი უფრო კურიოზულთა კატეგორიას მიეკუთვნება — კუპატაძემ ბურთი დაახლოებით ორმოც მეტრზე ამოიტანა, თუმც ზედ ხუნდაძეს დაასვა ფეხზე და ბებერმა სამგურალელმაც იცოდა, როგორ მოქცეულიყო ამ მომენტში. მამუკას მიერ დაუხანებლად დარტყმულს ხელი ვერც მცველებმა შეუშალეს, ვერც მეკარემ მოასწრო კარში ჩადგომა და ბურთი დაუცველ კარში ნება-ნება შეგორდა. ქუთათელაძის გოლი ისევ მისსავე თავურს მოჰყვა, კუპატაძემ ერთხელაც მოსწყვიტა გმინვა მაყურებელს, თითქმის აუღებელი დარტყმა მოიგერია, მაგრამ... ბურთს მიწაზე დავარდნა ისევ ქუთათელაძემ არ აცალა და ამჯერად მას ფეხი გაჰკრა. 2:0 და ეს უკვე გამარჯვება იყო. ბოლო წუთები შედარებით აკადემიურად ჩაინავლა. ფეხბურთელები მალიმალ შესცქეროდნენ არბიტრს, მისმა სასტვენმაც არ დაახანა და...

წყალტუბოში იმედი ჯერაც ცოცხლობს.



მერანელი კახაბერ კობესაშვილი (ბურთით) და თსუ-ელი ლევან კვიციანი

# ნეტავ, რა უნდოდა?

მცხეთა
17 მაისი
18 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 2:1 მერანი**

0:1 როსტიაშვილი (30), 1:1 ერაძე (34), 2:1 ადამია (54)
თსუ: გუგუნავა, ებრალიძე, ინწკირველი, სვანაძე, ადამია, წუწუნავა (ახალაძე 81), დეკანოსიძე, მაზიაშვილი (ლობჟანიძე 87), ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* მერლანი, გ. გოცირიძე, ბ. ნოზაძე, ქადაგიძე, თ. ბოკერია
მერანი: ნაჭყეპია, ლურსმანაშვილი, დევიძე, ლ. ამბიძე, კობესაშვილი, ხორხელი, კაკაბაძე (ივანიშვილი 78), ჭინჭარაული, ბოლქვაძე (მელიქია 50), კარიაული, როსტიაშვილი (დავითაშვილი 46)
*სათადარიგონი:* კორომშინაძე, ჯიშკარიანი, კოშკაძე, ლ. თოლორდავა
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. სილაგავა, ო. ხეცაძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

თბილისის „მერანმა" გუშინ მცხეთაში იმდენი ბურთი გაუშვა, რამდენიც მეორე ეტაპზე გამართულ წინა თერთმეტ შეხვედრაში ერთად. ავჭალელებს აქამდე საკუთარ კარში სულ ორი ბურთი მიეღოთ, ორიც გუშინ თსუ-სთან გაუშვეს და წლეულს პირველი მარცხიც იწვნიეს.

„მერანმა" ცუდად ითამაშაო, ვერ ვიტყვით, „არმაზზე" სტუმრები საკმაო ხანს ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, ბურთსაც კარგად იჭერდნენ, თუმცა ეს მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

თსუ-ს წაფორხილების უფლება არ ჰქონდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა ემარჯვა, თორემ შეიძლებოდა, გასავარდნადაც გახდომოდა საქმე. ალბათ ამიტომაც იყო, რომ დებიუტშივე სტუმართა კარისკენ გაიწიეს მასპინძლებმა. დეკანოსიძეს და წუწუნავას საგოლე მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ პირველი ნაჭყეპიამ გააწბილა, მეორეს მიზანმა უმტყუნა.

ამის შემდეგ ავჭალელებიც მოეგნენ გონს, თამაშიც დაალაგეს, თუმც შეტევისთვის [...]ვიათად იცლიდნენ. გოლის გასატანად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. 30-ე წუთზე „მერანმა" ძალიან კარგი კომბინაცია გაითამაშა. ხორხელმა ჭკვიანური პასით კობესაშვილი გაიყვანა გარღვევაზე, რომელმაც კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ ბურთს როსტიაშვილი დახვდა, ერთ დროს თსუ-ს თავდამსხმელსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. გოლამდე წუთით ადრე მასპინძლებს მართებდათ მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ წუწუნავამ ვერ ივარგა, მეკარესთან პირისპირ შეყრილმა დარტყმა იჩქარა და მიზანს ააცილა. თსუ-მ სწრაფად გაათანაბრა. 34-ე წუთზე მასპინძელთა მრავალსვლიანი კომბინაცია ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილმა ერაემ ძლიერი და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. თსუ-ს ასეთი სწრაფი პასუხი მოულოდნელიც იყო, რადგან „მერანს" მეტოქისთვის ბურთი ფაქტობრივად დამალული ჰქონდა. 1:1-ზეც თამაშს ავჭალელები აკონტროლებდნენ, შედეგად კი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კინაღამ მეორე გოლი გაუშვეს. დეკანოსიძემ, რომელიც მინდორზე უდავოდ საუკეთესო იყო (ორივე გუნდში), სვანაძეს გაუთამაშა ბურთი და უეცრად ისეთი მოჭრილი დაარტყა... ბურთი პირდაპირ ცხრიანში მიფრინავდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ რეზო ნაჭყეპია ჰაერში გაიწელა და... ცხრიანიდან გამოაძრო, სწორედ ამაზე ითქმისო, ამბობდნენ „არმაზზე" შეკრებილი ქომაგები შესვენებისას.

მეორე ნახევარი თსუ-მ უკეთ დაიწყო და მალე საწადელსაც მიაღწია. 54-ე წუთზე ნაჭყეპიამ არჩვაძისკენ მოიშორა ბურთი, თსუელმაც თავით მაზიაშვილი მონახა, რომელმაც ადამია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, რეზომ კი სცადა შეცდომის გამოსწორება, მაგრამ ვერაფერს გახდა, ადამიას დარტყმული კარში აღმოჩნდა — 2:1.

აქედან მოყოლებული მატჩის ბოლომდე „მერანს" ორჯერ შეეძლო გათანაბრება — ერთხელ მელიქიამ ვერ შეძლო კარში დარტყმა, მეორედ კი ასევე შეცვლაზე შესულმა დავითაშვილმა გადააცილა კარს. სტუმრებს ვერც ტაქტიკურმა გადაადგილებებმა უშველა. სერგო გაბელაიამ ძველ ხერხს მიმართა, მცველ სოსო დევიძეს შემტევის ფუნქციები დააკისრა, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. „მერანი" კი უტევდა, მაგრამ ტრიბუნიდან ისე ჩანდა, თითქოს მონდომება აკლდა. ისე, სტუმრები უფრო დიდი ანგარიშით წააგებდნენ დეკანოსიძეს და ადამიას მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ორივე მათგანმა თამაშის მიწურულს ასპროცენტიანი შანსი დაკარგა.

„მერანმა" წააგო, თუმც პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნება სერგო გაბელაიას შეგირდებს მაინც არ უნდა გაუჭირდეთ (ბოლო ორ მატჩში ქულაც ჰყოფნით), აი, თსუ-მ კი ამ გამარჯვებით ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა აქეთკენ.

დაბოლოს, ნეტავ, წყალტუბოს „სამგურალის" პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძეს გუშინ „არმაზზე" რა უნდოდა?

# გახსოვდეთ სამტრედია

სამტრედია
17 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 13 000)

**იბერია 0:0 დინამო**

იბერია: ვარდანიძე, ბიწაძე, მუმლაძე, ვ. გიგიაძე, მიქელთაძე, ხურციძე (ლ. ხმალაძე 46), დ. ჯინჭარაძე, კ. ჯანაშია, ს. გიგიაძე (გედენიძე 90), ივეჩიანი, ზ. მეტრეველი (დ. ნოზაძე 46)
*სათადარიგონი:* ჩომახიძე; ოდიკაძე
დინამო: გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, დიდავა, ქემოკლიძე, დათუაძე, სიჭინავა (რუხაძე 75), მონასელიძე, ანჩაბაძე, არველაძე, გ. შენგელია, ვაშაკიძე (სახვაძე 29)
*სათადარიგო:* ჩხეიძე
გაფრთხილება: ქემოკლიძე (27), სახვაძე (75)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე, გ. მარლიაშვილი (ყველა გორი); გ. ასკაროლი (ქარელი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

კობა ინასარიძე სამტრედიიდან

გაჭირვებულს ქვა აღმართში [...]ეწიაო... გუშინ დილაუთენია სამტ-[...]ედიას სულ 14 ფეხბურთელითა და [...]რად ორი მწვრთნელით გამომგზავ-[...]რებულ თბილისის „დინამოს" რიკოთის [...]ელტეხილზე იძულებით გაჩერე-[...]ბა მოუწია. ჩემპიონებს კუთვნილმა „[...]აფის" ავტობუსმა უმტყუნა. კარგა [...]ნის ლოდინის შემდეგ ფეხბურთე-[...]ლებმა „დინამოსვე" მიკროავტობუსით [...]აგრძელეს გზა და ექვსის ნახევა-[...]რი იყო, როცა „ეროსი მანჯგალაძეს" [...]აადგნენ. სასწრაფოდ გასახდელს მი-[...]აშურეს, მაგრამ სწრაფადვე გამობ-[...]რუნდნენ. არც შუქია, არც წყალია, არაფერი ჩანს. ჯობს ავტობუსშივე გამოვიცვალოთო, თქვეს სტუმრებმა და „დაფს" მიაშურეს, რომელიც ძლოლს შეეკეთებინა და სტადიონთან მოეყენებინა.

„დინამომ", მგონი, პირველად ათი წლის განმავლობაში, მატჩის ოქმი ბოლომდე ვერ შეავსო, სათადარიგოდ ჩიმაკაძეს და ჭანტურიას სულ სამი ფეხბურთელი ჰყავდათ, აქედან ერთი მეკარე.

როგორც იქნა, მატჩი დაიწყო. დაიწყო „დინამოს" შეტევებით და ჩემპიონებს ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ, ოც წუთში ორი ბურთით დაწინაურდებოდნენ. შენგელიას ზედიზედ ორი რეალური მომენტი შეექმნა, მაგრამ ჯერ ვარდანიძეს ხელებში ჩაუგდო ახლოდან თავით დარტყმული ბურთი, ხოლო შემდეგ დაახლოებით ხუთი მეტრიდან ააცილა კარს. შვიდ წუთში „დინამოს" ერთხელაც უმუხთლა ბედმა. ვასო გიგიაძემ თავი ბურთსა და ვაშაკიძის თავს ერთდროულად დაარტყა. ბურთი გრიშიკაშვილმა სასწაულებრივად მოიგერია, თბილისელს კი თავი გაუტყდა, საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. ვაშაკიძე სახვაძემ შეცვალა, „დინამოს" დაცვა სამი კაცით დარჩა, სამაგიეროდ, ხუთი ნახევარმცველით.

მიუხედავად ამისა, შვიდი[...]დწუთიან მონაკვეთს თუ არ ჩავთვლით, „დინამოს" უპირატესობა თვალშისაცემი გახლდათ, თუმც ოღროჩოღრო მოედანზე ნორმალური კომბინაციის გათამაშება ძალიან უჭირდათ. ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე „იბერია" კიდევ ერთხელ გადარჩა — შენგელიამ არველაძეს გაუტარა ბურთი, რომლის დარტყმულიც ძელმა აისხლიტა.

მერე ტაიმიც მორჩა და... ერთი სურათიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ორგანიზაციისა — მთელი „დინამო" სათადარიგოთა სკამზე, ტრიბუნის წინ ჩაჯდა და ასე ისმენდა ჩიმაკაძისა და ერთი-ორი მაყურებლის მითითებებს. შესვენებაზევე „დინამოს" ადმინისტრატორმა რომ იკითხა, მატჩის შემდეგ ბიჭებმა შხაპი სად უნდა მიიღონო, სამტრედიის გამგებელმა გაიკვირვა, მე რა ვქნა, ეგ ფეხბურთის ფედერაციას მოჰკითხეთო. ისე კი, მართლაც ფედერაციას უნდა მოეკითხოს ამაზე პასუხი — რატომ ატარებენ ეროვნულის მატჩებს „ეროსი მანჯგალაძის" გაპარტახებულ სტადიონზე? იქნებ გამგებელმა თემურ ყაჭეიშვილმაც თავის ნათქვამში სწორედ ეს იგულისხმა? ძნელი სარწმუნოა.

სიტყვა გაგვიგრძელდა და მეორე ტაიმზე არაფერი გვითქვამს, თუმც საინტერესოც არაფერი მომხდარა. მე-60 წუთზე შენგელიამ ერთი მომენტიც გააცუდა, დათუაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს თავური მიაყოლა და ძელს მოარტყა. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი „იბერიას" ჰქონდა გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი, მაგრამ ნოზაძის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ივეჩიანმა გრიშიკაშვილს ვერ აჯობა.

მატჩის მიწურულს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, სამტრედიელმა ქომაგებმა ერთი-ორჯერ „დინამო, დინამოც" წამოიყვირეს. სიმბოლურია, „დინამომ" ჩემპიონობა პირველად სწორედ სამტრედიაში დაკარგა. გახსოვთ ჩაჩუასა და ხურცილავას დროინდელი „სამტრედია"?

ფოთი
17 მაისი
18 საათი
ფაზისი
3 500 (ტევადობა 6 300)

**კოლხეთი 2:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 ღაღანიძე (33), 2:0 შალამბერიძე (80)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა (ახალკაცი 70), ე. გვასალია, კედელაშვილი, ღაღანიძე (შავგულიძე 82); შალამბერიძე
*სათადარიგოები:* მ. გვასალია; პაპავა, კვირკველია, გ. ჩიტაია, ბურჭულაძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, თოდუა, კობიაშვილი (ზ. გვაზავა 73), საჯაია, ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (დ. დოლიძე 55), ყიფიანი, კოტორაშვილი (ვ. გოჩაშვილი 46), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, დილმელაშვილი, რ. გოცირიძე
**გაფრთხილება:** ყიფიანი (19), შალამბერიძე (20), გოროზია (42), კობიაშვილი (42), მუჯირი (65), დავითნიძე (68)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

# მომილოცეთ დაბადების დღე!

**მამუკა კვანტალიანი** ფოთიდან

**მატჩის** პრინციპულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დაძაბულობა და ინტრიგა წუთითაც არ დამცხრალა. დაპირისპირება რომ მნიშვნელოვანი იყო, ამითაც გამოიხატა: „ფაზისს" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ეწვივნენ.

მატჩამდე ნერვიულობა ორივე გუნდს ეტყობოდა, მაგრამ ამ მხრივ სტუმრები მაინც გამოირჩეოდნენ. ყველაფერი რიგზე რომ ვერ იყო, ვეტერინარებს განსაკუთრებით პირველ ტაიმში ემჩნეოდათ.

„ვიტ ჯორჯიამ" მოთელვის შემდეგ გასახდელიდან გამოსვლა დააგვიანა — ესეც ცუდის ნიშანი იყო.

ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ვიტელთა დაცვას ასე არ უთამაშია. საწყის წუთებში და მერეც შეცდომები თვალშისაცემი იყო.

პირველად ღაღანიძემ აანერვიულა მასპინძლები, 30 მეტრიდან დარტყმული ჯარიმით კინაღამ გოლი რომ გაიტანა. ჭურაძემ ბოლო წამს ძლივს მოიგერია ბურთი, მაგრამ დასწრებაზე გვასალიას რომ ევარგა, ანგარიში გაიხსნებოდა. ელდარმა ნელა დაამატა და ბურთიც ჭურაძის ლუკმა შეიქნა.

გუშინ ზაველ ღაღანიძის დაბადების დღე იყო და აკი მშვენიერი დღეობაც მოიწყო. 33-ე წუთზე მისი გასროლილი ვერავინ და ვერაფერმა შეაჩერა კარის ბადის გარდა.

ისე, ღაღანიძეს ხშირად თუ ექნება სიხარულის მიზეზი, ამით „კოლხეთი" დიდად იხეირებს. (წინა ტურში) ღაღანიძეს ქალიშვილი შეეძინა და ზაველმა ეს მოვლენაც გოლით აღნიშნა.

მთელი პირველი ტაიმი ხისტი, უხეშობის ზღვარზე თამაში იყო. მეტიც, სახიფათო მომენტი არც შექმნილა. სტუმართა იშვიათი შეტევებიდან გიორგი ქორიძის გარღვევას თუ გამოარჩევდა კაცი.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია" უფრო დაწყნარებული ჩანდა. შედარებით მეტსაც უტევდა, მაგრამ ყიფიანის ორივე სახიფათო დარტყმა მიზანს ასცდა.

რაც დრო გადიოდა, თამაში მეტად იძაბებოდა. თითქოს „ვიტ ჯორჯიამაც" იძალა, მაგრამ ჯონი შალამბერიძის ერთმა დარტყმამ მატჩის საბოლოო შედეგი ნათელი გახადა.

„კოლხეთის" მორიგი შეტევა კუთხურით დამთავრდა. იქიდან გათამაშებული ბურთი კიკლიაშვილს მიუვიდა, გამოცდილმა ვეტერანმა ერთი შეხებით ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს ეულად მყოფ შალამბერიძეს მიაწოდა, ჯონის დარტყმული უნაკლო გამოდგა. ბურთი ჯვარედინთან ხარიხას მოხვდა და მიწაზე დაშვებული კარში შევარდა. ჭურაძე უძლური იყო.

ამის მერე მასპინძლებს თამაშის სათავისოდ ჩამთავრება არ გასჭირვებიათ, ხოლო „ვიტ ჯორჯიამ" მეორე ეტაპზე პირველი მარცხი იწვნია.

ვეტერინარები მეორე საფეხურზე მაინც დარჩნენ, კოლხებმა კი ევროსაგზურის მოპოვების შანსი გაიორკეცეს.

# კრივია თუ ფეხბურთი?

თბილისი
17 მაისი
18 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 1:1 თბილისი**

1:0 ხუროძე (1), 1:1 გადელია (12)
ხუროძემ ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, გ. ჩიხრაძე, ლ. მიქაძე, კვარაცხელია, რუსია (კაციაშვილი 71), დ. გოდერძიშვილი, გოგიჩაიშვილი, ჯულელი (გილაური 31), ხუროძე, ხიზანიშვილი
*სათადარიგონი:* ასლანაძე; სალუქვაძე, ლ. ჩხაიძე, რ. ონიანი, ძოძუაშვილი
**თბილისი:** მამალაძე, დ. ტყებუჩავა, ზვ. ლაბაძე, ბარნოვი, კანდელაკი, ზამთარაძე, ამაშუკელი, ბურდული, ი. შენგელია (კოხრეიძე 77), გონჩაროვი (ლოლაძე 60), გადელია
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ყუფარაძე, სულაქველიძე, თ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ბურდული (83)
**გაძევება:** ხუროძე (87)
**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**გიორგი ვაშაკიძე**

**26 მაისს** საქართველოს თასის ფინალია, „ტორპედო" — „ლოკომოტივი". ჰოდა, რკინიგზელებიც ყოველ თამაშს ფინალისთვის უკეთ მოსამზადებლად იყენებენ. პირველი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრებათ, პროგრამა-მინიმუმი შესრულებულია, მაქსიმუმი კი თასის ფინალის მერე გამოჩნდება.

მაგრამ მომზადებაცაა და მომზადებაც. გუშინ „ლოკომოტივმა" „პაიჭაძეზე" მოსულ ათასამდე ქომაგს ვერაფერი სახეირო აჩვენა, პირიქით, თუმცა ამაზე ქვემოთ...

გუშინ „თბილისმა" გამოცდილ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ეგებ სამი ქულაც აერთმია მისთვის. ალალი კი იქნებოდა.

რით გამოირჩა გუშინდელი მატჩი. თბილისელთა ყმაწვილი მეკარე ზურაბ მამალაძე ჩინებულად გაისარჯა, რკინიგზელთა მე-10 ნომერი ცეზარ ხუროძე კი უდისციპლინოდ მოიქცა და მსაჯები? იდეალურ მსაჯობაზე არაფერს ვიტყვი, თუმც საშუალოც რომ არ იყო?

„პრინციპული თამაში რომ ყოფილიყო, ლოტოტრონში მის გვარს არც ჩავაგდებდითო" — თქვა მატჩის ინსპექტორმა. სახეზე ეტყობოდა, თავისი სამწყსოს გუშინდელი მოქმედებით უკმაყოფილო გახლდათ.

„ლოკომოტივს" მოგება ეწადა, თამაშიც სამი თავდამსხმელით დაიწყო. გამოკვეთილ ფორვარდ ივანე ჯულელს ფლანგებიდან მხარს რუსია და გოდერძიშვილი უბამდნენ. აქვე იყვნენ ხუროძე და გოგიჩაიშვილიც. ნათლად ჩანდა, ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს შემტევი ტაქტიკა აერჩია. რა შედეგიც გამოილო, თავადვე მიხვდით. პირველივე წუთზე რუსიას მარცხნიდან საჯარიმოში ჩაწოდებულს ცეზარ ხუროძე გამოეხმაურა, თბილისელ მცველებს „ჩაეძინათ" და თავდამსხმელმაც იოლად გაიტანა. ერთ-ერთმა ქომაგმა კი თქვა, აი, ახლა ამოივსება „თბილისის" კარიო, მაგრამ...

რამაზ მუმლაძის შეგირდები გაშვებულ ბურთს არ დაუბნევია. მე-12 წუთზე ბურდულის ჩაწოდებულზე გადელიამ რკინიგზელ მცველებს წამით დაასწრო და, ლომაიას მცდელობ მიუხედავად, ანგარიშიც გაათანაბრა — 1:1.

მთავარი მოვლენები კი მეორე ნახევარში განვითარდა. ჯერ იყო და არბიტრმა მაისურაძემ ბორის გონჩაროვის წაქცევისთვის უდავო პენალტი არ დანიშნა, წამოილო „ლოკომოტივმა" ბურთი და... მაისურაძემ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. მისი აზრით, კანდელაკმა ხელით ითამაშა. მაგრამ... ხუროძის დარტყმულს მამალაძე ჩინებული ნახტომით გადაელობა.

თბილისელთა მეკარემ მერეც გამოიჩინა თავი, კარის ხაზზე ხომ საიმედოდ იდგა, თავი არც გამოსვლებზე შეურცხვენია. თუ ასეთი საიმედო თამაში გააგრძელა, ჩათვალეთ, ჩინებული მეკარე დადგება. ხოლო რაც მან მატჩის ბოლოსკენ მოიმოქმედა, საოცრება იყო. შეცვლაზე შესულმა კაციაშვილმა მარჯვნიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, მეკარემ ბურთი უხერხულად ჩაჭრა, უმალვე ორიოდე მეტრიდან გოგიჩაიშვილმა დაურტყა ყუმბარისებურად. წონასწორობადაკარგულმა გოლკიპერმა რეაქცია მოასწრო და სასწაულებრივად იხსნა კარი. ოვაციებიც აქ დაიმსახურა. ე, ბიჭო, ნახე რა ბავშვია, ამას დალვინება და პატრონი უნდაო — წამოიძახა ერთმა ალტაცებულმა ქომაგმა.

ზემოთ ვთქვი, „თბილისს" რომ იღბალი ჰქონოდა, იქნებ სამი ქულითაც დაემშვენებინა ხელიო. მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გიგა გადელია ლომაიას პირისპირ გავიდა და ძლიერადაც დაურტყა, მაგრამ ლომაიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

წუთიც და „ეროვნულზე" უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა. აუტის ხაზთან სათამაშო ეპიზოდისას ტყებუჩავამ ხუროძე წააქცია. რასაც მცირე შელაპარაკება მოჰყვა, თუმც თანაგუნდელებმა ორივე დააწყნარეს.

„თბილისი" შეტევაზე გადავიდა და... ხუროძემ მეტოქის საჯარიმოში ტყებუჩავას ხელი გაარტყა, მაისურაძემ კი, რომელიც კარგად ხედავდა, რაც მოხდა, თანამსაჯ დოლიძესთან მიირბინა. მცირე თათბირის შემდეგ არბიტრის ხელში წითელმა ბარათმა გაიელვა. ხუროძეს მინდორი სამართლიანად დაატოვებინეს.

ფეხბურთელის ნამოქმედარით თავად ძოძუაშვილიც უკმაყოფილო გახლდათ და თამაშის დამთავრებისთანავე ხუროძეს ტყებუჩავასთან შერიგება უბრძანა. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.



ლოკომოტიველი გოდერძიშვილი (ბურთით) და თბილისელი კანდელაკი

# მეათე და ჩვეულებრივი

ბათუმი
17 მაისი
18 საათი
დინამო
1 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 4:0 დილა**

1:0, 2:0 ხომერიკი (18, 65), 3:0 მუჯირი (72პ), 4:0 ხომერიკი (82)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, ი. მახარაძე (შ. ხუჯაძე 66), კობიძე (მ. მახარაძე 46), მინდაძე, რომანაძე, თედორაძე (გელა ქორიძე 57), ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; მაჭუტაძე, ქაცარავა, ღლონტი
**დილა:** სოლოლაშვილი, კოჭლაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, საყვარელიძე (ხეჩუაშვილი 74), ფეზუაშვილი, ლომიძე, ებანოიძე, ოლგესაშვილი (კარელიძე 80), არუთინიანი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; დ. მაისურაძე, თ. ილურიძე
**მსჯაები:** ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

**არა**, ბატონებო, ბათუმში თამაში „დილას" საქმე ნაღდად არ არის რატომ? რატომ და, თუ ეროვნული ჩემპიონატის ათწლიან ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ გორელებს „დინამოზე" ამ მატჩამდე ცხრაჯერ უთამაშიათ და ქულა რაა, ისიც ვერ წაუღიათ აქედან. ბურთებს არ იკითხავთ? 29 გაშვებული და სამად სამი გატანილი.

გუშინ ეს ტრადიცია რომ არ დაირღვეოდა, ამას დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა. აბა, სად „დილას" ამბიცია და სად — „ბათუმისა". თანაც ზღვისპირელებს 26 მარტის შემდეგ შინ არ უმარცხვიათ და ქულათა მორიგ დანაკარგს კარნევალის არავინ აპატიებდა.

ევროსაგზურისთვის ბრძოლა თანდათან მძაფრ ხასიათს იძენს. „ბათუმს" ამ მატჩის შემდეგ უშუალო კონკურენტებთან ელის მძიმე ბრძოლები. „დილასთან" კი ერთგვარი მზადება გამოუვიდათ აჭარელებს. თავი მაინცდამაინც არ გამოიდეს, მაგრამ დიდი ანგარიშით მაინც იმარჯვეს.

სინიორ ჯანიძ სასტარტო შემადგენლობა კვლავაც ექსპერიმენტული გამოიყვანა და ძირითადის რამდენიმე მოთამაშეს მეორე ტაიმისთვის უხმო. სწორედ მეორე ნახევარში გამოჩნდა „ბათუმის" ძალა, თორემ პირველში ერთობ უფერული თამაში გამოვიდა და ამის უმთავრესი მიზეზი მასპინძლები იყვნენ. შესვენებამდე საგოლე მომენტებიც კანტიკუნტად შეიქმნა და გოლიც მხოლოდ ერთი გავიდა.

მე-18 წუთზე მარჯვენა ფლანგზე გადასულმა მინდაძემ საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, იქ ხომერიკმა თავით ივარგა და ხარიხის დახმარებით გოლიც გავიდა.

მეორე ტაიმის საწყის წუთებშიც თვალსასეირო არაფერი მომხდარა. გამოცოცხლება 65-ე წუთიდან დაიწყო და „დილასაც" მაშინ დაუბნელდა. ისევ ხომერიკი გამოირჩა, ბრძოლაში მეტოქეს ბურთი აართვა და ჯიქურ დაიძრა კარისკენ. მისი მეურვე საყვარელიძე ვერას გახდა და ამჯერად გოლი ძელის გავლით გავიდა.

შვიდ წუთში ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს ზღვისპირელებმა. აფხაზავამ საჯარიმოში ხომერიკს გაუჭრა, ამან ქუსლით ბურთი რომანაძეს დაუტოვა, რომელიც საყვარელიძის ფეხს წამოედო და ორდენიძემაც პენალტის მანიშნებელი ჩასტვინა. ამირან მუჯირმა სოლოლაშვილს შანსი არ დაუტოვა.

ათი წუთიც და საბოლოო შედეგიც გაირკვა. კვლავაც ხომერიკის ჯერი დადგა. აფხაზავამ ლევანი მეკარის პირისპირ შეატოვა. მანაც მოხდენილი ფინტით დამხვდური იოლად ჩამოიცილა და ცარიელ კარში აუღელვებლად შეაგორა ბურთი.

„ბათუმმა" ჩემპიონატების ისტორიაში მეათე საშინაო გამარჯვება მიითვალა „დილასთან" და ეს ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მთავარი კი წინ არის. შეძლებენ ზღვისპირელები ევროპასგზის გაჭრას? ამას ბოლო ორი ტური დაგვანახვებს.

# 11 ქართული გოლი უცხოელებისთვის

ბუნდესლიგის წლევანდელებს სეზონის დასრულებამდე ტურილა დარჩა: და იცით, ვინ დაასახელა გერმანულმა „კიკერმა“ ბუნდესლიგის 33-ე ტურის საუკეთესო მოთამაშედ? ეს პატივი „კაიზერსლაუტერნის“ დანიელ ნახევარმცველს, მიქაელ შონბერგს ერგო. შონბერგმა 84-ე წუთზე ქართველი თავდამსხმელის, ალექსანდრე იაშვილის თერთმეტმეტრიანიდან დარტყმული ბურთი მოიგერია. და მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საათით ადრე შონბერგს ლევან კობიაშვილმა გაუტანა, გამეკარევებული შუახაზელი მატჩის, მეტიც, ტურის გმირად იქცა.

მართალია, დანიელს ასეთი პატივი ერგო, მაგრამ „კიკერის“ სიმბოლურ ნაკრებში მისი ადგილი მაინც არ აღმოჩნდა — მეკარე შონბერგს უნგრეთის ნაკრების და „ჰერტას“ კარის დარაჯმა გაბორ კირალიმ აჯობა, მარცხენა ნახევარმცველ შიონბერგს კი „ფრაიბურგის“ და საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელმა ლევან კობიაშვილმა.

კობიაშვილმა თითქმის უმაღლესი შეფასება 1,5 (1-იანის ღირსად წელიწადში ერთხელ თუ ვინმეს ჩათვლიან) ქულა დაიმსახურა, რაც მას აქამდე არ მოეხერხებინა. გარდა იმისა, რომ კობიაშვილის გოლი „კაიზერსლაუტერნის“ კარში საბოლოო გამოდგა და „ფრაიბურგს“ 2:1 მოაგებინა, ამ გოლმა ქართველთა გუნდი ბუნდესლიგაში დატოვა და 6 გოლის გამტანმა გერმანელთა უშურველი ეპითეტებიც ამით დაიმსახურა.

რაც შეეხება ალექსანდრე იაშვილს და პენალტის ვერგატანას, ნუ დავაყვედრებთ. იაშვილის შარშანდელი ძლიერი სეზონი (ნახევარი) გვახსოვს, მის წლევანდელ პროგრესსაც შევესწარით და პენალტი, ვის არ გაცუდებია. მერე რა, რომ ტრავმირებული მეკარის მოვალეობას ნახევარმცველი ასრულებდა — ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მთავარია, „ფრაიბურგს“ ქართველებმა საგაისო ბუნდესლიგის საგზური შეუნარჩუნეს — ბუნდესლიგაა, ესეც საქმეა.

*პრემიერლიგის* წლევანდელი სეზონი კი დასრულდა და იქაც ყველა ქართულმა გუნდმა შეინარჩუნა საგაისოდ უძლიერესთა შორის ყოფნის უფლება.

გიორგი ქინქლაძემ და მისმა „დერბიმ“ ის შეძლეს, რაც ვერ მოახერხა ქართველმა პირველ პრემიერლიგურ სეზონში „მანჩესტერ სიტიმ“. „დერბი ქაუნთიმ“ საბოლოოდ მეთექვსმეტე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა ლიგაში დასარჩენად. ბოლო ტურში „ჩელსის“ წინააღმდეგ არ უთამაშია ქინქლაძეს, რომელიც წინა მატჩში მსუბუქად დაშავდა და გუნდის მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა დაასვენა.

4:2 მოიგო თემურ ქეცბაიას „ნიუკასლმა“ შინ „არსენალთან“ და მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა. ქეცბაია მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს. მანამდე კი, აქტიურობის მიუხედავად, გოლებში წილი არ დაუდვია.

ამ სეზონშივე არ შედგა რატი ალექსიძის ინგლისური დებიუტი. „ჩელსის“ ახლა ასოციაციის თასის ფინალიღა დარჩა სათამაშო, თვით სარეზერვო გუნდმაც დაასრულა სეზონი. „ჩელსი“ მეხუთეზე გავიდა და თუ თასს მოიგებს, უეფას თასზე, თუ არა და ინტერტოტოზე ითამაშებს.

*ჰოლანდიური* „აიაქსიც“ მეხუთე ადგილს დასჯერდა. არადა, ბოლო ტურის მატჩი რომ მოეგო, ჩემპიონთა ლიგაში ხვდებოდა. შოთა არველაძეს ჰქონდა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ გატანა ვერ შეძლო. გამოსამშვიდობებელი მატჩი ითამაშა „ბრედაში“ აწ უკვე კიოლნელმა არჩილ არველაძემ. მან 2 გოლში მიიღო მონაწილეობა და ერთიც, საბოლოო თავად გაიტანა.

*ბელგიის* ჩემპიონატიც დასრულდა — შეყილაძის „ლიერსიც“ და ჯაკობიას მეპატრონე „სტანდარდიც“ ევროსაგზურების გარეშე დარჩნენ. თასის შარშანდელმა მფლობელმაც და წლევანდელმა ფინალისტმაც ინტერტოტოზე თამაში იუარეს და მთელ საზაფხულო დროს (გარდა შესვენებისა) საგაისო მზადებას მოახმარენ.

შეყილაძემ ჩემპიონატი ჩაამთავრა და ოპერაციაც გაიკეთა.

— საგანგაშო არაფერია. ძირმაგარა მქონდა და გამიკვეთეს. ექიმები შინ მაკითხავენ და მაიმედებენ, ფეხზეც მალე დადგებიო — გვითხრა გუშინ გელამ სატელეფონო საუბრისას.

ლაშა ჯაკობიას „სტანდარდი“ კი, რომელსაც „ვეზეტიდან“ დაუბრუნდა, თასის ფინალში იოჰან ბოსკამპის „გენკთან“ 1:4 დამარცხდა.

ეს პასუხის საუკეთესო ვარიანტი გახლდათ — ბოსკამპმა იმ ქართველ სკეპტიკოსთაც აჩვენა თავისი პროფესიონალიზმი, რომელთა კრიტიკამაც აიძულა, შინ დაბრუნებულიყო.

*შვეიცარიაში* რთულ მდგომარეობაშია ქართველთა „ციურიხი“, მაგრამ კიდეც უფრო ცუდ დღეშიც შეიძლებოდა ყოფილიყო, გოჩა ჯამარაულს „სიონთან“ მსაჯის წარმატებულ წუთებში რომ არ გაეთანაბრებინა ანგარიში. „ციურიხი“ დღეს „დელემონს“ მასპინძლობს და გადასათამაშებელი ტურნირის რჩეულთა ოთხეულში მოსახვედრად უეჭველად მოგება სჭირდება.

*საბერძნეთში* ქართული გუნდების დერბი შედგა, მაგრამ ვერ ითამაშა გოდერძი ნატროშვილმა, რომლის „პანახაიკს“ გამარჯვების გოლი ირაკლისელმა ლევან ქებაძემ გაუტანა.

„პანახაიკმა“ ორი საფეხურით დაიწია, „ირაკლისმა“ ერთით აინაცვლა, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური კიდევ დარჩა და მდგომარეობის გაუმჯობესების შანსიც არსებობს.

ამ უქმეებზე ქართველებმა უჩვეულოდ ბევრი გოლი გაიტანეს. გაიტანა კობიაშვილმა, არჩილ არველაძემ, ჯამარაულმა, ქებაძემ, გოგრიჭიანმა, ავთანდილ კაპანაძემ, მუჯირმა, ორჯერ დემეტრაძემ, გაიტანა „სკონტოს“ ოთხივე ქართველმაც.

*ისრაელში* კი უგახოკიძეო ჰაიფას „მაკაბის“ დარასელიას საგოლე პასით 1:0 მოუგო ქფარ სავას „ჰაპოელმა“. „ჰაპოელს“ ჯერაც აქვს ებრაულ პრემიერლიგაში დარჩენის შანსი, მომდევნო ტურში ფეთახ თიქვას „მაკაბის“ ეთამაშება. მანამდე კი ზედა ლიგის საგზური გაინაღდა ჰულონის „ცაფრირიმმა“, რომელშიც შარშან გიორგი დარასელია და წლეულს გოჩა ქოქოშვილი თამაშობდა.

ეს უკვე მეორე დაწინაურებული ჩვენებურის გუნდია.

ღმერთმა ამრავლოს ასეთები!

**ვახტანგ ბზიკაძე**



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) ბოლო ხანს ძალიან ყოჩაღობს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | არსენალი 4:2 | 77 | შეცვალეს | 20 | 1 | 11 |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ჩელსი 0:4 | 0 | მწვრთნელმა დაასვენა | 17 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | დერბი 4:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 2:1 | 90 | გოლი, საუკეთესო მოთამაშე | 32 | 6 | 11 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 2:1 | 90 | გააფრთხილეს, პენალტი გააცუდა | 21 | 1 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 2:1 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 11 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | უტრეხტი 1:3 | 58 | შეცვალეს | 15 | 5 | 5 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | ეინდჰოვენი 4:2 | 77 | შეცვალეს | 27 | 21 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ლოკერენი 1:2 | 90 | | 19 | 0 | 9 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | | | | სეზონი დაასრულა | 17 | 14 | 17 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | სიონი 2:2 | 90 | 1 გოლი | 29 | 7 | 14 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სიონი 2:2 | 90 | | 18 | 3 | 14 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | ირაკლისი 1:2 | 0 | | 16 | 1 | 13 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | პანაჰაიკი 2:1 | 45 | 1 გოლი | 9 | 2 | 7 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | ? | 1 გოლი | 6 | 3 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | ? | 1 გოლი | 6 | 2 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | ? | 1 გოლი | 5 | 3 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ლიეპაია 3:1 | ? | 1 გოლი | 5 | 1 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | რიგა 0:2 | 90 | | 6 | 0 | 7 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ნ.ნოვგოროდი 1:0 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 58 | შეცვალეს | 8 | 2 | 14 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | კლუბთან უთანხმოება აქვს | 6 | 0 | 14 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 14 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 14 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | ნ.ნოვგოროდი 2:1 | 90 | | 3 | -3 | 11 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | ნ.ნოვგოროდი 2:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 11 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ტორპედო 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ალანია 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| ალეკო გოგობერიშვილი | ანჟი | შ | სპარტაკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 5 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | მ.ლიპეცკი 2:2 | 90 | | 6 | 0 | 19 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | მ.ლიპეცკი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 19 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | ამკარი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 18 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | შ | მ.კრასკნოიარსკი 3:2 | 90 | 1 გოლი | 6 | 3 | 11 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| თასის ნახევარფინალი | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | მ.ზაპოროჟიე 6:1 | 0 | ტრავმა | ? | ? | ფ |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | შ | მ.ზაპოროჟიე 6:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა, 2 გოლი | ? | 2 | ფ |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | შ | ზირკა 2:1 | 0 | ტრავმა | 0 | 0 | ფ |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | შახტარი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 21 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | შ | შახტარი 2:1 | 90 | | 10 | 4 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | შ | ნივა 5:1 | 45 | შეცვალეს, 1 საგოლე პასი | 6 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | დნეპრი 3:0 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | კრივბასი 1:5 | 90 | 1 გოლი | ? | 9 | 15 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | კრივბასი 1:5 | 90 | | ? | 2 | 15 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | კრივბასი 1:5 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 1 | 15 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | კრივბასი 1:5 | 90 | | ? | 0 | 15 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | კრივბასი 1:5 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | ? | 3 | 15 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | კრივბასი 1:5 | 90 | | 6 | 1 | 15 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ზაგლებე 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 3 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | შ | მ.ჰაიფა 1:0 | 90 | საგოლე პასი | 34 | 7 | 13 |
| გიორგი გახოკიძე | მ.ჰაიფა | ს | ჰ.ქფარ სავა 0:1 | 0 | ტრავმა | 28 | 2 | 3 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | მოლდოვა გაზი 3:0 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | ს | რომა ბალტი 3:0 | 90 | 1 გოლი | ? | 10 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | ს | რომა ბალტი 3:0 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | ს | რომა ბალტი 3:0 | 90 | | ? | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | ს | რომა ბალტი 3:0 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 1 |
| **ბულგარეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | შ | ნეფტოხიმიკი 1:1 | 0 | საქართველოში იმყოფება | 1 | 0 | 12 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# რატომ აქვს ადამიანს კბილები?

*სათაურში დასმულ კითხვას ასეთი პასუხიც აქვს — იმიტომ, რომ ენას დააჭირონ. არ მოიქცევი ასე და ეგებ დაცინვის ობიექტიც გახდე...*



ლორენცო სანსი

## ობიექტი პირველი: ლორენცო სანსი

გაგაგიჟებს კაცს ეს ლორენცო სანსი, დღე არ გავა, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები არ გააკეთოს. აგერ ახლახან იყო, მიუნხენში „ბაიერნი" — „რეალის" შეხვედრა დასრულდა თუ არა, მადრიდელთა ცრემლმორეულმა პრეზიდენტმა ვისენტე დელ ბოსკე ცაში აიყვანა. თქვა, ეს რა მაგარი კაცი ყოფილა ჩვენი მწვრთნელი, გუნდს გაისადაც და ამის მერეც ეგ მოამზადებს და სანამ თავად არ მოინდომებს წასვლას, „რეალში" იქნებაო. გაიმართა დელ ბოსკე წელში, სანსისგან შექებას რაკი ველირსე, მართლაც დიდი სპეციალისტი ვყოფილვარო, მაგრამ...

გავიდა სულ რაღაც ორი დღე და ლორენცო სანსმა ახალი განცხადება გააკეთა: „ვინ უხელმძღვანელებს „რეალს" სამომავლოდ, ჯერაც გაურკვეველია. დელ ბოსკე? ვერაფერს გეტყვით, იქნებ ისიც იყოს, ოღონდ ჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალი უნდა მოიგოს". აი, ასეა საქმე.

ახლა უფრო ძველი ამბავი გავიხსენოთ. ამ ექვსიოდე თვის წინ ლორენცო სანსმა ჯონ ტოშაკი დაითხოვა. საამისოდ პრეზიდენტს უამრავი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ — უელსელის დაჟინებით მან არაფრის მაქნის ნიკოლა ანელკაში აუარება ფული, 35 მილიონი დოლარი გადაიხადა. დღეს კი...

„რეალს" ფული ტყუილუბრალოდ არ გაუფლანგავს. ანელკა დიდებული ფეხბურთელია, მან გუნდში თავისი ადგილი იპოვა და ოქროს მთებიც რომ დამიდგან, არ გავყიდი. ის შეუფასებელია" — ეს სიტყვები ლორენცო სანსმა გუშინ თქვა. არადა, ნიკოლას საქმეები ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, მტრისას, ისე მიდიოდა. კონფლიქტი თანაგუნდელებთან, გაქცევა მადრიდიდან, მწვრთნელისგან შერისხვა — ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა. ახლა კი მადრიდელები ამბობენ, 24 მაისს ჩემპიონთა თასი ანელკამ უნდა მოგვაგებინოსო. მოდი და გაიგე რამე...

## ობიექტი მეორე: რადომირ ანტიჩი

ლორენცო სანსს კიდევ რა უჭირს, იტყვის, ანელკას, როცა ვერ თამაშობდა, ვაძაგებდი, ათამაშდა და გარჯა დავუფასეო. დელ ბოსკეს შემთხვევაზეც რაიმეს მოიფიქრებს, ბოლოს და ბოლოს, ემოციების მოზღვავებით გაიმართლებს თავს. აი, რადომირ ანტიჩს კი გრძელმა ენამ სანანებლად გაუხადა საქმე — უმუშევართა არმიას შეუერთდა.

ამ რამდენიმე დღის წინ იყო, მადრიდელთა მესამედი („რეალის" და „რაიო ვალეკანოს" ქომაგთა გარდა) რადომირ ანტიჩის ქებას ვერ აუდიოდა. ამ სერბმა კი ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, განაცხადა, მზად ვარ, „ატლეტიკოში" მთელი წელი უხელფასოდ ვიმუშაოო. ატყდა ერთი ამბავი, ხედავთ, რა კაცია, გადამთიელი უძახე და ჩვენზე მაგარი ესპანელი გამოდგაო. კლუბიც კმაყოფილი დარჩა, ერთი იმიტომ, რომ ფული დაეზოგათ და მეორეც — საბაბი მიეცათ, ფეხბურთელებთანაც ჯამაგირების შემცირებაზე ჩამოეგდოთ სიტყვა, მაგრამ...

გუშინ „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილმა მადრიდელებისთვის (მესამედისთვის) გამაოგნებელი განცხადება გააკეთა: „რადომირ ანტიჩი თანამდებობიდან განთავისუფლებულია. მწვრთნელის მოვალეობას მეორე გუნდის თავკაცი ფერნანდო სამბრანო შეასრულებს".

ანტიჩის გადაყენების მიზეზი აი, რა გახდა — გულაჩუყებულმა ხესუს ხილმა სერბი თავისთან დაიბარა და ქათინაურების შემდეგ უთხრა, მთლად უხელფასოდ ვერ დაგტოვებთ, მცირედს დაგინიშნავთო. ჰოდა, აქ დაიწყო...

თქვენა, კაცო, ყველაფერს პირდაპირ როგორ იგებთო — შეჰკადრა ანტიჩმა ხილს — ის სიტყვები კლუბის პატივისცემის ნიშნად ვთქვი, თორემ ხელფასი რომ შემიმციროთ, ოჯახის მამა ვარ და რა მეშველებაო.

თავად ანტიჩს კლუბიდან გაძევების შემდეგ აღარაფერი განუცხადებია. მისი და პრეზიდენტის საუბრის დეტალები ხალხის ყურამდე ხესუს ხილმა მიიტანა, წარმოგიდგენიათ, ეს რა თქვაო. აქვე დავამატებთ, რომ რადომირ ანტიჩი „ატლეტიკოს" უკვე მესამედ დაემშვიდობა. პირველად მან სამი სეზონი გაძლო და კლუბს დუბლი შეასრულებინა, მეორედ სამ თვეში გაუშვეს, ახლა კი — 82 დღეში.

**გიორგი დარჯანია**

# კრანიოტის გამხელილი მიზნეში

**იტალიის** ჩემპიონის, რომის „ლაციოს" პრეზიდენტმა, სერჯო კრანიოტიმ განაცხადა, რომ გუნდს ყოფილი თავდამსხმელისა და აღიარებული ვარსკვლავის, კრისტიან ვიერის დაბრუნება სურს.

შეგახსენებთ: ვიერი „ლაციომ" გასულ ზაფხულს, სარეკორდო თანხად, 50 მილიონ დოლარად „ინტერს" მიჰყიდა, მაგრამ ახლა, სკუდეტოს მოგებისა და უკვე ახალ ამოცანებზე ფიქრის შემდეგ, მისი კვლავ თავის გუნდში ხილვა აქვს გადაწყვეტილი.

„მე აუცილებლად შევეცდები კრისტიანის დაბრუნებას, მაგრამ ვერ გეტყვით მის გაყიდვას დაყაბულდება თუ არა „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი. მაინც მწამს, რომ მილანელებთან რაიმე გაცვლის გახერხება შესაძლებელია". — განუცხადა კრანიოტიმ ჟურნალისტებს.

გაზეთები ვარაუდობენ, რომ „ლაციო" „ინტერს" ვიერის სანაცვლოდ ფეხბურთელს პლუს ფულს შესთავაზებს.

როდესაც კრანიოტის ჰკითხეს, რამ გააყიდინა მოთამაშე, რომელიც ერთ წელიწადში კვლავ თავისთან მოუნდა, მან უპასუხა, რომ ეს პრიორიტეტების ამბავი იყო და მას გასული სეზონის წინ არგენტინელი ნახევარმცველის, ხუან სებასტიან ვერონის შესაძენად ფული სჭირდებოდა.

„ახლა კი, ჩვენ, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის დიდი ფორვარდი გვჭირდება" — დასძინა პრეზიდენტმა.

მოგეხსენებათ, 26 წლის ვიერის ბოლო 8 წლის განმავლობაში 8 კლუბი აქვს გამოცვლილი, მათ შორის „იუვენტუსი" და მადრიდის „ატლეტიკო".

გარდა ამისა, „ლაციოს" მეპატრონემ გაამხილა კიდევ ერთი ოცნება: მას „ბარსელონასგან" რივალდოს ყიდვა სურს, მაგრამ უფრო დეტალურად ამ საკითხზე აღარაფერი უთქვამს. „გაძეტა დელო სპორტის" თქმით, „ლაციოსა" და „ბარსელონას" ხელმძღვანელებს რივალდოს თაობაზე მომავალ კვირას აქვთ შეხვედრა დათქმული.

რაც შეეხება ჭორებს იმის შესახებ, რომ რომაელებს „ფიორენტინას", არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტას შეძენაც სურთ, კრანიოტიმ ისინი გააბათილა.

„ჯერ ერთი, ბატისტუტა ძვირია, მეორეც, გუნდში ამდენ არგენტინელს ვერ დავაგროვებ" — ბრძანა მან და, ალბათ, ისიც გაითვალისწინა, რომ უახლოეს პერიოდში „ვალენსიისგან" მორიგ არგენტინელს, კლაუდიო ლოპესს უპირებს გადაყვანას.

## ავსტრია

თასის ფინალი

**ზალცბურგი 2:2** (პენ. 3:4) *გრაცერი*

0:1, 0:2 პამიჩი (33, 34), 1:2 ჟევჩიკი (44), 2:2 აუფჰაუზერი (90)

9 200 მაყურებელი

## ხორვატია

თასის ფინალი. II მატჩი

**დინამო 1:0** *ჰაიდუკი* (0:2)

1:0 ცვიტანოვიჩი (90)

## კვიპროსი

თასის ფინალი

*ომონია* **4:2 აპოელი**

1:0 ვ. მიხაილოვიჩი (36), 2:0, 3:0 რაუფმანი (43,62), 3:1 იასემაკისი (64პ), 3:2 ორეჩუკი (85), 4:2 ვ. მიხაილოვიჩი (88პ)

23 000 მაყურებელი

## რუსეთი

მე–9 ტური. როტორი — ცსკა 0:1; ანჟი — ფაკელი 4:0; ნ. ნოვგოროდი — სპარტაკი 0:2; დინამო — კრილია 2:0; სატურნი — ლოკომოტივი 1:1; ჩერნომორეცი — ურალანი 3:1; ტორპედო — ალანია 2:0; ზენიტი — როსტსელმაში 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 9 | 8 | 1 | 0 | 20:4 | 25 |
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 12:1 | 23 |
| ტორპედო | 9 | 5 | 3 | 1 | 10:3 | 18 |
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 7:5 | 17 |
| ანჟი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:6 | 16 |
| ჩერნომორეცი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:4 | 15 |
| სატურნი | 9 | 3 | 3 | 3 | 6:8 | 12 |
| როსტსელმაში | 9 | 2 | 5 | 2 | 6:5 | 11 |
| როტორი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:17 | 11 |
| ფაკელი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:16 | 10 |
| კრილია | 9 | 3 | 0 | 6 | 8:12 | 9 |
| ზენიტი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:10 | 9 |
| ცსკა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 |
| ურალანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:12 | 5 |
| ალანია | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:10 | 4 |

## ჩეხეთი

30-ე ტური: ბოჰემიანსი — ბლშანი 1:1; ბრნო — სლავია 3:1; ბუდეიოვიცე — სიგმა 1:2; დუკლა — ჰ. კრალოვე 1:0; იაბლონეცი — ოპავა 4:0; ბანიკი — ლიბერეცი 3:0; სპარტა — დრნოვიცე 5:0; ტეპლიცე — ვიქტორია 0:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 24 | 4 | 2 | 81:23 | 76 |
| სლავია | 30 | 21 | 5 | 4 | 53:25 | 68 |
| დრნოვიცე | 30 | 14 | 6 | 10 | 36:32 | 48 |
| ბრნო | 30 | 12 | 6 | 12 | 35:33 | 42 |
| ტეპლიცე | 30 | 10 | 11 | 9 | 38:38 | 41 |
| დუკლა | 30 | 11 | 7 | 12 | 33:36 | 40 |
| ბოჰემიანსი | 30 | 10 | 10 | 10 | 24:28 | 40 |
| ლიბერეცი | 30 | 9 | 11 | 10 | 21:24 | 38 |
| ვიქტორია | 30 | 9 | 10 | 11 | 37:41 | 37 |
| ბლშანი | 30 | 10 | 7 | 13 | 28:45 | 37 |
| ბანიკი | 30 | 8 | 11 | 11 | 43:45 | 35 |
| სიგმა | 30 | 7 | 13 | 10 | 31:38 | 34 |
| იაბლონეცი | 30 | 7 | 11 | 12 | 24:36 | 32 |
| ბუდეიოვიცე | 30 | 9 | 5 | 16 | 34:49 | 32 |
| ოპავა | 30 | 6 | 10 | 14 | 31:39 | 28 |
| ჰ. კრალოვე | 30 | 4 | 11 | 15 | 21:38 | 23 |

## ფეხბურთის



**ფრანგი** მსოფლიოს ჩემპიონი მარსელ დესაი, შესაძლოა მადრიდის „რეალში" გადავიდეს, სამეფო კლუბი სეზონის ბოლოს დაცვის ცენტრის გაძლიერებას აპირებს, „ჩელსიში" მოთამაშე დესაი კი ამ პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ესპანეთის ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონს, ემანუელ პეტის დაადგა თვალი. ინგლისური პრესის განცხადებით, მადრიდელები ლონდონის „არსენალს" ნახევარმცველის სანაცვლოდ 7,3 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

**შოტლანდიური** სააგენტოები იუწყებიან, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მარკ ვიდუკა მალე იტალიაში ჩავა და „ფიორენტინას" ხელმძღვანელობას შეხვდება. არ გამორიცხავენ, რომ „სელტიკის" 24 წლის ავსტრალიელმა ლეგიონერმა, რომელმაც წლეულს 27 გოლი გაიტანა, ფლორენციელებთან კონტრაქტიც გააფორმოს. თავად ვიდუკა კი ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ იტალიაში მხოლოდ თასის ფინალურ მატჩზე დასასწრებად ჩადის: „ფიორენტინას" ხელმძღვანელობასთან შეხვედრა არ დამიგეგმავს, მე მხოლოდ მილანში მივდივარ, ამას ტრანსფერთან კავშირი არა აქვს". ფეხბურთელის შეძენის სურვილი ადრე მიუნხენის „ბაიერნმა", „სელტამ" და „ლიდს იუნაიტედმაც" გამოთქვეს.

**იტალიურმა** „პარმამ" „ბორდოსთან" მოლაპარაკებები თითქმის დაასრულა და უახლოეს მომავალში იაონ მიკუს, ალბათ, თავისთან გადაიბირებს. აპენინური სააგენტოების ცნობით, პარმელები ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,2 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. 27 წლის მიკუ „ბორდოში" წარმატებით თამაშობს, ბოლო ხანს საფრანგეთის ნაკრებშიც ხვდება და არ არის გამორიცხული, ევროპის მომავალ ჩემპიონატზეც იასპარეზოს.

**საფრანგეთის** ჩემპიონ „მონაკოს" პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის სალვა ბალესტას ყიდვა სურს. სანტანდერის „რასინგის" ფეხბურთელმა წლეულს ჩინებული სეზონი ჩაატარა და ესპანეთის პირველობაში 27 გოლი გაიტანა. სალვა „რასინგს", ალბათ, სეზონის ბოლოს დატოვებს. „მონაკო" ერთ-ერთი ელიტარული ფრანგული გუნდია — აცხადებს ფეხბურთელის აგენტი ხუან მარავერი — მათ სალვას შეძენა სურთ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გადაწყვეტილა და ნებისმიერი კლუბის შემოთავაზებას განვიხილავთ". ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სალვას გადაბირებას „მილანი" ცდილობდა, მაგრამ ამის შემდეგ კონკრეტულად არაფერი თქმულა.

**ავსტრიელმა** ვეტერანმა ტონი პოლსტერმა დიდ ფეხბურთს საბოლოოდ დაანება თავი. „ზალცბურგის" 36 წლის მოთამაშემ ქვეყნის თასის ფინალში 56 წუთი ითამაშა, შემდეგ კუნთი დაიჭიმა და მოედანი დატოვა, მისმა გუნდმა კი პენალტების სერიით „გრაცერთან" წააგო. „დიდ სპორტთან გამოთხოვება ფინალამდე ვერ გადამეწყვიტა, როგორც გაირკვა, ეს ჩემი ბოლო მატჩია. ამიერიდან თამაშს, ალბათ, ველარ შევძლებ" — განუცხადა პოლსტერმა მასმედიას. ავსტრიელ ფეხბურთელს „სევილიასა" და „კიოლნში" უთამაშია. ბოლო ტიტული მან 1986 წელს ვენის „აუსტრიასთან" ერთად მოიგო, მაშინ გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოიპოვა.

**ირლანდიის** ნაკრები ივნისში ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს მიაშურებს და აშშ-ისა და მექსიკის ნაკრებებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. ირლანდიელებს დაგეგმილ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი ვერ დაეხმარება, მან მყესები დაიჭიმა და პრემიერლიგის უკანასკნელ ტურშიც ვერ ითამაშა. „როიმ თავად მითხრა, რომ დაშავდა, ტრავმის გამიზეზებას ერიდება და ამერიკაში, ალბათ, ვერ გამოგვყვება" — განაცხადა ირლანდიელთა თავკაცმა მიკ მაკარტიმ. ნაკრებს სავარაუდოდ „ლიდსის" მცველი გარი კელიც დააკლდება. მასაც ტრავმა აწუხებს.

**გერმანიის** ნაკრების კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი „მილანში", ალბათ, გაისადაც დარჩება, ეს ინფორმაცია თავად მილანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაადასტურა. „ოლი გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა და ჩვენგან არ უნდა წავიდეს. მას პირადად შევხვდი და ვუთხარი, რომ არსად გავუშვებთ, მისნაირი გამოცდილი ფეხბურთელი გუნდში ბევრი არ გვყავს — განაცხადა გალიანიმ და დასძინა — მართალია, ბოლო ხანს ბირჰოფს გოლები ხშირად ვერ გააქვს, მაგრამ მეტოქე მცველები მას მეურვეობენ, ამით კი სხვა ფორვარდებს ადგილი უთავისუფლდებათ".

**აზერბაიჯანს** ახალი ჩემპიონი ჰყავს. გასულ უქმეებზე გამართულ ტურში „შამქირმა" „პივონი" დაამარცხა 1:0 და ტიტული ნაადრევად გაინაღდა. პირველობის დასრულებამდე ორი ტური დარჩა. „შამქირი" უახლოეს მდევარ განჯის „ქიაფაზს" რვა ქულით უსწრებს და, ცხადია, მას ველარავინ დაეწევა. აღსანიშნავია, რომ შარშანაც სწორედ ეს ორი გუნდი ებრძოლებოდა ერთმანეთს. მაშინ „ქიაფაზმა" იმარჯვა. აზერბაიჯანის ჩემპიონატი 1992 წლიდან იმართება და „შამქირმა" ჩემპიონის ტიტული პირველად მოიგო.

**ჩილელ** კლარენს აკუნიას ფიფამ დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. 26 აპრილს ჩილესა და პერუს ნაკრებების შეხვედრის დროს (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი) ფეხბურთელს სისხლში აკრძალული პრეპარატი, იზოპროტეროლის შემცველობა აღმოუჩინეს. „ჩილელი 15 მაისის შემდეგ დისკვალიფიცირებულია იგი თავის კლუბსა და ეროვნულ ნაკრებში ვერ ითამაშებს. სასჯელის ვადას კომისია მოგვიანებით დაადგენს" — განაცხადა ფიფას წარმომადგენელმა.

**ჩეხური** პრესის ცნობით, პრაღის „სპარტას" და ეროვნული ნაკრების ერთბაშად სამმა წევრმა მოაწერა ხელი ახალ კონტრაქტებს და მომავალი სეზონიდან გერმანულ კლუბებში ითამაშებენ. თავდამსხმელი ვრატისლავ ლოკვენცი, რომელმაც მიმდინარე სეზონში 21 გოლი გაიტანა, „კაიზერსლაუტერნში" გადადის. მის გზას დაადგება მცველი პეტრ გაბრიელიც, ხოლო ნახევარმცველი მიროსლავ ბარანეკი „კიოლნში" არჩილ არველაძის თანაგუნდელი გახდება. კლუბის ხელმძღვანელობა რაიმე კომენტარის გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ისინი ამბობენ, პრესკონფერენციას მოვაწყობთ და დეტალებზეც მაშინ ვისაუბროთო.

**ფრანგული** „მარსელის" მეკარე სტეფან პორატო თავის ძველ კლუბში, „მონაკოში" დაბრუნებას აპირებს. ამ ცნობის შემდეგ კვლავ გახშირდა საუბრები ფაბიენ ბარტეზსა და კლოდ პუელს შორის არსებულ უთანხმოებებზე. შეგახსენებთ, „მონაკოს" მწვრთნელმა ახლახან მეკარეს არაკეთილსინდისიერებაში დასდო ბრალი. სავარაუდოა, რომ ბარტეზი ახალი კლუბის ძებნას შეუდგება. რაც შეეხება სტეფან პორატოს, „მარსელმა" იგი 5,8 მილიონ დოლარად შეაფასა.

# კოსმოპოლიტური მელოდრამა

14 მაისი. პერუჯის სტადიონის მარცხენა გასახდელი. ადგილობრივი დროით 14 საათი და 15 წუთი. წესით სიჩუმეა, მაგრამ სინამდვილეში სკამების ტკაცუნი, ჩანთების დაგდების ხმა, ცალ ფეხზე ჩაცმული ბუცების ტკაცა-ტკუცი და „ზმეიკების" ზზზუპ ისმის. ვილაცამ ტაში შემოკრა, მაგრამ შეწყვიტა, რადგან თვითონ არ იცის რა უნდა. შემდეგ კარის გაჯახუნებაა. ოთახში კარლო მაცონე შედის და მღერის:

— ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია.

— გვითხარი რამე პაპა კარლო — ბოხი და ჩახრინწული ხმით იძახის გაუპარსავი მეკარე მაცანტინი. შეშლილი სახე აქვს!

— ვალია, ვალიააა!

— Фу, блин — ბუტბუტებს თავისთვის ალეინიჩევი.

— კარლიტო, ბოდიში გენაცვალე, აპირებ ბიჭებისთვის რამე დავალების მიცემას? ნერვიულობენ ხომ იცი — მოკრძალებით აპარებს ასისტენტი.

მაცონე ფანჯარასთან მიდის, ფარდას გადაწევს და ცას აჰყურებს. დილიდან მოქუფრული იყო, ახლა კი წვიმა დაწყებულა. გვარიანად უშენს. მწვრთნელი ხელებს შლის, მერე ისევ:

— ტყე შეუნახე შვილებსა, შვილებსა... — ოთახიდან გადის. გარედან გრგვინვა ისმის.

დრო იგივე. იგივე სტადიონი, ოღონდ მარჯვენა გასახდელი. პიჟამოებში გამოწყობილ ფეხბურთელებს ჯერაც გაუხსნელი ჩანთები ფეხებთან მიუწყვიათ და მზერა ოთახის შუისკენ მიუპყრიათ. იქ ჭაღარა, სიმპატიური კარლო ანჩელოტი მარტო დგას, მაგრამ მარტოობას ვერ გრძნობს. მის ემოციურ მონოლოგს თან მეტყველი ჟესტიკულაცია სდევს:

— და ბოლოს, ერთხელაც შეგახსენებთ. დღეს ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ყველას, ვინც ამ ბოლო დროს გაგვლანძღა, იმიტომ, რომ „იუვენტუსი" დიდი კლუბია და მას წინ ვერაფერი აღუდგება. წვიმაც კი. თორემ „ლაციო" ჩასაფრებულია და იმ ბედშავ „რეჯინას" დღეს გადაუვლის და ამიტომ გთხოვთ საათნახევრით დაივიწყოთ ცოლები, შვილები, მეგობარი გოგონები, პლეისტეიშენი, თუფაქ შაქური და მარწყვიც კი. პიპო გესმის? ფილიპო, შენ გეუბნები, გესმის? ერთი წუთით არ გაივლო გონებაში, რომ მარწყვის სეზონია და სადღაც დედამიწაზე, რომელიღაც მაგიდაზე მარწყვით სავსე ლამბაქი დევს. ედგარ, როგორც გითხარი ისე გააკეთე, ირბინე თითქოს ზანგი იყო და პლანტატორი მათრახით მოგდევდეს. ზინედინ, ერთხელაც გაფრთხილებ, არ დაიწყო ბურთის გაჩერება და პასებზე ფიქრი. პასს აწვდი მხოლოდ პიპოს და მერე შენი კაცის მოსაჩეხად გარბიხარ. არ მოჩეხავ და ისეთს დაგმართებ თმა ყალყზე დაგიდგეს. ალექს, ალექს, ალექს, ჩემო ალესანდრო, შენ შემოგევლოს ტურინის ყველა პარიკმახერი, როგორც გინდა ისე მოახერხე და პენალტი დაარტყი. თუ არა და თამაშიდან გაიტანე. ვიცი, რომ არ გეხერხება, მაგრამ დღეს უნდა შეძლო. დღეს ყველამ ისიც კი უნდა შეძლოთ, რაც არ გეხერხებათ — გესმის პიპო, გოლი უნდა შეაგდო. ახლა, რაც შეეხება პრემიებს. გუშინ ველაპარაკე მოგის, გუშინწინ ანიელისთან ულაპარაკია და... გრგვინვა ისმის. ქარი ფანჯარას ბრახუნით აღებს. იღება ოთახის კარიც და ჩანს დერეფანი, რომლის ბოლოშიც მაცონეს ფიგურა ჩანს. ის მობილურით ლაპარაკობს. ისმის ფრაზა: „დღეს აუცილებლად შემიწვი კარტოფილი თორემ შვილებს ტყეს არ შევუნახავ იცოდე..."

იგივე დრო. იგივე სტადიონი, ოღონდ გასახდელი პირდაპირ და ცოტა იქით. უთმო და უწარბო პიერლუიჯი კოლინა სარკეში იყურება, კოპწიაობს ფორმა ჩაუცვამს, გეტრებს ისწორებს და ოთახის მეორე ბოლოში სკამზე ჩამომჯდარ, მისნაირ ფორმიანს ამხნევებს:

— ნუ ნერვიულობ, თორემ შენც ფანტომასივით გახდები.

— დაიცა, რა — მეორე სიგარეტს უკიდებს — ნეტავ შენნაირი ნერვები მქონდეს.

— ჯერ სადა ხარ. დღეს დავიდსს სულ ფიფქია და ქორბუდა უნდა ვეძახო. არა ბიჭო, იმას შევარჩენ, დი კაპრიო, დი კაპრიოო, იმ დღეს რომ მიტეხა.

საუბარს ფანჯარაზე გაშმაგებით მოკაკუნე წვიმის ხმა წყვეტს.

**პაპუნა კედია**

**ავტორს სწამს, რომ მმართველი პარტიის დაპირებისამებრ ივერია 2003 წელს გაბრწყინდება.**



მარცხნიდან მარჯვნივ: ვილაცის ხელი, ედგარ დავიდსი და ბურთი

# მილანში არასოდეს დავბრუნდები

*ანდრეი შევჩენკოს იტალიაში ხშირად „მილანის" ლეგენდარულ თავდამსხმელ მარკო ვან ბასტენს ადარებენ, „სან სიროზე" კი ტიფოზებს სულაც დიდი პლაკატი გამოუფენიათ, ვან ბასტენი დაბრუნდაო. ნამდვილი ვან ბასტენი ამ დღეებში მართლაც ჩავიდა მილანში, ტოლკინაჩოს გოლფ-კლუბში, „მილანის" 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ტურნირში სათამაშოდ.*

*შეჯიბრზე იტალიური სუპერკლუბის ადრინდელი და ახლანდელი ვარსკვლავები იყვნენ მიწვეულნი. როგორც გაირკვა, მარკო ვან ბასტენი არა მარტო დიდი ფეხბურთელი, ჩინებული მეგოლფეც ყოფილა. მან თავის მეგობართან, „აიაქსისა" და „ჯენოას" ყოფილ მოთამაშესთან, ჯონ ვან' ტ სხიპთან ერთად იპირველა. გამარჯვებულები კი „მილანის" ახლანდელმა კაპიტანმა და მარკოს დროინდელმა თანაგუნდელმა პაოლო მალდინიმ დააჯილდოვა.*

*რაღა თქმა უნდა, იქ იყო შევჩენკოც, რომელიც თავის კერპს პირველად პირისპირ ახლაღა შეხვდა. „შევამ" ვერ მოითმინა და „მფრინავ ჰოლანდიელს" მასთან სურათის გადაღება სთხოვა: „ჩემთვის ვან ბასტენის ნახვა უდიდესი ბედნიერებაა, მისი თამაში 8 წლის წინ ვნახე ჩემპიონთა თასზე და მოვიხიბლე. მოხარული ვარ, მასთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა".*

*ვან ბასტენის დაბრუნებამ მილანელები ერთობ გაახარა. ადრიანო გალიანიმ, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა კი, არც აცია, არც აცხელა და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ვან ბასტენი „მილანის" მწვრთნელად? ვინ იცის, რატომაც არა".*

*ისე როგორ იქნებოდა, იტალიელ ჟურნალისტებს ლეგენდარულ ფეხბურთელთან არ ესაუბრათ. ჰოდა, ინტერვიუში ვან ბასტენი „მილანზე", იტალიის ნაკრებზე და, რა თქმა უნდა, შევჩენკოზე ლაპარაკობს.*



ანდრეი შევჩენკო და მარკო ვან ბასტენი: შეხვედრა შედგა

— მილანში ჩამოსვლით ძალიან ბედნიერი ვარ. შევხვდი ძვ... მეგობრებს, აქაურობა საოცრად მომენატრა. გამოგიტყდებით, ცოტა არ იყოს, ნოსტალგიას ვგრძნობდი. ბოლო დროს ფეხბურთს თითქმის ვე... ვუყურებ, ძალიან ბევრი მატჩია, რაც საკმაოდ გადამღლელია. გაოცებული ვარ ესპანური საკლუბო ფეხბურთის აღმავლობით. დააკვირდით „რეალს", ამ გუნდმა ბევრჯერ წააგო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალშია. საოცრებაა, არა?

**— ესპანურთან შედარებით იტალიურმა საკლუბო ფეხბურთმა პოზიციები დათმო...**

— ერთი შეხედვით ასე ჩანს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იტალიური ფეხბურთი არასდროს არ დასუსტდება. აპენინებზე ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ, წარუმატებლობა დროებითია. დღეს „დეპორტივოს", „ვალენსიას", „რეალსა" და „ბარსელონას" აქებენ, მაგრამ „იუვენტუსი", „მილანი" და „ინტერი" მათ არაფრით ჩამოუვარდებიან.

**— მარკო, ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება. საკლუბო ფეხბურთის ფონზე „სკუადრა აძურას" შანსებზე რას იტყოდით?**

— სერია A მსოფლიოში ჯერაც უძლიერეს ლიგად ითვლება. აქ ყოველთვის მოიძებნებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც იტალიას ღირსეულად წარმოაჩენენ ნებისმიერ დიდ ტურნირზე. ევროპის ჩემპიონატია თუ მსოფლიოს პირველობა, იტალიას ყველგან ფავორიტად მოიხსენიებენ. შანსებზე იმას ვიტყვი, რომ რამდენიმე თანაბარი ძალის გუნდია — საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ჰოლანდია და იტალია. ერთი სიტყვით, საინტერესო ჩემპიონატი გველის.

**— დაბრუნდებით?**

— ვერაფერს გეტყვით. ფეხბურთში მოღვაწეობაზე სერიოზულად არც მიფიქრია, 35 წლისა ვარ და მირჩევნია, დრო ოჯახს დავუთმო. თავისუფალ დროს ჩოგბურთისა და გოლფის თამაშით ვიქცევ თავს. მაგრამ ვინ იცის, ოდესლაც თუ მომბეზრდა, იქნებ დავბრუნდე კიდეც.

**— ადრიანო გალიანიმ თქვა, ვინ იცის, ვან ბასტენი ეგებ მწვრთნელადაც დავნიშნოთო...**

— ალბათ, იხუმრა. „მილანში" არასოდეს დავბრუნდები და გეტყვით, რატომაც. „მილანი" დიდი გუნდია, ჩემისთანა დამწყები მწვრთნელი მას არ ეკადრება. თუ მაინც მწვრთნელობა გადავწყვიტე, ალბათ, უფრო ჰოლანდიის რომელიმე გუნდს ვუთავკაცებ, ვისწავლი, გამოცდილებას შევიძენ. შევხედავ, თუ რაიმე გამოვა, მერე ვნახოთ. იქნებ დიდი გუნდიც ჩავიბარო, თუნდაც ეს „მილანი" იყოს.

**— რას უფრო ამჯობინებთ — მწვრთნელობას თუ კლუბის დირექტორატში მუშაობას?**

— როგორ გითხრათ, არ ვიცი. თანამდებობაზე არასოდეს მიმუშავია. როცა ვთამაშობდი, უბედნიერესი კაცი ვიყავი, ახლაც კარგად ვგრძნობ თავს ჩემს ოჯახთან ერთად.

**— ახლა „მილანზეც" ვთქვათ. წლევანდელ გუნდის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— იქიდან გამომდინარე, რომ იგი ჩემპიონთა ლიგაში უკვე გავიდა, ალბათ, კარგი სეზონი იყო, თუმცა წარმატებულს ვერ ვუწოდებ. „მილანი" ხომ ყოველთვის სკუდეტოსთვის იბრძვის.

**— ბოლოს როდის ნახეთ მისი თამაში?**

— „რომასთან", ტელევიზორში ვუყურე.

**— შევჩენკოზეც გკითხავთ. მას უკვე თქვენ გადარებენ, ვან ბასტენი დაგვიბრუნდაო...**

— კაცი რომ უკრაინის დონის საფეხბურთო ქვეყნიდან იტალიაში გადმოვა და პირველივე სეზონში ბომბარდირი გახდება, ამაზე მეტი სენსაცია და მოულოდნელობა რა უნდა იყოს. ვერ ვიტყვი, რომ მისი თამაში ბევრჯერ ვნახე, თუმცა არ ვმალავ, ძლიერი ფორვარდია. მოხიბლული და აღფრთოვანებული ვარ მისი თამაშის მანერით, ფიზიკურად ძლიერია, სწრაფი და ჭკვიანი. ვფიქრობ, იგი სერია A-ში კიდევ უფრო დ...იხვეწება. წარმატებებს ვუსურვებ, იმედი მაქვს, ისეთსავე მწვერვალს მიაღწევს, როგორიც თავის დროზე მე დავიპყარი. „მილანს" ყოველთვის სჭირდება უძლიერესი თავდამსხმელი, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

**— შევჩენკომ რომ თქვენი დონის ფეხბურთი ითამაშოს, კმაყოფილი იქნებით?**

— რა თქმა უნდა, იქნებ „მილანში" მართლა დაბრუნდეს ვან ბასტენი.

თარგმნა
**გიორგი ვაშაკიძემ**

# ბეკენბაუერი განსჯის

„ვფიქრობ, აფრიკის კონტინენტმა აუცილებლად უნდა უმასპინძლოს მსოფლიოს ჩემპიონატს" — განაცხადა მალაიზიაში ჩასულმა ფრანც ბეკენბაუერმა. საოცარი ამბავია, კაცი, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად თავისი ქვეყნის კანდიდატურის გაყვანას ლამობს და მიუნხენიდან კუალა ლუმპურამდე ამხელა გზაც ამიტომ გაუვლია, კონკურენტებს — სამხრეთ აფრიკას და მაროკოს უჭერს მხარს. თუ ბეკენბაუერის გამონათქვამის მეორე ნაწილსაც მოვისმენთ, მისი ჩანაფიქრიც ნათელი გახდება. — მაგრამ არიან აფრიკელები მზად? — ეშმაკურად კითხულობს ბეკენბაუერი და თავადვე პასუხობს — არა.

თებერვალში „როიტერმა" სპორტულ ჟურნალისტთა შორის გამოკითხვა მოაწყო. გაირკვა, რომ პრესის მუშაკები მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უმთავრეს კანდიდატად ინგლისს მიიჩნევენ. ბეკენბაუერს ამის თაობაზეც ჰკითხეს. „ვინ არის ფავორიტი, საკამათო საკითხია — პასუხობს „კაიზერ ფრანცი" — ეგ გამოკითხვა როდის მოეწყო? თებერვალში. ინგლისელებს ბოდიშს მოვუხდი, მაგრამ ფიფას აღმასკომმა გადაწყვეტილება ივლისში უნდა მიიღოს. როგორ ფიქრობთ, ამ პერიოდში არაფერი შეიცვლება? და საერთოდ, ჟურნალისტთა გამოკითხვა ბევრს არაფერს ნიშნავს".

„გერმანიაში ხულიგნები არ არიან" — ესეც ბეკენბაუერის სიტყვებია. რა მიხვედრა უნდა, გერმანელი ინგლისელთა გასაგონად ამბობს ამას. აქაოდა, სანამ თქვენ სტამბოლში თუ კოპენჰაგენში დანებს ატრიალებთ, ჩვენ ჩინებული წესრიგი დავამყარეთო. ისე, გერმანელები არ იყვნენ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ადგილობრივი ჟანდარმი რომ სასტიკად ცემეს და სამუდამოდ ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვეს? მაგრამ რას იზამ, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ისეთი რამ არის, ამ უფლების მოსაპოვებლად ყველაფერს იტყვის ადამიანი.

**გიორგი დარჯანია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
$11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს

### ნორვეგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 9 | 6 | 2 | 1 | 22:9 | 20 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 2 | 1 | 1 | 11:7 |
| რუსენბორგი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:8 | 20 | 2 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 0 | 0 | 8:1 |
| ვიკინგი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:11 | 17 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 2 | 1 | 1 | 9:8 |
| მოლდე | 9 | 4 | 5 | 0 | 16:12 | 17 | 3 | 2 | 0 | 10:7 | 1 | 3 | 0 | 6:5 |
| სტაბეკი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:8 | 14 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 1 | 2 | 2 | 6:5 |
| ოდ გრენლანდი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:11 | 14 | 4 | 0 | 1 | 13:6 | 0 | 2 | 2 | 2:5 |
| მოსი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:11 | 12 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 1 | 1 | 3 | 4:9 |
| ბოდიო გლიმტი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:16 | 12 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 1 | 1 | 2 | 5:11 |
| ლილესტრიომი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:8 | 10 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 1 | 2 | 1 | 4:4 |
| ტრომსიო | 9 | 2 | 3 | 4 | 13:21 | 9 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 0 | 2 | 3 | 5:14 |
| ბრინი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:18 | 8 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 2 | 3 | 4:11 |
| ჰაუგესუნდი | 9 | 2 | 1 | 6 | 14:25 | 7 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 0 | 0 | 4 | 5:14 |
| ვოლერენგა | 9 | 1 | 3 | 5 | 11:15 | 6 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 0 | 1 | 4 | 5:11 |
| სტარტი | 9 | 0 | 2 | 7 | 6:23 | 2 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 0 | 0 | 5 | 2:15 |

### შვედეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| ჰალმსტადი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:1 | 12 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 2 | 0 | 0 | 3:0 |
| იორგრიტე | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 12 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 2 | 0 | 1 | 3:2 |
| აიკ | 5 | 3 | 1 | 1 | 5:6 | 10 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 1 | 0 | 1 | 2:5 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 1 | 0 | 1 | 3:4 |
| ნორჩიოპინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 1 | 1 | 1 | 3:4 |
| ტრელებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 1 | 0 | 1 | 1:1 |
| ჰამარბი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 1 | 1 | 1 | 1:1 |
| იორებრო | 5 | 1 | 3 | 1 | 12:9 | 6 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 0 | 2 | 1 | 5:8 |
| ჰაკენი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 0 | 2 | 1 | 3:5 |
| სუნდსვალი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 | 0 | 1 | 2:2 |
| ფრიოლუნდა | 5 | 1 | 1 | 3 | 1:8 | 4 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 0 | 1 | 1 | 0:6 |
| გაის | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 0 | 3 | 1:7 |
| ელფსბორგი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:8 | 0 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 | 0 | 3 | 0:3 |

### ავსტრია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 34 | 22 | 5 | 7 | 49:29 | 71 | 14 | 2 | 1 | 29:6 | 8 | 3 | 6 | 20:23 |
| შტურმი | 34 | 21 | 7 | 6 | 69:31 | 70 | 13 | 2 | 2 | 46:16 | 8 | 5 | 4 | 23:15 |
| რაპიდი | 34 | 20 | 5 | 9 | 59:28 | 65 | 13 | 2 | 2 | 38:10 | 7 | 3 | 7 | 21:18 |
| რიდი | 34 | 15 | 7 | 12 | 55:37 | 52 | 11 | 2 | 4 | 35:13 | 4 | 5 | 8 | 20:24 |
| აუსტრია | 34 | 15 | 6 | 13 | 47:42 | 51 | 10 | 1 | 6 | 30:23 | 5 | 5 | 7 | 17:19 |
| ზალცბურგი | 34 | 11 | 9 | 14 | 37:45 | 42 | 9 | 4 | 4 | 25:14 | 2 | 5 | 10 | 12:31 |
| გრაცერი | 34 | 12 | 5 | 17 | 39:56 | 41 | 8 | 4 | 5 | 23:18 | 4 | 1 | 12 | 16:38 |
| ლინცერი | 34 | 9 | 8 | 17 | 38:47 | 35 | 6 | 5 | 6 | 24:17 | 3 | 3 | 11 | 14:30 |
| ბრეგენცი | 34 | 9 | 5 | 20 | 35:70 | 32 | 5 | 5 | 7 | 19:26 | 4 | 0 | 13 | 16:44 |
| ლუსტენაუ | 34 | 4 | 7 | 23 | 22:65 | 19 | 3 | 5 | 9 | 14:24 | 1 | 2 | 14 | 8:41 |

### დანია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 30 | 16 | 5 | 9 | 47:44 | 53 | 10 | 2 | 3 | 31:19 | 6 | 3 | 6 | 16:25 |
| ბრონდბიუ | 30 | 14 | 8 | 8 | 54:34 | 50 | 11 | 3 | 1 | 37:11 | 3 | 5 | 7 | 17:23 |
| ოლბორგი | 30 | 12 | 12 | 6 | 54:31 | 48 | 9 | 3 | 4 | 35:16 | 3 | 9 | 2 | 19:15 |
| აკადემისკი | 30 | 12 | 9 | 9 | 46:33 | 45 | 6 | 5 | 5 | 28:18 | 6 | 4 | 4 | 18:15 |
| სილკებორგი | 30 | 12 | 8 | 10 | 45:32 | 44 | 9 | 5 | 1 | 25:8 | 3 | 3 | 9 | 20:24 |
| ლიუნგბიუ | 30 | 13 | 4 | 13 | 49:52 | 43 | 9 | 0 | 6 | 33:24 | 4 | 4 | 7 | 16:28 |
| ვიბორგი | 30 | 12 | 7 | 11 | 42:48 | 43 | 5 | 5 | 4 | 20:20 | 7 | 2 | 7 | 22:28 |
| კოპენჰაგენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41:33 | 42 | 8 | 3 | 4 | 22:15 | 4 | 3 | 8 | 19:18 |
| ოდენსე | 30 | 9 | 9 | 12 | 34:40 | 36 | 3 | 6 | 6 | 16:23 | 6 | 3 | 6 | 18:17 |
| ორჰუსი | 30 | 9 | 7 | 14 | 34:49 | 34 | 7 | 3 | 4 | 23:18 | 2 | 4 | 10 | 11:31 |
| ვაილე | 30 | 6 | 11 | 13 | 36:63 | 29 | 3 | 6 | 6 | 19:30 | 3 | 5 | 7 | 17:33 |
| ესბიერგი | 30 | 8 | 4 | 18 | 39:62 | 28 | 4 | 4 | 7 | 15:15 | 4 | 0 | 11 | 24:47 |

### საფრანგეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 34 | 20 | 5 | 9 | 69:38 | 65 | 13 | 4 | 0 | 37:11 | 7 | 1 | 9 | 32:27 |
| პსჟ | 34 | 16 | 10 | 8 | 54:40 | 58 | 11 | 4 | 2 | 30:17 | 5 | 6 | 6 | 24:23 |
| ლიონი | 34 | 16 | 8 | 10 | 45:42 | 56 | 10 | 5 | 2 | 24:11 | 6 | 3 | 8 | 21:31 |
| ბორდო | 34 | 15 | 9 | 10 | 52:40 | 54 | 11 | 3 | 3 | 32:15 | 4 | 6 | 7 | 20:25 |
| ლანსი | 34 | 14 | 7 | 13 | 42:41 | 49 | 9 | 3 | 5 | 28:19 | 5 | 4 | 8 | 14:22 |
| სენტ ეტიენი | 34 | 13 | 9 | 12 | 46:47 | 48 | 7 | 5 | 5 | 28:23 | 6 | 4 | 7 | 18:26 |
| სედანი | 34 | 13 | 9 | 12 | 43:44 | 48 | 9 | 5 | 3 | 24:16 | 4 | 4 | 9 | 19:28 |
| ოსერი | 34 | 13 | 8 | 13 | 37:39 | 47 | 11 | 3 | 3 | 29:16 | 2 | 5 | 10 | 8:23 |
| სტრასბური | 34 | 13 | 7 | 14 | 42:52 | 46 | 9 | 4 | 4 | 28:20 | 4 | 3 | 10 | 14:32 |
| ბასტია | 34 | 11 | 12 | 11 | 43:39 | 45 | 11 | 5 | 1 | 32:8 | 0 | 7 | 10 | 11:31 |
| მეცი | 34 | 9 | 17 | 8 | 38:33 | 44 | 6 | 9 | 2 | 24:15 | 3 | 8 | 6 | 14:18 |
| ნანტი | 34 | 12 | 7 | 15 | 39:40 | 43 | 9 | 2 | 6 | 27:17 | 3 | 5 | 9 | 12:23 |
| რენი | 34 | 12 | 7 | 15 | 44:48 | 43 | 10 | 3 | 4 | 32:18 | 2 | 4 | 11 | 12:30 |
| ტრუა | 34 | 13 | 4 | 17 | 36:52 | 43 | 9 | 2 | 6 | 23:19 | 4 | 2 | 11 | 13:33 |
| მარსელი | 34 | 9 | 15 | 10 | 45:45 | 42 | 6 | 7 | 4 | 28:19 | 3 | 8 | 6 | 17:26 |
| ნანსი | 34 | 11 | 9 | 14 | 43:45 | 42 | 8 | 4 | 5 | 25:18 | 3 | 5 | 9 | 18:27 |
| ლე ავრი | 34 | 9 | 7 | 18 | 30:52 | 34 | 7 | 4 | 6 | 18:15 | 2 | 3 | 12 | 12:37 |
| მონპელიე | 34 | 7 | 10 | 17 | 39:50 | 31 | 4 | 8 | 5 | 22:19 | 3 | 2 | 12 | 17:31 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 35 | 28 | 6 | 1 | 96:24 | 90 | 16 | 1 | 1 | 52:12 | 12 | 5 | 0 | 44:12 |
| სელტიკი | 35 | 20 | 6 | 9 | 88:38 | 66 | 11 | 3 | 3 | 56:17 | 9 | 3 | 6 | 32:21 |
| ჰართსი | 35 | 14 | 9 | 12 | 45:39 | 51 | 6 | 6 | 5 | 23:17 | 8 | 3 | 7 | 22:22 |
| მოზერუელი | 35 | 13 | 10 | 12 | 47:63 | 49 | 7 | 3 | 7 | 25:34 | 6 | 7 | 5 | 22:29 |
| სტ. ჯონსტონი | 35 | 10 | 12 | 13 | 34:41 | 42 | 5 | 7 | 6 | 16:18 | 5 | 5 | 7 | 18:23 |
| ჰიბერნიანი | 35 | 10 | 11 | 14 | 48:59 | 41 | 7 | 6 | 5 | 30:27 | 3 | 5 | 9 | 18:32 |
| დანდი | 35 | 12 | 5 | 18 | 45:62 | 41 | 4 | 3 | 10 | 20:31 | 8 | 2 | 8 | 25:31 |
| დანდი იუნ. | 35 | 11 | 6 | 18 | 34:55 | 39 | 6 | 4 | 8 | 16:22 | 5 | 2 | 10 | 18:33 |
| კილმარნოკი | 35 | 7 | 13 | 15 | 35:50 | 34 | 4 | 5 | 8 | 13:20 | 3 | 8 | 7 | 22:30 |
| აბერდინი | 35 | 8 | 6 | 21 | 42:83 | 30 | 6 | 4 | 8 | 28:37 | 2 | 2 | 13 | 14:46 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 34 | 18 | 6 | 10 | 60:37 | 60 | 14 | 2 | 1 | 41:12 | 4 | 4 | 9 | 19:25 |
| ბრეშა | 34 | 14 | 14 | 6 | 49:32 | 56 | 9 | 5 | 3 | 28:11 | 5 | 9 | 3 | 21:21 |
| ნაპოლი | 34 | 15 | 11 | 8 | 48:39 | 56 | 10 | 6 | 1 | 29:14 | 5 | 5 | 7 | 19:25 |
| ატალანტა | 34 | 15 | 10 | 9 | 44:32 | 55 | 11 | 4 | 2 | 30:15 | 4 | 6 | 7 | 14:17 |
| სამპდორია | 34 | 13 | 11 | 10 | 36:35 | 50 | 7 | 6 | 3 | 20:15 | 6 | 5 | 7 | 16:20 |
| სალერნიტანა | 34 | 13 | 10 | 11 | 50:47 | 49 | 10 | 5 | 2 | 32:15 | 3 | 5 | 9 | 18:32 |
| ტრევიზო | 34 | 12 | 11 | 11 | 46:42 | 47 | 11 | 5 | 1 | 34:16 | 1 | 6 | 10 | 12:26 |
| ჯენოა | 34 | 13 | 8 | 13 | 42:38 | 47 | 11 | 5 | 2 | 32:16 | 2 | 3 | 11 | 10:22 |
| რავენა | 34 | 10 | 14 | 10 | 34:32 | 44 | 8 | 7 | 2 | 20:9 | 2 | 7 | 8 | 14:23 |
| პესკარა | 34 | 9 | 16 | 9 | 53:44 | 43 | 7 | 6 | 4 | 34:19 | 2 | 10 | 5 | 19:25 |
| კიევო | 34 | 10 | 13 | 11 | 42:44 | 43 | 7 | 8 | 2 | 24:17 | 3 | 5 | 9 | 18:27 |
| კოზენცა | 34 | 10 | 13 | 11 | 29:35 | 43 | 9 | 5 | 3 | 17:10 | 1 | 8 | 8 | 12:25 |
| ჩეზენა | 34 | 8 | 18 | 8 | 39:36 | 42 | 7 | 10 | 0 | 25:11 | 1 | 8 | 8 | 14:25 |
| მონცა | 34 | 8 | 18 | 8 | 37:38 | 42 | 6 | 12 | 0 | 21:13 | 2 | 6 | 8 | 16:25 |
| ტერნანა | 34 | 9 | 15 | 10 | 38:42 | 42 | 6 | 9 | 2 | 23:17 | 3 | 6 | 8 | 15:25 |
| ემპოლი | 34 | 10 | 12 | 12 | 34:47 | 42 | 10 | 4 | 2 | 23:16 | 0 | 8 | 10 | 11:31 |
| პისტოიეზე | 34 | 11 | 10 | 13 | 36:40 | 39 | 9 | 5 | 3 | 20:12 | 2 | 5 | 10 | 16:28 |
| ალძანო | 34 | 9 | 11 | 14 | 32:44 | 38 | 8 | 4 | 5 | 23:23 | 1 | 7 | 9 | 9:21 |
| სავოია | 34 | 6 | 11 | 17 | 32:53 | 29 | 5 | 8 | 4 | 19:17 | 1 | 3 | 13 | 13:36 |
| ფერმანა | 34 | 6 | 10 | 18 | 32:56 | 28 | 6 | 5 | 6 | 19:21 | 0 | 5 | 12 | 13:35 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 34 | 16 | 10 | 8 | 39:22 | 58 | 12 | 3 | 2 | 28:9 | 4 | 7 | 6 | 11:13 |
| პიზა | 34 | 15 | 12 | 7 | 34:23 | 57 | 9 | 4 | 4 | 21:15 | 6 | 8 | 3 | 13:8 |
| ჩიტადელა | 34 | 14 | 13 | 7 | 39:27 | 55 | 9 | 5 | 3 | 23:10 | 5 | 8 | 4 | 16:17 |
| ვარეზე | 34 | 13 | 14 | 7 | 42:27 | 53 | 9 | 6 | 2 | 23:11 | 4 | 8 | 5 | 19:16 |
| ბრეშელო | 34 | 12 | 14 | 8 | 35:32 | 50 | 6 | 8 | 3 | 17:13 | 6 | 6 | 5 | 18:19 |
| ლუკეზე | 34 | 11 | 16 | 7 | 35:30 | 49 | 9 | 6 | 2 | 20:11 | 2 | 10 | 5 | 15:19 |
| ლივორნო | 34 | 10 | 16 | 8 | 39:34 | 46 | 7 | 6 | 4 | 23:16 | 3 | 10 | 4 | 16:18 |
| სპალ | 34 | 11 | 13 | 10 | 34:31 | 46 | 7 | 7 | 3 | 18:11 | 4 | 6 | 7 | 16:20 |
| ალბინოლეფე | 34 | 11 | 12 | 11 | 36:37 | 45 | 8 | 5 | 4 | 25:17 | 3 | 7 | 7 | 10:14 |
| კომო | 34 | 9 | 17 | 8 | 32:28 | 44 | 5 | 10 | 2 | 14:10 | 4 | 7 | 6 | 18:18 |
| კარარეზე | 34 | 9 | 14 | 11 | 30:35 | 41 | 5 | 10 | 2 | 19:14 | 4 | 4 | 9 | 11:21 |
| მოდენა | 34 | 9 | 14 | 11 | 24:32 | 41 | 4 | 9 | 4 | 11:13 | 5 | 5 | 7 | 13:19 |
| რეჯანა | 34 | 10 | 10 | 14 | 33:36 | 40 | 8 | 4 | 5 | 20:15 | 2 | 6 | 9 | 13:21 |
| ლუმეცანე | 34 | 8 | 14 | 12 | 29:37 | 38 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 3 | 7 | 7 | 12:22 |
| ლეკო | 34 | 7 | 15 | 12 | 26:38 | 36 | 3 | 10 | 4 | 12:16 | 4 | 5 | 8 | 14:22 |
| კრემონეზე | 34 | 6 | 17 | 11 | 27:36 | 35 | 4 | 10 | 3 | 17:16 | 2 | 7 | 8 | 10:20 |
| მონტევარკი | 34 | 6 | 14 | 14 | 27:38 | 32 | 5 | 7 | 5 | 17:16 | 1 | 7 | 9 | 10:22 |
| სანდონა | 34 | 3 | 17 | 14 | 24:42 | 26 | 2 | 9 | 6 | 14:18 | 1 | 8 | 8 | 10:24 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 34 | 19 | 12 | 3 | 65:28 | 69 | 13 | 4 | 0 | 40:10 | 6 | 8 | 3 | 25:18 |
| ანკონა | 34 | 17 | 11 | 6 | 50:28 | 62 | 11 | 6 | 0 | 33:13 | 6 | 5 | 6 | 17:15 |
| ასკოლი | 34 | 13 | 17 | 4 | 53:30 | 56 | 7 | 8 | 2 | 32:16 | 6 | 9 | 2 | 21:14 |
| ვიტერბეზე | 34 | 14 | 11 | 9 | 45:39 | 53 | 9 | 7 | 1 | 28:13 | 5 | 4 | 8 | 17:26 |
| არეცო | 33 | 13 | 13 | 7 | 47:34 | 52 | 7 | 9 | 1 | 32:17 | 6 | 4 | 6 | 15:17 |
| პალერმო | 34 | 13 | 13 | 8 | 30:23 | 52 | 9 | 6 | 2 | 20:7 | 4 | 7 | 6 | 10:16 |
| კატანია | 34 | 12 | 13 | 9 | 39:31 | 49 | 8 | 6 | 3 | 23:13 | 4 | 7 | 6 | 16:18 |
| ნოჩერინა | 34 | 10 | 15 | 9 | 27:26 | 45 | 9 | 7 | 1 | 18:6 | 1 | 8 | 8 | 8:19 |
| აველინო | 34 | 11 | 11 | 12 | 34:33 | 44 | 9 | 5 | 3 | 25:12 | 2 | 6 | 9 | 9:21 |
| ჯულიანოვა | 34 | 11 | 10 | 13 | 36:42 | 43 | 8 | 5 | 4 | 18:11 | 3 | 5 | 9 | 18:31 |
| დი სანგრო | 34 | 10 | 13 | 11 | 30:36 | 43 | 7 | 4 | 6 | 20:20 | 3 | 9 | 5 | 10:16 |
| სტაბია | 34 | 9 | 14 | 11 | 38:40 | 41 | 7 | 5 | 5 | 24:17 | 2 | 9 | 6 | 14:23 |
| ლოდიჯანი | 34 | 10 | 11 | 13 | 39:46 | 41 | 8 | 4 | 5 | 22:18 | 2 | 7 | 8 | 17:28 |
| ბენევენტო | 33 | 8 | 14 | 11 | 27:32 | 38 | 6 | 7 | 3 | 18:11 | 2 | 7 | 8 | 9:21 |
| ფ. ანდრია | 34 | 7 | 13 | 14 | 30:43 | 34 | 5 | 8 | 4 | 17:16 | 2 | 5 | 10 | 13:27 |
| გუალდო | 34 | 6 | 14 | 14 | 34:47 | 32 | 5 | 10 | 2 | 17:13 | 1 | 4 | 12 | 17:34 |
| ატლეტიკო | 34 | 5 | 10 | 19 | 25:51 | 25 | 4 | 5 | 8 | 15:24 | 1 | 5 | 11 | 10:27 |
| მარსალა | 34 | 6 | 7 | 21 | 25:65 | 25 | 3 | 5 | 9 | 13:22 | 3 | 2 | 12 | 12:43 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 31 | 17 | 8 | 6 | 60:33 | 59 | 11 | 4 | 1 | 40:12 | 6 | 4 | 5 | 20:21 |
| ბოხუმი | 31 | 16 | 6 | 9 | 58:44 | 54 | 10 | 1 | 5 | 36:23 | 6 | 5 | 4 | 22:21 |
| კოტბუსი | 31 | 15 | 4 | 12 | 55:39 | 49 | 11 | 2 | 2 | 35:15 | 4 | 2 | 10 | 20:24 |
| ნიურნბერგი | 31 | 13 | 10 | 8 | 49:43 | 49 | 10 | 5 | 0 | 34:16 | 3 | 5 | 8 | 15:27 |
| გლადბახი | 31 | 12 | 12 | 7 | 51:39 | 48 | 10 | 3 | 3 | 33:16 | 2 | 9 | 4 | 18:23 |
| ალემანია | 31 | 12 | 9 | 10 | 43:47 | 45 | 8 | 4 | 3 | 25:14 | 4 | 5 | 7 | 18:33 |
| ჰანოვერი | 31 | 12 | 7 | 12 | 51:49 | 43 | 7 | 4 | 4 | 30:24 | 5 | 3 | 8 | 21:25 |
| ობერჰაუზენი | 31 | 10 | 12 | 9 | 36:33 | 42 | 8 | 6 | 2 | 25:15 | 2 | 6 | 7 | 11:18 |
| ვალდჰოფი | 31 | 10 | 12 | 9 | 47:48 | 42 | 9 | 5 | 1 | 32:20 | 1 | 7 | 8 | 15:28 |
| ბერლინი | 31 | 10 | 10 | 11 | 40:44 | 40 | 8 | 4 | 4 | 24:19 | 2 | 6 | 7 | 16:25 |
| მაინცი | 31 | 9 | 12 | 10 | 36:35 | 39 | 6 | 8 | 1 | 20:9 | 3 | 4 | 9 | 16:26 |
| ფიურტი | 31 | 8 | 15 | 8 | 34:36 | 39 | 3 | 11 | 2 | 11:8 | 5 | 4 | 6 | 23:28 |
| ქემნიცი | 31 | 10 | 9 | 12 | 39:43 | 39 | 6 | 6 | 3 | 28:19 | 4 | 3 | 9 | 11:24 |
| ზტ. პაული | 31 | 8 | 14 | 9 | 31:35 | 38 | 4 | 9 | 3 | 14:14 | 4 | 5 | 6 | 17:21 |
| კიკერსი | 31 | 9 | 7 | 15 | 45:55 | 34 | 8 | 3 | 5 | 27:25 | 1 | 4 | 10 | 18:30 |
| ოფენბახი | 31 | 7 | 11 | 13 | 30:50 | 32 | 7 | 3 | 6 | 20:23 | 0 | 8 | 7 | 10:27 |
| ფორტუნა | 31 | 6 | 11 | 14 | 30:46 | 29 | 5 | 6 | 4 | 19:17 | 1 | 5 | 10 | 11:29 |
| კარლსრუე | 31 | 5 | 11 | 15 | 34:50 | 26 | 3 | 6 | 6 | 12:15 | 2 | 5 | 9 | 22:35 |

### ჩეხეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 24 | 4 | 2 | 81:23 | 76 | 14 | 1 | 0 | 50:8 | 10 | 3 | 2 | 31:15 |
| სლავია | 30 | 21 | 5 | 4 | 53:25 | 68 | 13 | 1 | 1 | 35:9 | 8 | 4 | 3 | 18:16 |
| დრნოვიცე | 30 | 14 | 6 | 10 | 36:32 | 48 | 10 | 3 | 2 | 21:6 | 4 | 3 | 8 | 15:26 |
| ბრნო | 30 | 12 | 6 | 12 | 35:33 | 42 | 10 | 3 | 2 | 28:12 | 2 | 3 | 10 | 7:21 |
| ტეპლიცე | 30 | 10 | 11 | 9 | 38:38 | 41 | 8 | 6 | 1 | 23:11 | 2 | 5 | 8 | 15:27 |
| დუკლა | 30 | 11 | 7 | 12 | 33:36 | 40 | 9 | 3 | 3 | 24:13 | 2 | 4 | 9 | 9:23 |
| ბოჰემიანსი | 30 | 10 | 10 | 10 | 24:28 | 40 | 7 | 4 | 4 | 14:8 | 3 | 6 | 6 | 10:20 |
| ლიბერეცი | 30 | 9 | 11 | 10 | 21:24 | 38 | 7 | 5 | 3 | 12:5 | 2 | 6 | 7 | 9:19 |
| ვიქტორია | 30 | 9 | 10 | 11 | 37:41 | 37 | 7 | 7 | 1 | 27:17 | 2 | 3 | 10 | 10:24 |
| ზლინი | 30 | 10 | 7 | 13 | 28:45 | 37 | 9 | 0 | 6 | 16:18 | 1 | 7 | 7 | 12:27 |
| ბანიკი | 30 | 8 | 11 | 11 | 43:45 | 35 | 5 | 8 | 2 | 28:20 | 3 | 3 | 9 | 15:25 |
| სიგმა | 30 | 7 | 13 | 10 | 31:38 | 34 | 4 | 8 | 3 | 18:15 | 3 | 5 | 7 | 13:23 |
| იაბლონეცი | 30 | 7 | 11 | 12 | 24:36 | 32 | 6 | 6 | 3 | 20:12 | 1 | 5 | 9 | 4:24 |
| ბუდეიოვიცე | 30 | 9 | 5 | 16 | 34:49 | 32 | 8 | 2 | 5 | 24:16 | 1 | 3 | 11 | 10:33 |
| ოპავა | 30 | 6 | 10 | 14 | 31:39 | 28 | 6 | 6 | 3 | 21:11 | 0 | 4 | 11 | 10:28 |
| ჰ. კრალოვე | 30 | 4 | 11 | 15 | 21:38 | 23 | 3 | 6 | 6 | 11:17 | 1 | 5 | 9 | 10:21 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 39 | 18 | 11 | 10 | 53:38 | 65 | 9 | 6 | 4 | 26:15 | 9 | 5 | 6 | 27:23 |
| ვილიარეალი | 39 | 17 | 11 | 11 | 56:42 | 62 | 10 | 6 | 4 | 27:18 | 7 | 5 | 7 | 29:24 |
| ოსასუნა | 39 | 18 | 6 | 15 | 42:34 | 60 | 11 | 3 | 5 | 24:11 | 7 | 3 | 10 | 18:23 |
| ესტრემადურა | 39 | 16 | 12 | 11 | 46:41 | 60 | 12 | 7 | 1 | 31:11 | 4 | 5 | 10 | 15:30 |
| სალამანკა | 39 | 16 | 11 | 12 | 47:39 | 59 | 10 | 4 | 5 | 27:16 | 6 | 7 | 7 | 20:23 |
| სპორტინგი | 39 | 17 | 7 | 15 | 51:45 | 58 | 10 | 3 | 7 | 29:21 | 7 | 4 | 8 | 22:24 |
| მერიდა | 39 | 15 | 13 | 11 | 39:33 | 58 | 8 | 7 | 4 | 21:14 | 7 | 6 | 7 | 18:19 |
| ლევანტე | 39 | 15 | 13 | 11 | 50:46 | 58 | 12 | 6 | 2 | 33:14 | 3 | 7 | 9 | 17:32 |
| ლეიდა | 39 | 16 | 9 | 14 | 58:48 | 57 | 10 | 5 | 4 | 33:18 | 6 | 4 | 10 | 25:30 |
| კორდობა | 39 | 14 | 12 | 13 | 42:41 | 54 | 10 | 3 | 6 | 25:23 | 4 | 9 | 7 | 17:18 |
| ლეგანესი | 39 | 14 | 14 | 11 | 39:39 | 53 | 9 | 7 | 3 | 20:8 | 5 | 7 | 8 | 19:31 |
| ალბასეტე | 39 | 13 | 14 | 12 | 46:50 | 53 | 8 | 7 | 4 | 23:19 | 5 | 7 | 8 | 23:31 |
| ტენერიფე | 39 | 13 | 12 | 14 | 45:44 | 51 | 9 | 7 | 4 | 31:18 | 4 | 5 | 10 | 14:26 |
| ეიბარი | 39 | 12 | 15 | 12 | 44:47 | 51 | 8 | 8 | 4 | 25:17 | 4 | 7 | 8 | 19:30 |
| ელჩე | 39 | 11 | 17 | 11 | 43:48 | 50 | 7 | 9 | 4 | 25:25 | 4 | 8 | 7 | 18:23 |
| ბადახოსი | 39 | 9 | 22 | 8 | 33:33 | 49 | 4 | 11 | 5 | 18:22 | 5 | 11 | 3 | 15:11 |
| ხეტაფე | 39 | 12 | 9 | 18 | 37:45 | 45 | 8 | 5 | 7 | 23:20 | 4 | 4 | 11 | 14:25 |
| ატლეტიკო B | 39 | 12 | 9 | 18 | 42:56 | 45 | 7 | 4 | 8 | 26:27 | 5 | 5 | 10 | 16:29 |
| კომპოსტელა | 39 | 9 | 17 | 13 | 45:51 | 44 | 6 | 7 | 6 | 25:22 | 3 | 10 | 7 | 20:29 |
| ლოგრონიესი | 39 | 10 | 13 | 16 | 50:53 | 43 | 7 | 8 | 4 | 29:23 | 3 | 5 | 12 | 21:30 |
| უელვა | 39 | 11 | 9 | 19 | 38:51 | 42 | 5 | 5 | 10 | 22:28 | 6 | 4 | 9 | 16:23 |
| ტოლედო | 39 | 9 | 8 | 22 | 30:52 | 35 | 6 | 4 | 10 | 19:24 | 3 | 4 | 12 | 11:28 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 34 | 23 | 8 | 3 | 57:22 | 77 | 13 | 3 | 1 | 31:10 | 10 | 5 | 2 | 26:12 |
| პორტუ | 34 | 22 | 7 | 5 | 66:26 | 73 | 16 | 1 | 0 | 42:9 | 6 | 6 | 5 | 24:17 |
| ბენფიკა | 34 | 21 | 6 | 7 | 58:33 | 69 | 14 | 2 | 1 | 36:12 | 7 | 4 | 6 | 22:21 |
| ბოავიშტა | 34 | 16 | 7 | 11 | 40:31 | 55 | 10 | 3 | 4 | 23:14 | 6 | 4 | 7 | 17:17 |
| ჟილ ვისენტე | 34 | 14 | 11 | 9 | 48:34 | 53 | 10 | 5 | 2 | 35:14 | 4 | 6 | 7 | 13:20 |
| მარიტიმუ | 34 | 13 | 11 | 10 | 42:36 | 50 | 8 | 7 | 2 | 21:10 | 5 | 4 | 8 | 21:26 |
| გიმარაეში | 34 | 14 | 6 | 14 | 48:43 | 48 | 12 | 2 | 3 | 32:15 | 2 | 4 | 11 | 16:28 |
| ამადორა | 34 | 10 | 15 | 9 | 40:35 | 45 | 6 | 7 | 4 | 23:16 | 4 | 8 | 5 | 17:19 |
| ბრაგა | 34 | 12 | 7 | 15 | 44:45 | 43 | 8 | 2 | 7 | 23:18 | 4 | 5 | 8 | 21:27 |
| ლეირია | 34 | 10 | 12 | 12 | 31:35 | 42 | 7 | 6 | 4 | 20:14 | 3 | 6 | 8 | 11:21 |
| ალვერკა | 34 | 11 | 8 | 15 | 39:48 | 41 | 9 | 4 | 4 | 24:15 | 2 | 4 | 11 | 15:33 |
| ბელენენსეში | 34 | 9 | 13 | 12 | 36:38 | 40 | 6 | 8 | 3 | 21:17 | 3 | 5 | 9 | 15:21 |
| კამპომაიორ. | 34 | 10 | 6 | 18 | 31:51 | 36 | 8 | 3 | 6 | 17:17 | 2 | 3 | 12 | 14:34 |
| ფარენსე | 34 | 8 | 11 | 15 | 35:60 | 35 | 6 | 6 | 5 | 24:25 | 2 | 5 | 10 | 11:35 |
| სალგეირუში | 34 | 9 | 7 | 18 | 30:49 | 34 | 5 | 5 | 7 | 15:22 | 4 | 2 | 11 | 15:27 |
| რიუ ავე | 34 | 8 | 9 | 17 | 34:54 | 33 | 7 | 6 | 4 | 24:19 | 1 | 3 | 13 | 10:35 |
| სეტუბალი | 34 | 9 | 6 | 19 | 25:49 | 33 | 6 | 3 | 8 | 18:22 | 3 | 3 | 11 | 7:27 |
| სანტა კლარა | 34 | 7 | 10 | 17 | 35:50 | 31 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 2 | 3 | 12 | 16:28 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 34 | 27 | 3 | 4 | 105:24 | 84 | 14 | 1 | 2 | 60:12 | 13 | 2 | 2 | 45:12 |
| ჰერენვენი | 34 | 21 | 5 | 8 | 65:36 | 68 | 11 | 3 | 3 | 37:17 | 10 | 2 | 5 | 28:19 |
| ფეიენოორდი | 34 | 18 | 10 | 6 | 66:42 | 64 | 10 | 4 | 3 | 30:14 | 8 | 6 | 3 | 36:28 |
| ვიტესი | 34 | 18 | 9 | 7 | 67:43 | 63 | 13 | 2 | 2 | 44:23 | 5 | 7 | 5 | 23:20 |
| აიაქსი | 34 | 18 | 7 | 9 | 72:51 | 61 | 12 | 1 | 4 | 44:23 | 6 | 6 | 5 | 28:28 |
| ტვენტე | 34 | 16 | 12 | 6 | 57:37 | 60 | 12 | 3 | 2 | 38:18 | 4 | 9 | 4 | 19:19 |
| ალკმარი | 34 | 17 | 4 | 13 | 69:59 | 55 | 8 | 3 | 6 | 27:14 | 9 | 1 | 7 | 42:45 |
| როდა | 34 | 16 | 7 | 11 | 62:53 | 55 | 11 | 0 | 6 | 41:27 | 5 | 7 | 5 | 21:26 |
| ტილბურგი | 34 | 13 | 9 | 12 | 55:65 | 48 | 8 | 5 | 4 | 33:33 | 5 | 4 | 8 | 22:32 |
| უტრეხტი | 34 | 14 | 4 | 16 | 55:61 | 46 | 10 | 4 | 3 | 34:21 | 4 | 0 | 13 | 21:40 |
| ვალვაიკი | 34 | 12 | 6 | 16 | 44:67 | 42 | 6 | 6 | 5 | 24:30 | 6 | 0 | 11 | 20:37 |
| სიტარდი | 34 | 10 | 8 | 16 | 47:54 | 38 | 6 | 5 | 6 | 30:27 | 4 | 3 | 10 | 17:27 |
| სპარტა | 34 | 11 | 4 | 19 | 48:75 | 37 | 7 | 2 | 8 | 28:29 | 4 | 2 | 11 | 20:46 |
| გრააფსხაპი | 34 | 8 | 9 | 17 | 41:60 | 33 | 5 | 6 | 6 | 23:23 | 3 | 3 | 11 | 18:37 |
| ნაიმეგენი | 34 | 7 | 6 | 21 | 35:62 | 27 | 7 | 1 | 9 | 17:22 | 0 | 5 | 12 | 18:40 |
| მაასტრიხტი | 34 | 6 | 7 | 21 | 38:68 | 25 | 4 | 5 | 8 | 22:30 | 2 | 2 | 13 | 16:38 |
| კამბური | 34 | 6 | 7 | 21 | 35:66 | 25 | 3 | 5 | 9 | 18:29 | 3 | 2 | 12 | 17:37 |
| დენ ბოსხი | 34 | 4 | 11 | 19 | 36:74 | 23 | 3 | 8 | 6 | 24:31 | 1 | 3 | 13 | 12:43 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 37 | 24 | 8 | 5 | 57:25 | 80 | 16 | 1 | 1 | 33:7 | 8 | 7 | 4 | 24:18 |
| გენგამი | 37 | 18 | 12 | 7 | 62:41 | 66 | 10 | 5 | 4 | 36:22 | 8 | 7 | 3 | 26:19 |
| ტულუზი | 37 | 18 | 8 | 11 | 51:30 | 62 | 10 | 3 | 6 | 30:13 | 8 | 5 | 5 | 21:17 |
| სოშო | 37 | 17 | 8 | 12 | 51:41 | 59 | 9 | 3 | 6 | 27:20 | 8 | 5 | 6 | 24:21 |
| გენიონი | 37 | 13 | 17 | 7 | 47:30 | 56 | 6 | 9 | 3 | 25:15 | 7 | 8 | 4 | 22:15 |
| აიაჩო | 37 | 15 | 8 | 14 | 37:40 | 53 | 11 | 2 | 6 | 20:14 | 4 | 6 | 8 | 17:26 |
| კაენი | 37 | 12 | 16 | 9 | 50:36 | 52 | 7 | 8 | 3 | 32:19 | 5 | 8 | 6 | 18:17 |
| ლავალი | 37 | 13 | 15 | 10 | 41:39 | 51 | 10 | 4 | 5 | 25:19 | 3 | 11 | 5 | 16:20 |
| ლე მანი | 37 | 12 | 15 | 10 | 44:44 | 51 | 8 | 10 | 0 | 25:13 | 4 | 5 | 10 | 19:31 |
| შატორუ | 37 | 13 | 11 | 13 | 42:44 | 50 | 8 | 5 | 5 | 24:19 | 5 | 5 | 8 | 15:22 |
| ნიმი | 37 | 12 | 11 | 14 | 41:42 | 47 | 7 | 7 | 5 | 27:24 | 5 | 4 | 9 | 14:18 |
| ნიცა | 37 | 9 | 20 | 8 | 30:33 | 47 | 6 | 12 | 1 | 19:9 | 3 | 8 | 7 | 11:24 |
| ნიორი | 37 | 10 | 15 | 12 | 41:46 | 45 | 8 | 6 | 4 | 22:20 | 2 | 9 | 8 | 19:26 |
| კანი | 37 | 11 | 12 | 14 | 31:37 | 45 | 8 | 5 | 5 | 16:14 | 3 | 7 | 9 | 15:23 |
| ლორიანი | 37 | 11 | 11 | 15 | 31:39 | 44 | 5 | 8 | 5 | 19:14 | 6 | 3 | 10 | 12:25 |
| ვასკეალი | 37 | 9 | 16 | 12 | 33:39 | 43 | 7 | 8 | 4 | 21:17 | 2 | 8 | 8 | 12:22 |
| კრეტეი | 37 | 10 | 11 | 16 | 33:51 | 41 | 8 | 8 | 4 | 27:23 | 2 | 4 | 12 | 9:31 |
| ამიენი | 37 | 7 | 15 | 15 | 30:43 | 36 | 4 | 9 | 5 | 15:16 | 3 | 6 | 10 | 15:27 |
| ვალანსი | 37 | 6 | 14 | 17 | 35:53 | 32 | 6 | 7 | 5 | 18:15 | 0 | 7 | 12 | 17:38 |
| ლუანი | 37 | 5 | 9 | 23 | 31:65 | 24 | 4 | 6 | 9 | 18:26 | 1 | 3 | 14 | 13:39 |

### პოლონეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 27 | 18 | 5 | 4 | 48:22 | 59 | 11 | 2 | 1 | 29:6 | 7 | 3 | 3 | 19:16 |
| ვისლა | 27 | 15 | 7 | 5 | 59:34 | 52 | 11 | 2 | 1 | 39:13 | 4 | 5 | 4 | 20:21 |
| რუხი | 27 | 14 | 9 | 4 | 47:26 | 51 | 11 | 4 | 1 | 36:15 | 5 | 5 | 3 | 15:14 |
| ლეგია | 27 | 13 | 10 | 4 | 52:29 | 49 | 8 | 5 | 0 | 30:9 | 5 | 5 | 4 | 22:20 |
| ამიცა | 27 | 10 | 10 | 7 | 39:31 | 40 | 6 | 5 | 2 | 20:11 | 4 | 5 | 5 | 19:20 |
| ზაგლებე | 27 | 10 | 9 | 8 | 35:30 | 39 | 9 | 3 | 1 | 25:11 | 1 | 6 | 7 | 10:19 |
| სტომილი | 27 | 8 | 11 | 8 | 28:36 | 35 | 6 | 8 | 0 | 18:10 | 2 | 3 | 8 | 10:26 |
| პოგონი | 27 | 8 | 10 | 9 | 39:46 | 34 | 6 | 4 | 4 | 21:18 | 2 | 6 | 5 | 18:28 |
| რაძიონკოვი | 27 | 10 | 4 | 13 | 35:44 | 34 | 8 | 1 | 4 | 19:13 | 1 | 3 | 9 | 12:30 |
| ოდრა | 27 | 9 | 6 | 12 | 28:31 | 33 | 5 | 3 | 5 | 17:16 | 4 | 3 | 7 | 11:15 |
| ვიძევი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:44 | 33 | 6 | 4 | 2 | 22:17 | 3 | 2 | 9 | 15:27 |
| გროცლინი | 27 | 9 | 2 | 16 | 24:43 | 29 | 6 | 1 | 7 | 15:18 | 3 | 1 | 9 | 9:25 |
| პლოცკი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:39 | 27 | 5 | 6 | 2 | 14:10 | 2 | 0 | 10 | 11:29 |
| გურნიკი | 27 | 6 | 8 | 13 | 34:38 | 26 | 4 | 3 | 6 | 18:16 | 2 | 5 | 7 | 16:22 |
| ლკს | 27 | 6 | 7 | 14 | 22:35 | 25 | 6 | 4 | 4 | 20:18 | 0 | 3 | 10 | 2:17 |
| ლეხი | 26 | 4 | 6 | 16 | 30:52 | 18 | 3 | 3 | 6 | 18:20 | 1 | 3 | 10 | 12:32 |



მარტინა ნავრატილოვა

# ჩოგბურთელი და ტურისტი

…არტინა ნავრატილოვას კარიე… …ი საკმარისზე მეტი ტურნირი (167 …ეულებში და 165 წყვილებში, მიღ…, რომლის გაუმჯობესებაზე ფი…ც კი შეაშინებს კაცს) მოუგია. ახლა …უბრალოდ გართობა და ბევრი კო…ნენტის დათვალიერება სურს.

…3 წლის ლეგენდარული ჩოგბურ…ლი, რომელიც სულ მალე დიდების …ბაზი უნდა მიიღონ, ამ ზაფხულის…ს თავიდან მხოლოდ ისტბორნსა …საყვარელ უიმბლდონზე წყვილე… …ასპარეზობას გეგმავდა, მაგრამ თა…თან მადაზე მოვიდა და ევროპული …რნე შესამჩნევად გაახანგრძლივა — სიას ახლა მადრიდი და პარიზიც და-ემატა.

„მე უბრალოდ დროის კარგად გატარება მსურს. ვიცი, რომ ახალგაზრდებთან გაჯიბრება შემიძლია, სულაც არ ვაპირებ, ვინმეს თავი მასხრად ავაგდებინო“ — განუცხადა აწ უკვე ამერიკის მოქალაქე ჩეხმა ჟურნალისტებს კოლორადოში მდებარე თავისი სახლიდან.

ნავრატილოვა დიდ სპორტს 1994-ში გამოეთხოვა, თუმცა მომდევნო წელს უიმბლდონზე შერეულ წყვილებში ჩემპიონობასაც კი შეწვდა. რამდენიმე კვირის წინ მის განცხადებას პროფესიონალებში დროებით დაბრუნების შესახებ არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა — ზოგი ცოცხალი ლეგენდის კორტზე ხილვის პერსპექტივამ ძალიან გაახარა, ზოგმაც ეს საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მიქცევის მცდელობად მიიჩნია.

თავად მარტინას სხვისი აზრი ნაკლებად აინტერესებს. მან გადაწყვიტა, ბალახის საფარზე თამაშის გარდა თიხნარზე, ესპანეთისა და საფრანგეთის ღია პირველობებზეც ეცადა ბედი, თუმცა ამჯერად მხოლოდ სასტუმროს ნომრებისა და კორტების ნახვას არ აპირებს.

„მადრიდში არასოდეს ვყოფილვარ, სწორედ ამიტომ მივანიჭე უპირატესობა მას და არა სტრასბურგს. თანაც დედაჩემიც ჩამოვა და ერთად დავათვალიერებთ ქალაქს — აღნიშნა მარტინამ, რომელიც ამის შემდეგ როლან გაროსზე გადაინაცვლებს — საფრანგეთში ყოფნა ძალიან მსიამოვნებდა, მაგრამ პარიზში გასეირნების შანსი არასოდეს მქონია, ლუვრიც კი არ დამითვალიერებია. როდესაც ერთეულებში თამაშობ, ენერგია უნდა დაზოგო.“

ნავრატილოვას ამ ტურნეს მოწყობის იდეა შარშან, უიმბლდონზე დაბადებია: „ლონდონში სულ წვიმს ხოლმე, ამიტომ როდესაც მზემ გამოანათა, სამი წლის შესვენების შემდეგ პირველად ვითამაშე ბალახზე. რაც უფრო ბერდები, ეს კორტები მით უფრო სასიამოვნო ხდება — სხეულს გაცილებით ნაკლებად ვნებს. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ ცოტა ხნით დავბრუნებულიყავი“.

მარტინას ერთადერთი რამ უნდა მოეგვარებინა — ხეირიანი პარტნიორის გამონახვა არცთუ იოლი გამოდგა: „რამდენიმე სეზონის გამოტოვებამ ჩემი ავტორიტეტი შეიწირა, მეწყვილე ვერ ვიპოვე, ჩემთან თამაში აღარავის სურს“.

როდესაც ძველმა მეგობარმა, 29 წლის სამხრეთაფრიკელმა მარიან დე შვარდტმა საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა, ნავრატილოვა უმალ დათანხმდა.

„ჩემთვის დიდი პატივია მასთან ერთად თამაში როლან გაროსსა და უიმბლდონზე — აღნიშნავს დე შვარდტი — მარტინა უდიდესი სპორტსმენია. ის ახლაც უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ტურზე მოასპარეზე ქალების 70 პროცენტი, ჩემი ჩათვლით“.

უიმბლდონზე ნავრატილოვას ბევრი თავისუფალი დრო არ ექნება. სულ ახლახან მან TNT-სა და CNN/SI-ის არხებთან მრავალწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და „ოლ ინგლენდ კლაბიდან“ ჩრდილოეთ ამერიკისთვის გადაცემულ საჩოგბურთო რეპორტაჟებს გაუძღვება.

# გვიანი არასოდეს არის

…წინა კვირაში ნატალი ტოზიამ უხ…როდ დაიბევა ადგილი ისტორიაში …მისებრ გვიან, 32 წლისა მსოფლიო…მესამე ჩოგანი აქამდე არავინ გამ…რა.

…ტერანის ეს მიღწევა თითქმის არა…შეუმჩნევია, თუმცა ფრანგი დიაცი …მედიის ყურადღების ცენტრში სხვა …ეზის გამო მაინც მოხვდა. ამ დღე…ვე გამოვიდა მისი წიგნი „ქალთა …გბურთის კულისებში“, რომელშიც …თხველი პროფესიონალის თვალით …ახულ დიდ სპორტს გაეცნობა.

…ველგან მპატიჟებენ, ტელევიზია… …ინტერვიუებზე. ჟურნალისტები წიგ… …გამოსვლით დაინტერესდნენ, ჩემს …ოგბურთო წარმატებებზე კი არა…ს წერენ“ — განუცხადა ყოველდ…ურ „ეკიპს“ ტოზიამ.

…ენსაციებს დახარბებულთა ინტერესი …გებიცაა. ფრანგმა ჩოგბურთელმა …ლისები“ არცთუ სახარბიელო ფე…მი აღწერა: „ამ მზარდ ბიზნესში …ეთიკასა და მიმზიდველობას გაცი…ით მეტ ყურადღებას აქცევენ, ვი… სპორტულ წარმატებებს. სანამ ანა …ურნიკოვას ლინდსი დევენპორტზე წინ …ებენ, მდგომარეობა არც გამოსწო…ბა“.

…ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა…დაბადებულ ტოზიას 20 წელია, ერთი …იგივე მწვრთნელი, რეჟი დე კამარე …ს, კოლეგებისგან არც ექსტრავაგან…ური ვარცხნილობა, ტანსაცმელი ან ქცე… …გამოარჩევს. სამაგიეროდ, მისებურ აგ…ებული, შემტევი სტილისა და ბადესთან თამაშის მოყვარული ქალთა ჩოგბურთში აღარავინაა დარჩენილი.



ნატალი ტოზია

„არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ კურნიკოვა ან დები უილიამსები ყოველთვის ჩემზე მეტ ყურადღებას იპყრობდნენ, მაგრამ მათი დამარცხება ძალიან მსიამოვნებს“ — ამბობს ფრანგი.

მომეტებულ ინტერესს კი ტოზიასთვის ხეირი ნამდვილად არ დაუყრია. წინა კვირაში ბერლინში ის პირველივე წრეში ჯოანეტ კრუგერმა (6:2, 6:0) გაანადგურა და პრესკონფერენციაზეც აცრემლებას არაფერი უკლდა.

„ყველაფერი ერთდროულად ხდება — მესამე ადგილი კლასიფიკაციაში, ეს წიგნი. აღარ შემიძლია, თავი მისკდება. ჩოგბურთზე კონცენტრირება უნდა მოვახდინო, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამომდის“.

დრო კი ცოტა დარჩა — სულ მალე ტოზიას მშობლიური დიდი სლემის ტურნირი ელის.

**მასტერსის სერია — ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $**

**პიტ სამპრასი** (1, აშშ) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 7:6 (7:5); **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 6:4, 6:3; **მაგნუს ნორმანი** (3. შვედეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:2, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (4, საფრანგეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 6:2; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — ქარიმ ალამი (მაროკო) 5:7, 6:2, 6:3; **მარკ როსე** (შვეიცარია) — ნიკოლას ლაპენტი (6, ეკვადორი) 7:6 (7:4), 6:3; **ტომას ენკვისტი** (7, შვედეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:3, 4:6, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (10, ავსტრალია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (8:6); **უეინ ფერერა** სამხრეთ აფრიკა) — პატრიკ რაფტერი (11, ავსტრალია) 6:4, 7:5; **მარატ საფინი** (12, რუსეთი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:1); **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — დომინიკ ჰრბატი (14, სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (9:7); **ხუან კარლოს ფერერო** (15, ესპანეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 3:6, 6:2, 7:6 (7:5).

**ავთანდილ სვანიძე**



# თასს ერთი გზა ჰქონდა — სტუ-მართვე

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში მედალოსნებიც გამოვლინდნენ და ევროთასებზე მონაწილეობის კანდიდატებიც, გასარკვევი მხოლოდ თასის გამარჯვებული რჩებოდა. კვირას მისი მფლობელიც ცნობილი გახდა — თბილისის სტუ-„მართვემ“ თელავში ადგილობრივი ასკ 49:42 დაამარცხა და დუბლიც გააზერხა.

თბილისელები თელავს შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ, საბოლოოდ კი მწვრთნელმა ძირითადის რამდენიმე ხელბურთელი საერთოდ არ ათამაშა. არ დასჭირვებია და იმიტომ — ფავორიტები სანახევროდაც არ დახარჯულან, ისე მოიგეს. პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში იყო, რომელიც სტუმრებმა მხოლოდ ერთი ბურთით მოიგეს, მაგრამ ეს იმის გამო, რომ ალექსანდრე ბოყოჩაძემ მხოლოდ საწყისი რამდენიმე წუთი ითამაშა. ამ ბიჭისთვის ეროვნული პირველობა მეტისმეტად ვიწრო სარბიელია. ჩვენს ჩემპიონატში რაც კი სტუ-„მართვეს“ თამაშები მინახავს, მისი შეჩერება ვერავინ მოახერხა. თელავშიც ასე იყო. ბოყოჩაძემ მთელი მეორე ტაიმი ითამაშა და ზაზა ფერაძესთან ერთად (თუმც ხელი არც სხვებს დაუკლიათ) მასპინძელთა კარი ბურთებით ამოავსო. მისმა ჟონგლიორობამ თამაში საცირკო შოუს დაამსგავსა. ჯერ იყო და როცა მეტოქემ შეცდომით მიწოდებული პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა, თავაზიანად მადლობა გადაუხადა და მერე ტყორცნა, ერთხელ მეკარესაც გაეხუმრა (ისევ პირისპირ დარჩენილმა დარტყმამდე ადგილზე ახტუნავა), ბოლოს კი ხელუკუღმა ლამაზადაც გაიტანა. გატანა ვახსენეთ და ორჯერ მეკარე როლანდ ერაძემაც შეაგდო საკუთარი კარიდან ნატყორცნი. თელაველებს არც მეკარეთა ცვლამ უშველათ. მუდმივი გაბითურებით თავმობეზრებულმა ერთმა მათგანმა ბოლოს ხელი უმწეოდ ჩაიქნია და მთელი ჯავრი ჰაერში უმიზნოდ მოქნეულ ფეხს გააყოლა.

მოკლედ, ანგარიში სრულად არ ასახავს თამაშის რეალურ სურათს. სტუ-„მართვემ“ პრაგმატული, შედეგზე გათვლილი ხელბურთი ითამაშა, თუმცა არც სილამაზე დავიწყებია. რადგან მეტოქის სისუსტეც ხელს უწყობდა. სტუმრები რომ ბოლომდე არ იხარჯებოდნენ, ყველა გრძნობდა და ერთი თელაველი ქომაგი თავისიანების მისამართით ამბობდა, გაჩერდით, არ გააბრაზოთ, ანგარიში მშვენივრად მიდისო (ბევრით რომ არ აგებდნენ, იმას გულისხმობდა). თელაველები და მეტადრე ლიდერები — გიორგი ბედოშვილი და გიორგი სვიმონიშვილი ბევრს კი ცდილობდნენ, მაგრამ მხოლოდ თავგანწირვით ვერას გახდნენ.

დასრულდა ქალთა ჩემპიონატიც. ოთხ ტურად ჩატარებულ ოთხგუნდა პირველობაში თბილისის „მართვემ“ დაუმარცხებლად ითამაშა და ოქროს მედლებსაც დაეუფლა. ვერცხლი ფოთის „კოლხეთმა“ მოიპოვა, ბრინჯაო — ბათუმის „მენავთობემ“, თბილისელთა მეორე გუნდი კი მეოთხე ადგილს სადღა გაექცეოდა.

**ირაკლი თავაძე**



# გოსპერი გამოძვრა

„დღეს მზემ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვისაც გამოანათა“ — თქვა აღელვებულმა კევინ გოსპერმა, რომელსაც ორშაბათს უთხრეს, უკანონო საჩუქრების მიღებას დღეიდან აღარავინ გაბრალებსო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც პრეზიდენტობისკენაც ილტვის, ბოლო დღეების ანტიგმირად იქცა, მას შემდეგ, რაც თავის გოგოს ოლიმპიური ჩირაღდნის პირველად ტარება არ დაუშალა. მსოფლიოს მასმედიამ ბევრი იქოთქოთა ამ ფაქტის თაობაზე და იმდენი მოახერხა, გოსპერის პიროვნებას ახალი ლაქა მოსცხო. ცალკე საჩუქრების ამბავიც ელოდა გამოძიებას. გეხსომებათ ის გახმაურებული ისტორია, სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად არჩევა ქრთამებს რომ დაუკავშირეს და თვით უმაღლესი და არა მარტო სპორტული წრეების კვლევა — ინტერესის საგნად იქცა. გოსპერსა და მის ცოლს ბრალი დასდეს, 11 ათასი დოლარის ოქროთი და პატიოსანი თვლებით მოოჭვილი სამკაულებით დაგასაჩუქრესო, რაც თურმე სოკ-ის წესდების რომელიღაც მუხლით აკრძალული ყოფილა. გამოძიებას მეტად ცნობილი კაცი ჩაუდგა სათავეში, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ხავიერ პერეს დე კუელარი, რომელმაც ხანგრძლივად ქექა საქმის დეტალები და ორშაბათს განაცხადა, გოსპერი უცოდველია. „არ არსებობს არავითარი საფუძველი საიმისოდ, — ამტკიცებს კუელარის დასკვნა — რომ გოსპერს საჩუქრების შეგნებულად მიღებაში დაედოს ბრალი, ანუ ეს სოკ-ის წესდებას არ არღვევს“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გოსპერის კარიერა შეიძლება წარმატებით გაგრძელდეს და 400 მეტრზე ოლიმპიურ პრიზიორობას (მელბურნში, 44 წლის წინათ) და შემდეგ ნავთობკომპანიის პრეზიდენტობას 66 წლის ოზმა გაისად იქნებ სოკ-ის შეფობაც მიაყოლოს.

თუმცა მხოლოდ შეიძლება. საჩუქრების საქმეში გამარჯვება და სიხარულის ცრემლების გადმოყრა გოსპერის იმიჯს უეჭველად სასიკეთოდ წაადგება, რასაც ჩირაღდნის ისტორიაზე ვერაფრით ვიტყვით. ამ დღეებში გოსპერმა საჯარო ბოდიში მოიხადა და შემდეგ თავად ხუან ანტონიო სამარანჩთან შეიკეტა ოთახში. ოლიმპიზმის პირველი და მეორე მამის საიდუმლო თათბირი შემდეგი შედეგით დასრულდა — გოსპერმა ნებით აიყარა ოლიმპიური ჩირაღდნის წყნარი ოკეანის რეგიონში ჩაბრძანების ცერემონიალის გაძღოლის პატივი, რომელიც მისგან ჩირაღდნით ხელში საპატიო მეტრების გარბენასაც გულისხმობდა და განაცხადა, რომ იმ დროს ევროპას წავა და აწეწილ ნერვებს დაიწყნარებს, შემდეგ კი გუნებაგამოკეთებული რიო დე ჟანეიროში ჩავა სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. ჟურნალისტებთან საუბრისას სამარანჩმა მოწყალე სიტყვები თქვა. „იგი — გოსპერი იგულისხმა პრეზიდენტმა — შეცდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ შეცდომის სიღრმეც შეიცნო და ბოდიშის მოსახდელად ვაჟკაცობა ეყო“. მოკლედ, კუნძულ გუამზე (საიდანაც ჩირაღდანი წყნარი ოკეანის შემოვლას დაიწყებს) გოსპერი არ იქნება, ხოლო უშუალოდ ავსტრალიაში წმინდა ცეცხლის ვოიაჟს იქნებ დაესწროს კიდეც.



კევინ გოსპერი

**დავით გულუა**



ვლადიმერ ბოისა

ქართველებით გაძლიერებულმა ლიუბლიანის „სლოვანმა" წლეულს სლოვენიის ჩემპიონატის პლეი ოფში გასვლით პროგრამა-მაქსიმუმის შესრულება შეძლო. თუ „ოლიმპიას", „პივოვარნასა" და „კრკას" პლეი ოფში მოხვედრა რეგულ' რული ჩემპიონატის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ეჭვს აღარ იწვევდა, „სლოვანმა" ეს უფლება მეტად დაძაბულ და უშეღავათო ბრძოლაში მოიპოვა.
აღსანიშნავია, რომ „სლოვანის" წარმატებაში ლომის წილი დაიდო საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „ოლიმპიას" საკუთრება გახლავთ და ერთი სეზონით „სლოვანში" იყო განათხოვრებული. მას შემდეგ, რაც „ოლიმპია" თავისი არსებობის მანძილზე პირველად დარჩა ფინალს მიღმა, ბოისას კარგი შესაძლებლობა აქვს, მის რიგებში ადგილი დაიმკვიდროს. ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით გვესაუბრება ვლადიმერ ბოისა, რომელსაც „სარბიელი" ეროვნული ნაკრების დანიაში გამგზავრების წინ შეხვდა.

# მიზანი: ოლიმპია, სუპერლიგა ოცნება: პატ რაილის გუნდი

**— ვლადიმერ, როგორ აფასებთ ჩვენი ნაკრების შანსებს დანიაში?**

— წინა წლებისგან განსხვავებით, ჩვენი გუნდი განსაკუთრებით გამოირჩევა ტანმაღალი კალათბურთელების სიმრავლით და აქედან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე გასვლაც ძალგვიძს. თუმცა არის პრობლემაც. ერთმანეთთან შეუთამაშებლები ვართ და ამის გამო, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ შეიძლება დავიჩაგროთ.

**— რას გვეტყვით ჩვენი მეტოქეების შესახებ? თქვენ წინა საკვალიფიკაციო ტურნირში ირლანდიისა და დანიის წინააღმდეგ ითამაშეთ და დებიუტანტებზე უკეთაც უნდა იცნობდეთ მეტოქეებს.**

— დანიელებს კალათბურთისა არაფერი გაეგებათ და მოედანზე წიხლებს იკვრევინებიან. მათთან თამაშისას დიდი ყურადღება გმართებს, რომ არ დაშავდე. გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავთ ირლანდიელებს, რომლებიც ბოლომდე იბრძვიან და უბრალო შეცდომასაც კი არ გპატიობენ. რაც შეეხებათ რუმინელებს, კვიპროსისა და ლუქსემბურგის გუნდებს, მათ წინააღმდეგ არასოდეს მითამაშია.

**— მართალია, ნაკრების შეკრებაზე თავიდან არ ყოფილხართ, მაგრამ გუნდთან ერთად ჩატარებული ოთხი ვარჯიშიც შეგიქმნიდათ წარმოდგენას სავარჯიშო პირობებზე.**

— პირველად ვიყავი ბათუმში და გაოცებული დავრჩი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში, ჩვენს პირობებში, ასეთი კარგი საკალათბურთო დარბაზი აშენდებოდა.

**— ბათუმში მარტო საკალათბურთო დარბაზით არ კმაყოფილდებიან და კარგი გუნდის შექმნასაც აპირებენ. თუ „ბასკომ" სლოვენიელებზე არანაკლებ პირობები შემოგთავაზათ, მიიღებთ მათ წინადადებას?**

— რა თქმა უნდა, კარგია, როცა ნორმალურად გიხდიან, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანი სუპერლიგაში თამაშია.

**— სუპერლიგაში თამაში მსურსო და როგორ აპირებთ დასახული მიზნის განხორციელებას, როდესაც „სლოვანმა" საპრიზო ადგილიც კი ვერ დაიკავა, ხოლო „ოლიმპია" თავისი არსებობის მანძილზე პირველად დარჩა ფინალს მიღმა.**

— მართალია, „ოლიმპიამ" სლოვენიის ჩემპიონობა დათმო, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს სუპერლიგაში თამაშის შანსს. პლეი ოფში „ოლიმპიას" წარუმატებლობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ გუნდი ევროლიგის მომქანცველმა მატჩებმა გადაღალა, თორემ მას ბევრად უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, ვიდრე „კრკას" ან „პივოვარნას". ფიბას გადაწყვეტილებით, ევროპის უპირველეს ლიგაში მოასპარეზე გუნდის დარბაზის ტევადობა ხუთი ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს. სლოვენიაში კი ასეთი სარბიელი მარტო „ოლიმპიას" აქვს. ყველაფერი მაინც სლოვენიის კალათბურთის ფედერაციაზე იქნება დამოკიდებული. იგი სუპერლიგაში იმ გუნდს წარადგენს, ვისაც წარმატების ყველაზე მეტი შანსი ექნება. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სლოვენია არჩევანს „ოლიმპიაზე" გააკეთებს.

**— ვთქვათ და დაუშვეს „ოლიმპია" სუპერლიგაში, თქვენ თუ მოხვდებით მის რიგებში, კვლავაც განათხოვრებას ხომ არ გიპირებენ? პირველი სეზონი ხომ „პოსტოინაში" გაატარეთ, ბოლოს კი „სლოვანში" იმყოფებოდით.**

— არ ვიცი, ყველაფერი აგვისტოში გადაწყდება, საზაფხულო არდადეგების შემდეგ. „ოლიმპიაში" ჩემი უშუალო კონკურენტი მარკო მილიჩია. თუ ის გუნდიდან გაუშვეს, „ოლიმპიას" ძირითადში მოხვედრის მეტი შანსი მექნება.

**— როგორ შეაფასა კლუბის ხელმძღვანელობამ „სლოვანის" მიერ მოპოვებული მეოთხე ადგილი?**

— მიუხედავად იმისა, რომ საპრიზო ადგილებს მიღმა დავრჩით, შედეგით ყველა კმაყოფილია და მოთამაშეებს გვემადლიერებიან.

**— თქვენი თამაში თუ მოიწონა „სლოვანის" უფროსობამ?**

— სასტარტო ხუთეულის მოთამაშე ვიყავი და საშუალოდ 26 წუთი მიწევდა მოედანზე ყოფნა. „სლოვანის" კალათბურთელთა შორის ეს შედეგი მეორეა. ალბათ, მწვრთნელსაც არაფერი ჰქონდა ჩემი საწინააღმდეგო.

**— ამბობთ, ჩემი შედეგი მეორეა გუნდშიო, ყველაზე მეტად კი რომელ კალათბურთელს ენდობოდნენ „სლოვანის" თავკაცები?**

— ყველაზე დიდხანს ცენტრ ჯურკოვიჩს აჩერებდნენ მოედანზე და ისიც იმიტომ, რომ მას სერიოზული კონკურენტი არ ჰყავს. მართალია, ჩვენებური დავით უგრეხელიძე კარგი და მეტად პერსპექტიული კალათბურთელია, მაგრამ ძალიან ახალგაზრდაა და გამოცდილება აკლია.

**— რას გეუბნებიან „სლოვანის" ხელმძღვანელები, გუნდში დარჩენა თუ შემოგთავაზეს?**

— შემომთავაზესო? ეგ კი არა, სულ იმას ჩამჩიჩინებენ, მომავალი სეზონიც ჩვენთან გაატარეო. ჩემი მიზანი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, „ოლიმპიასა" და სუპერლიგაში თამაშია.

**— უკვე გატყობთ, სუპერლიგაში თამაშის შემდეგ არც „ოლიმპიაში" გაგიჩერდებათ გული. სლოვენიის შემდეგ რომელ ქვეყანაში გსურთ კარიერის გაგრძელება?**

— დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ესპანეთში ან იტალიაში.

**— გუნდებსაც ხომ ვერ დაგვისახელებთ?**

— ესპანეთში „ბარსელონა" ან „რეალი", იტალიაში კი „ფორტიტუდო" ან „ბენეტონი".

**— ეს თქვენი სურვილია თუ ოცნება?**

— ოცნებით დიდი ხანია, რაც ნბა-ს საკალათბურთო კლუბ „მაიამი ჰითში" ვთამაშობ.

**— ცუდი გუნდი ნამდვილად არ ამოგიჩრიათ გულში, მაგრამ არსებობენ უფრო ტიტულიანნი და ისეთებიც, რომლებიც დღეს გაცილებით ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, ვიდრე „მაიამია"...**

— ჩემი კერპი „მაიამის" მთავარი მწვრთნელი პატ რაილია და სადაც ის იმუშავებს, ჩემი ოცნების გუნდიც ის იქნება.

**— მაინც რა დაინახეთ ასეთი ამ კაცში?**

— ყველაფერი, რაც მწვრთნელს უნდა ახასიათებდეს.

**— ახლა თქვენს ავ-კარგზე გველაპარაკეთ.**

— „სლოვანი" დიდ ყურადღებას უთმობს დაცვაში თამაშს და რადგან ხშირად მიწევს მოედანზე ყოფნა, ჩემი დადებითი მხარეც ეს გახლავთ. რაც შეეხება ხარვეზებს, მეტი მუშაობა მჭირდება დრიბლინგის დამუშავებასა და გარედან თამაშზე. „ბარსელონაში", „ფორტიტუდოში" და „მაიამიში" ჩემი სიმაღლის კალათბურთელს ცენტრში ნამდვილად გაუჭირდება. ამიტომაც ვცდილობ, ფლანგებიდან თამაშში დავოსტატდე.

**— ერთ გუნდში რომ ერთბაშად ოთხ ქართველ ლეგიონერ კალათბურთელს ეთამაშოს, ეს პირველი შემთხვევაა. თამაშისა და ვარჯიშების შემდეგ დროს როგორ ატარებთ, იმედია, არ იწყენთ.**

— მართალია, ყველა ერთად არ ვცხოვრობთ, მაგრამ თავისუფალ დროს ძირითადად ერთად ვატარებთ. მე მარტო ვარ ოროთახიან ბინაში, ნიკა ცქიტიშვილიც ორ ოთახში ცხოვრობს, დედასა და პატარა ძმასთან ერთად. რაც შეეხებათ დავით უგრეხელიძესა და ირაკლი კეიდიას, მათ საცხოვრებლად ორსართულიანი სახლი აირჩიეს.

**— ოროთახიან ბინაში თავს მარტო მოწყენილად არ გრძნობთ? დაქორწინებაზე არ გიფიქრიათ?**

— შეყვარებული კი მყავს, მაგრამ ოჯახის შექმნას ჯერ არ ვაპირებ.

**— საცოლეც გყოლიათ და ხელს რაღა გიშლით?**

— სწავლობს და არ მინდა, ხელი შევუშალო.

**— თუ სახელსა და გვარს არ გვეტყვით, ის მაინც გაგვიმხილეთ, სადაურია.**

— რუსთაველი გოგოა და ამჟამად უცხოეთის ერთ-ერთ ქვეყანაში სწავლობს.

**— რას ფიქრობთ იმ სპორტსმენებზე, რომლებიც თანახმანი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე?**

— ერთადერთი ეროვნული ნაკრები, რომლის რიგებშიც მითამაშია და მომავალშიც ვითამაშებ, ეს არის საქართველო. ისე, უარს არ ვიტყოდი სლოვენიის პასპორტზე, ზუსტად ისეთზე, როგორიც სტეფანიას ჰქონდა, ძალიან დიდი დრო მიაქვს ვიზების გაფორმებას და ამის გამო ხშირად ვზარალდები კიდეც.

**— მერედა ასე ადვილია სლოვენიის პასპორტის აღება?**

— თუ „ოლიმპია" მოისურვებს, ყველაფერი შეიძლება.

**— რას იტყვით თქვენს ძმაზე, ანატოლიზე, რომელიც „აზოტში" თავისი უფროსი ძმის დაწყებულ საქმეს აგრძელებს. ეს ოჯახური ტრადიციის გაგრძელებაა თუ კალათბურთისადმი მისი სიყვარული?**

— ერთიც და მეორეც. მე მხოლოდ ერთს ვუსურვებდი ანატოლი ბოისას — უფრო მეტი წარმატებებისთვის მიეღწიოს, ვიდრე მის ძმას.

**როლანდ ლაგუჩიძე**

---

სლოვენია

# კრკა სლოვენიის ჩემპიონია!

პლეი ოფის ფინალი

(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პივოვარნა | 1 |
| *კრკა* | *3* |

**კრკა 68:65 პივოვარნა**

კრკა: იევტოვიჩი (1), პეტროვი (21), სმოდიში (16), გრუმი (4), დრობნიკი (11), შჩეკიჩი (4), ნაკიჩი (11)

პივოვარნა: იურაკი (4), მილეტიჩი (6), გოლიოვიჩი (20), ჟარკოვიჩი (13), დრაგშიჩი (5), კუნცი (17)

სლოვენიური კალათბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. პირველადაა, რომ ლიუბლიანის „ოლიმპია" ქვეყნის ჩემპიონი ვერ გახდა. ტიტული წლეულს სამთო კურორტ ნოვო მესტოს „კრკამ" მოიპოვა, რომელმაც ფინალის მეოთხე მატჩში შესძლია ლაშკოს „პივოვარნას". ჩემპიონატის მოგებით „კრკამ" სუპერლიგაში თამაშის უფლება მიიღო.



ნოვო მესტოს „კრკა" ჩემპიონობას ზეიმობს

---

საფრანგეთი

# ჯერ მხოლოდ ბრძოლა და არა ომი

პლეი ოფის ფინალი

(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 0 |
| ლიმოჟი | 1 |

**ვილერბანი 74:87 ლიმოჟი**

ვილერბანი: სონკო (9), ლარანიაგა (5), პლუვე (10), სილსი (8), ბლომი (5), მაქსი (14), ლოვერნი (12), ბილბა (21)

ლიმოჟი: დიუმა, ბრაუნი (21), ჰემი (5), ბონატო (18), მეტელი, რუპერი (6), ვილიამსი (21), ფრიგუ (12), ვეისი (4)

„ჩვენი მთავარი ღირსება მოთმინებაა. კალათბურთელებმა მწვრთნელის დავალება პირნათლად შევასრულეთ და მოვიგეთ კიდეც. „ვილერბანმა" ჯერ მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგო და არა მთლიანად ომი" — თქვა ფინალური სერიის პირველი მატჩის შემდეგ „ლიმოჟის" კაპიტანმა იან ბონატომ.

შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს სეზონის მესამე ტიტულისკენ. 21 მაისს „ბობლანის" დარბაზში, მეორე მატჩში, ძალიან გაუჭირდებათ ვილერბანელებს მეტოქის შეჩერება.

როგორი თამაში იყო მოსალოდნელი? რეგულარული სეზონის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, უკიდურესად დაძაბული. შარშან 26 სექტემბერს პირველ წრეში „ლიმოჟმა" მხოლოდ 2 ქულით აჯობა მოწინააღმდეგეს (62:60), 9 იანვარს კი „ვილერბანმა" გაჭირვებით აიღო რევანში (75:74). თუმცა ფინალის პირველი მატჩი გამონაკლისი გამოდგა.

შეხვედრა ორივე გუნდმა ისეთი მჭიდრო დაცვით დაიწყო, კალათბურთელებს ქულების მოგროვება მხოლოდ საჯარიმოებითა და კონტრშეტევებით უხდებოდათ. ამ საქმეში უკეთესად სტუმრები ირჯებოდნენ და მე-10 წუთისთვის 17:12 დაწინაურდნენ. ამის მერე დაახლოებით ხუთი წუთი მხოლოდ „ვილერბანის" დაცვალა მუშაობდა, ლიმოჟელებმა კი საფრანგეთის ნაკრების კაპიტან ბილბასა და პლუვის ვერაფერი მოუხერხეს და აკი მეტოქ[...] წინ გაუშვეს — 20:17.

აქ „ლიმოჟის" ამერიკელმა ლეგიო[...] ნერმა ჰარპერ უილიამსმა აიწყვიტა [...] ზედიზედ რამდენიმე ქულა და შე[...] გიანი პასი მიითვალა. თუმც მისმა გ[...] ნდმა დაწინაურება მაინც ვერ შეძლ[...] ტაიმის დასრულებამდე ორი წუთ[...] ადრე ანგარიში 31:31 იყო. დარჩენ[...] დროში კი სტუმრებმა ექვსი ქულა [...] ღეს, მასპინძლებმა — ერთი. ასე რო[...] შესვენებაზე „ლიმოჟი", რომელსაც [...] ტოქე მხოლოდ ფარიდან ასხლეტი[...] ბურთების დაუფლებაში სჯობდა, [...] თქულიანი მარაგით გავიდა.

მეორე ტაიმი ლარანიაგას ორი ქ[...] ლით დაიწყო, თუმც „ვილერბანის" [...] ნა ხაზის (სონკო, სილსი, ლარანია[...] ნამდვილად შავ დღეში ჩავარდა. [...] წუთში ამ სამეულის ანგარიშზე მხ[...] ლოდ 4 (!) ქულა იყო. სამაგიერო [...] უილიამსს გამოსდიოდა ყველაფერ[...] დიუმაც კარგად ეხმარებოდა და 25 [...] წუთზე კორაჩის თასის მომგებნი [...] ცხრა ქულით დაწინაურდნენ (53:44[...]

სილსმა მორიგი სამქულიანი ტყ[...] რცნა ააცილა (ჯამში მასპინძლებ[...] ასეთი სროლიდან მხოლოდ 1 ჩააგდ[...] ბრაუნმა კი მორიგი სამი ქულა მო[...] ვეჭა და თავისიანები პირველად [...] წინაურა 10 ქულით (56:46). მერე [...] ლშემაკტივრებს ღრიანცელით [...] გამოფხიზლებულმა „ვილერბანმა" [...] ის მცირე მონაკვეთი 6:0 მოიგო, [...] გრამ ბონატომ და მისიანებმა [...] ისევ გაზარდეს ანგარიშში სხვაობა [...] უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვ[...]

„ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ერთა[...] დერთი ბილბა გამოირჩეოდა სხვა[...] გან. ჯერ ყველაფერი არაა დაკარგ[...] ლი, მაგრამ თუ სტუმრადაც ას[...] „ძლიერად" გამოვედით, ჩემპიონო[...] იმედი არ უნდა გვქონდეს" — გან[...] ხადა დამარცხებულთა მთავარმა მ[...] რთნელმა გრეგ ბენიომ.

**გაიოზ თალაქვა[...]**

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს

Tel. 96 56 67

# ლიმოჟს აზია იხსნის?

ჟან-პოლ დე პერეტიმ, რომე- ც ორშაბათს „ლიმოჟის“ აქციონე- ა გენერალურმა ასამბლეამ კლუბის ეზიდენტის პოსტზე დატოვა, სააგე- „ფრანს-პრესს“ განუცხადა, რომ ნდი გადარჩენილია — გაისად პრო ში იქნება და ევროსარბიელზეც გა- ვა.

ფული ვიშოვე . 20 მილიონ ფრანკს კვირაში ჩავრიცხავ ბანკში და 20 ლიონსაც თანდათანობით მოვიზიდავ. მცა ინვესტორების ვინაობას ჯერ- რობით საჯაროდ მაინც ვერ გავა- ლ. ამ დღეებში კი კალათბურთის ოვნული ლიგის თავკაცებს ყველა- რს დაწვრილებით ავუხსნი“ — თქვა პერეტიმ, რომელსაც იმედი აქვს, მ ლიგა თავდაპირველ გადაწყვეტი- ბას შეცვლის და „ლიმოჟს“ საფრა- თის ჩემპიონატში თამაშის უფლე- დართავს.

ფრანგი ჟურნალისტების ცნობით, ეულს კორაჩისა და საფრანგეთის ების მომგებ გუნდს ფულიანი აზი- ები (ქვეყანა დაკონკრეტებული არაა) სყიდიან. თუმცა „ლიმოჟის“ პრეზი- ტი აცხადებს, რომ აზიელები კლუ- ინვესტიციებს კი არ ჩადებენ, არა- ფულს ამ ზაფხულში დაგეგმილი რნეებისთვის გადაიხდიან: „წლეულს ან გაძლიერებული შემადგენლობით ტურნეს გავმართავთ აზიაში. ჩემს ტნიორებს „ლიმოჟის“ აქციების კი , მისი თამაშების ტელევიზიით ჩვე- ს უფლების შესყიდვა სურთ. მათ არხი აქვთ და კალათბურთს დღე- 10 საათის განმავლობაში აჩვენებენ. მა გუნდმა კი ისინი იმით დააინტე- ა, რომ გაჭირვების ჟამსაც კი მშვე- რად თამაშობდა და ბრწყინვალე შე- ებს აღწევდა“. გარდა ამისა, აღნიშ- ლი თანხის სანაცვლოდ ლიმოჟელებს ელწლიურად 10-15 აზიელი ჭაბუკი ათბურთელის სტაჟირებაზე მიწვე- მოუწევთ.

ან-კლოდ პერენი, ლიონელი ბიზნე- ნი, ვისაც „ლიმოჟში“ ფულის და- ება სურდა და ეს 10 მაისს გამა- ულ აქციონერთა საგანგებო სხდო- ე განაცხადა, ორშაბათის შეკრები- პირველი გამოვიდა და ეს თქვა: ტონი დე პერეტისთვის არ მომის- ა, რადგან კლუბის აქციონერი არ და დასწრების უფლება არ მქო- ისე, ლიგის მოთხოვნების დაკმა- ილება გაძნელდება. კლუბს თუ და- რდები, ყველანაირად დავეხმარები“. ბლა „ლიმოჟის“ ბედ-იღბალი უცნო- ზიელებისა და საფრანგეთის კალათ- თის ეროვნული ლიგის ხელშია. ყვე- ერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**გაიოზ თალაქვაძე**



ჟან-პოლ დე პერეტი

### საბერძნეთი

მესამე ადგილისთვის
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1 |
| აეკ | 1 |

აეკ 66:56 ოლიმპიაკოსი

## პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)




ლეიკერსი — ფინიქსი. ლეიკერსელმა შაკილ ონილმა (№34) როდნი როჯერსი მოისროლა

# ჩემპიონის მომგები ჩემპიონთან დამარცხდა?

### დასავლეთი

16 მაისი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 4 |
| ფინიქსი | 1 |

**ლეიკერსი 87:65 ფინიქსი**

ლეიკერსი: ჰარპერი (6), ბრაიანტი (17), რაისი (14), გრინი (2), ონილი (15 ქულა, 21 მოხსნა); ჰორი (8), სილი (7 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (7), ფოქსი (6), შოუ (3), ნაითი (1), ჯორჯი (1)

ფინიქსი: კიდი (8), ჰარდევეი (8), მარიონი (7), რობინსონი (8), ლონგლი (4); დეი (10), როჯერსი (9), ლივინგსტონი (8), ჯონსონი (2), მილერი (1), ბლაუნტი, ბეილი

აქ მოულოდნელი არაფერია. მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა, „ლეიკერსმა“ სულ იოლად დაასრულა მეორე წრეც და დასავლეთ კონფერენციის ფინალში „იუტას“ მძლეველ „პორტლენდს“ შეერკინება. „ლეიკერსი“ ბოლო ათი წლის განმავლობაში მეორედ გავიდა დასავლეთის ფინალში და ორჯერვე შაკილ ონილთან ერთად, თუმცა წლეულს ყველამ უწყის, რომ ფილ ჯეკსონის შეგირდთა ჟინს მხოლოდ ჩემპიონობა თუ ჩააცხრობს. მანამდე „პორტლენდია“, რომელიც ზედიზედ მეორედ გადის ფინალში და ამჯერად არასდიდებით უკან არ დაიხევს. ამ ორ ვეშაპს შორის რომელი იმარჯვებს, ამას ორიოდე კვირის შემდეგ შევიტყობთ, მანამდე კი...

მანამდე „ლეიკერსმა“ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ მძლეველი „ფინიქსი“ შეიწირა გაცილებით იოლად, ვიდრე „საკრამენტო“. „ფინიქსი“ რომ „ლეიკერსის“ დონის გუნდი არ არის, ეს სერიამაც აჩვენა, განსაკუთრებით ბოლო, მეხუთე თამაშმა. მეოთხე შეხვედრაში „სანზმა“ ლოსანჯელესელებს ერთადერთი გამარჯვება დასტყუა, თან საკმაოდ სახელოვანიც. არიზონელებმა რეგულარული სეზონის ჩემპიონებს იმ დღეს 117 ქულა ჩაუგდეს, რაც ამ სეზონში ვერავინ მოახერხა. ცხადია, ამან კალიფორნიელები არათუ შეაშფოთა, არამედ რევანშისთვის განაწყო. დამრიგებელმა ფილ ჯეკსონმაც დატუქსა შეგირდები, თავი უძლეველ გუნდად მოგაქვთ და მეტოქეს ამდენ ქულას როგორ აგდებინებთო. ჰოდა, დაიწყო თუ არა მეხუთე თამაში, „ლეიკერსი“ გამწარებით ეკვეთა მეტოქე გუნდს და უცებ გადაყლაპა. სტუმრები პირველ მეოთხედში ასე თუ ისე უძალიანდებოდნენ გადარეულ მასპინძლებს, საწყისი პერიოდიც მხოლოდ შვიდი ქულის სხვაობით 14:21 დათმეს. აი, მეორე მეოთხედში კი მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, ბურთებიც მხოლოდ ერთ კალათში ცვიოდა. „ლეიკერსმა“ კიდევ უფრო გაამკაცრა დაცვა. მასპინძლებმა საფუძვლიანად ამოკეტეს „ფინქსის“ სამივე ლიდერი — ჯეისონ კიდი, ანფერნი ჰარდევეი და კლიფ რობინსონი. მათაც, თითქოს შეთანხმებულები არიანო, საბოლოოდ რვა-რვა ქულით დაამთავრეს ეს ავადსახსენებელი თამაში. აღსანიშნავია, რომ სტუმართაგან იმ დღეს მხოლოდ ტოდ დეიმ გააკეთა ათი ქულა, ისიც ალბათ იმიტომ, რომ იგი თავის გუნდში ერთ-ერთი ყველაზე უხეირო მოთამაშეა და მასზე განსაკუთრებულად მკაცრი მეურვეობისთვის თავი არავის შეუწუხებია.

„ფინიქსი“ მთელი მეოთხედი ამაოდ ცდილობდა, თამაშიდან ბურთი ჩაეგდო. ბოლოსღა მოახერხა და ორჯერ იხეირა (17 ცდიდან). სტუმრებს თორმეტწუთეულში სულ რაღაც ცხრა, პირველ ტაიმში კი 23 ქულა მოუგროვდათ, რაც პლეი ოფების ისტორიაში ანტირეკორდია და მას ალბათ კარგა ხნის განმავლობაში ვერავინ გააუმჯობესებს (გააუარესებს).

ტაიმი „ლეიკერსმა“ 26 ქულის სხვაობით მოიგო — 49:23. ეს დასასრულის დასაწყისი იყო. მეორე ნახევარში მასპინძლებმა უკვე „გახედნილ“ „ფინიქსს“ სადავეები მოუშვეს, თუმც მესამე მეოთხედის ბოლოს შაკილ ონილმა ახალბედა შონ მარიონს ისე დაუფარა, თითქოს ამით თამაშის ბედი წყდებოდა. უფრო სწორად, ონილმა მარიონს ჩაარტყა, თან იმდენად ძლიერად, რომ ეს უკანასკნელი ჰაერში ატრიალდა და იატაკს დაენარცხა. მარიონი ბარკლი არაა. ონილს, ამ 145-კილოგრამიან და 216-სანტიმეტრიან გიგანტს, ვერაფერი შეჰბედა და მასაც შერჩა ზღვარსგადასული უხეშობა.

თავად ონილი იმ დღეს არ ბრწყინავდა. სულ 15 ქულას გამორჩა „ფინიქსს“, რაც მიმდინარე პლეი ოფში მისთვის უარესი მაჩვენებელია. „ჩვენ მძლავრი დაცვა ვითამაშეთ, მეტოქეს ჩვენი ნება მოვახვიეთ თავს და მთელი მატჩის განმავლობაში არ დაგვიკარგავს უპირატესობა. პირადად მე არც ისე კარგად გამოვიყურებოდი, მაგრამ თანაგუნდელები წამომეშველნენ და ამან გუნდზე გავლენა არ იქონია“ — ონილმა მისთვის უჩვეულო თავმდაბლობა გამოიჩინა. სხვა აზრისაა მწვრთნელი ფილ ჯეკსონი: „მე არ ვფიქრობ, რომ მან თამაში ჩააგდო. შაკილი მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდა მოედანზე, აკონტროლებდა ორივე ფარს, ძლიერი იყო დაცვაში. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მას მუხლი აქვს ნატკენი.“

მიუხედავად სოლიდური სხვაობით მარცხისა და, საერთოდ, შეგირდთა ცუდი თამაშისა, „ფინიქსის“ მწვრთნელი სკოტ სკაილზი სულაც არაა ცუდ გუნებაზე. იგი ბედს შერიგებია. ცხადია, მან მშვენივრად უწყის, რომ მისი ბიჭები საბოლოოდ „ლეიკერსის“ მომრევები ვერ იყვნენ. „განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩვენ ამ პლეი ოფში ურიგოდ არ გვითამაშია. მოვუგეთ ჩემპიონს და წავაგეთ მომავალ ჩემპიონთან.“

| | |
|---|---|
| პორტლენდი | 4 |
| იუტა | 1 |

**პორტლენდი 81:79 იუტა**

პორტლენდი: სტუდემაიერი (8), სმიტი (10), პიპენი (23 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ვოლესი (11), საბონისი (16); გრანტი (6), შიმპფი (5), ენტონი (2), ველსი, ოგმონი

იუტა: სტოქტონი (6), ჰორნაჩეკი (10), რასელი (18), მელოუნი (27 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), პოლინაისი (8); ეისლი (4), გილიამი (4), ლუისი (2), ვონი, პადჯეტი

„იუტა ჯაზმა“ „პორტლენდთან“ სერიის მეხუთე თამაში სტუმრად წააგო. ამით „იუტასთვის“ მორიგი სეზონი, გუნდის 36 წლის ვეტერან ჯეფ ჰორნაჩეკისთვის კი კარიერა დასრულდა. ჰორნაჩეკს, „ჯაზისგან“ განსხვავებით, ბოლო აკორდი არცთუ რიგიანი გამოუვიდა. „მე იმაზე არც ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი ბოლო თამაში იყო. უბრალოდ, გამოვედი მოედანზე და ჩემი თამაში ვითამაშე. სამწუხაროდ, გუნდს ვერაფრით დავეხმარე“. ასეა, ჰორნაჩეკს თამაში არ წაუვიდა. სამაგიეროდ, თავის სტიქიაში იყო პორტლენდელი სკოტი პიპენი, რომელიც ყველგან იყო და ყველაფერს აკეთებდა. მანვე ჩააგდო მისი გუნდისთვის გამარჯვების მომტანი სამქულიანი. პიპენი ყველა შეხვედრას ასეთ დონეზე რომ ატარებდეს, „პორტლენდის“ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მისდა სამწუხაროდ, მას თამაშების ჩაგდება „უყვარს“, თან არცთუ იშვიათად.

მეტად დრამატული გამოდგა მატჩის ფინალი. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე პიპენი მძიმე დღეში აღმოჩნდა. იგი ნოკდაუნში ჩააგდო... თანაგუნდელმა, არვიდას საბონისმა, ცხადია, შემთხვევით, როცა მეტოქე გუნდის მოთამაშეებს ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ეჭიდავებოდნენ. მასპინძელთა ბედად, პიპენი მალევე მოვიდა გონს, თამაშს დაუბრუნდა და მოიგო კიდეც. ცხრა წამიღა რჩებოდა, როცა იუტელი ბრაიან რასელი სამქულიან ხაზთან პიპენის პირისპირ აღმოჩნდა. პიპენმა ისარგებლა რასელის ნაადრევი ნახტომით და სამქულიანით „პორტლენდი“ 80:79 დააწინაურა. ეგ ცუდი მსროლელია შორიდან და ამიტომ შედარებით მოვადუნე ყურადღება — შემდგომ თავს იმართლებდა რასელი. ასეც იყო. მანამდე სკოტის ექვსი ცდიდან მხოლოდ ერთხელ მოეხერხებინა შორი მანძილიდან „იუტას“ კალათის დალაშქვრა, მაგრამ გარისკა და არც წაუგია.

„იუტას“ მატჩის სახსნელად შვიდი წამი კიდევ რჩებოდა და მოგების შანსიც მიეცა. სტუმრებმა ბურთი შეიტანეს თამაშში, ჯონ სტოქტონი ფარქვეშ შეიჭრა და იქვე მდგარ რასელს მისცა პასი. რასელი სასროლად ახტა და ამ დროს პიპენი მასზე დაჯარიმდა. მას შეეძლო, თავისი გუნდი ეხსნა პლეი ოფიდან ნადრევი გავარდნისგან, მაგრამ თავისიანები დაალალატა, სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, ორივე საჯარიმო ააცილა და მატჩის ანტიგმირად იქცა. მისი მეორე აცილებული ისევ პიპენმა მოხსნა და სტუმრებმაც არ დააყოვნეს, იაშინვე დაჯარიმდნენ. იმანაც ერთი საჯარიმო ჩააგდო და მატჩს და მთლიანად სერიას წერტილი დაუსვა. „პორტლენდმა“ ზედიზედ მეორედ გადაუჭრა „იუტას“ ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა.

**ირაკლი ფირაშვილი**




პორტლენდი — იუტა. პორტლენდელი დეიმონ სტუდემაიერი (ბურთით) და ჯონ სტოქტონი

# ფული არის ჯანმრთელობა აღარ

გიორგი ვაზაგაშვილი მართლაც არ იჭიდავებს ვროცლავში, სადაც დღეს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, ოღონდ მისი ამასწინანდელი მუქარა, თუ დეპარტამენტი მიულებელ ხელფას-პრემიებს არ მომცემს, პოლონეთში არ წავალო, არაფერ შუაშია. როგორც სპორტსმენმა გვითხრა, დეპარტამენტმა მასაც, ხერგიანსაც და რევაზიშვილსაც ვალები სრულად გაუსტუმრა, ევროპის ჩემპიონატზე მისი წაუსვლელობა კი ავადმყოფობის ბრალი ყოფილა. სერიოზული არაფერია, ერთ-ორ კვირაში გამოვჯანმრთელდებიო, დაგვაიმედა გიორგიმ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა პოლონეთში ნესტორ ხერგიანი (60), დავით მარგოშვილი (66), გიორგი რევაზიშვილი (73), ჯონდო მუზაშვილი (81), გიორგი გუგავა (90), ივერი ჯიქურაული (100), რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე) და ალექსი დავითაშვილი (აბსოლუტური) წაიყვანა.

ამ ჩემპიონატს ყველა სიდნეის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს. ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაშიც დაეხმარება — ვროცლავიდან დაბრუნებული, ალბათ, ოლიმპიური გუნდის მძიმეწონოსან წევრს დაასახელებს (სხვები უკვე ცნობილია). ოლიმპიადაზე აბსოლუტურ წონაში მედლები არ თამაშდება. ამდენად, მწვრთნელმა ჩოჩიშვილსა და დავითაშვილს შორის არჩევანი უნდა გააკეთოს. სალიცენზიო ტურნირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამი საუკეთესო შედეგის ჯამი მათ თანაბარი აქვთ, თუმცა ყველა შეჯიბრის საერთო მაჩვენებლებით ჩოჩიშვილი ხუთი ქულით უსწრებს მეტოქეს.

ირაკლი თავაძე





იან ტორპი

# კაშკაშებენ ვარსკვლავები ხუთ დღეში ხუთი მსოფლიოს რეკორდი

ავსტრალიაში გახურებულ მოცურავეთა ეროვნულ ჩემპიონატში ერთმანეთს ეპაექრებიან სიდნეის ოლიმპიადაზე ნაკრებში მოხვედრის მსურველები. შეიძლება ითქვას, რომ ზოგმა მათგანმა გეგმა გადაჭარბებითაც შეასრულა, რადგან ასპარეზობის პირველივე სამ დღეში ოთხი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა, გუშინ მეხუთე დღეს კი კიდევ ერთი ასეთი მიღწევა აღინიშნა, რაც ეროვნული პირველობისთვის საკმაოდ კარგი შედეგია. ისიც აღსანიშნავია, რომ მწვანე კონტინენტის სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები მსოფლიოში უძლიერესნი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესონი მაინც არიან. ერთ-ერთი იმიტომ, რომ ასეთი სახელისთვის ოზებს ისტორიულ მეტოქესთან - ამერიკელ მოცურავეებთან ბრძოლა უწევთ. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს ამერიკის ნაკრების მწვრთნელის დენის პერსლის ინტერესი ავსტრალიელთა ასპარეზობის მიმართ, იგი ჩემპიონატს მეტოქეების დაზვერვის მიზნით ესწრება.

შეჯიბრებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიბრწყინა იან ტორპმა. მან თავისივე მსოფლიოს რეკორდებს შეუტია. ასპარეზობის პირველ დღეს 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შარშან აგვისტოში წყნარი ოკეანის თამაშებზე დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (3.41,83) ნახევარი წამი ჩამოაჭრა (3.41,33) და გამარჯვებულიც შეიქნა.

— გაოცებული ვარ ასეთი შედეგით. ჩემი მთავარი საზრუნავი გახლდათ არა მსოფლიოს რეკორდის დამყარება, არამედ ოლიმპიური თამაშებისთვის საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა — განაცხადა ტორპმა.

ტორპმა მეორე დღეც წარმატებით დაიწყო. მან 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ნახევარფინალური გაცურვისას იმავე წყნარი ოკეანის თამაშებზე დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს 0,31 წამი ჩამოაკლო — 1.45,69. თუმცა, 24 საათში ესეც გააუმჯობესა, როდესაც ფინალურ გაცურვაში 1.45,51 აჩვენა. ამ შედეგებით იგი ოლიმპიური თამაშების აშკარა ფავორიტი გახდა.

17 წლის ტორპის შემყურე ავსტრალიელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი დონ ტელბოტი, რომელიც თავისი შეგირდების შექებისას ყოველთვის სიტყვაძუნწად ითვლება, აღიარებს, რომ მის წინაშე ქედს იხრის.

— იგი საოცარი ბიჭია. ამაზე მეტს მის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ყოველ ღამე, დაძინებამდე, ღმერთს ვევედრები, გთხოვ, რომ ტორპი ოლიმპიადისთვის ფორმაში იყოს-მეთქი — თქვა ტელბოტმა.

ტრიბუნიდან მაცქერალი ამერიკელთა ნაკრების მწვრთნელისთვის ტორპის ასეთი შედეგები მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ალბათ, იმიტომ, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშები ამ ავსტრალიელისთვის პირველი უნდა იყოს და ნაკრებში მოხვედრის სურვილით საცურაო ბილიკებს ორმაგი ენერგიით შეუტია.

— სულაც არ გამკვირვებია ამ სამი დღის განმავლობაში თავისივე მსოფლიოს რეკორდებს რომ აუმჯობესებდა. ის მანამდეც კარგ ფორმაში იყო, თუმცა, შესარჩევი ტურნირი და ოლიმპიადა განსაკუთრებულია — თქვა პერსლიმ.

ასპარეზობა იღბლიანი გამოდგა ჯეფ ჰიუგელისთვისაც. მან 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, 1996 წლის აგვისტოში რუსი დენის პანკრატოვის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (23,68) დაამხო — 23,60.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა, ავსტრალიის პირველობა სხვა მხრივაც საინტერესოა. აქ თავი გამოიჩინა 14 წლის ლეისელ ჯოუნსმა, რომელმაც 100 მეტრზე ბრასით ფინალურ გაცურვაში გამარჯვება მოიპოვა და სიდნეი 2000-ზე მონაწილეობაც დაიბევა.

საინტერესოა, რომ ჯოუნსი 24-წლიანი პაუზის მერე ყველაზე ახალგაზრდა ავსტრალიელი სპორტსმენია, რომელიც ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა.

— გაოცებული ვარ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ 14 წლისა ოლიმპიურ გუნდში მოვხვდებოდი. ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. თუმცა, მინდოდა ჩემი საუკეთესო თვისებებიც მეჩვენებინა — თქვა ჯოუნსმა.

— იგი სცენის ახალბედაა. ის ისაა, ვისაც უნდა უყუროთ ოლიმპიადაზე — განაცხადა პერსლიმ, რომელიც სიდნეის საწყლოსნო ცენტრის ზედა ტრიბუნაზე ვიდეოკამერით მოკალათებული თვალს არ აშორებდა ჯოუნს.

უნდა გამოვარჩიოთ 26 წლის სუზან ონილის გამოსვლაც. მართალია, მან თავდაპირველად მსოფლიოს არა, მაგრამ თავისებური რეკორდი მაინც დაამყარა. საქმე ეხება ეროვნულ ჩემპიონატებზე გამარჯვებულის ტიტულების რეკორდულ რაოდენობას.

ონილმა ასეთ წარმატებას მიაღწია მაშინ, როდესაც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონობა მოიპოვა და ამგვარ ტიტულთა რაოდენობა 34-მდე გაზარდა, რითაც 1908-1924 წლებში ფრენკ ბიურეპარის 33 გზის ჩემპიონობას ერთით გადააჭარბა.

— ეს მნიშვნელოვანია ჩემთვის. ამგვარი წარმატება სპორტში მარადიულობას ნიშნავს. ეს ისაა, რის მოპოვებასაც ვცდილობდი — თქვა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სუზან ონილმა, მაგრამ იგი ამას არ დასჯერდა. გუშინ მან 19 წლის წინანდელი მარი ტი მიგერის მსოფლიოს რეკორდი (2.05,96) 0,15 წამით გააუმჯობესა — 2.05,81.

გიგა გურასაშვილი



ლეისელ ჯოუნსი

Perla პერლა

პ ე რ ლ ა

Perla პერლა

მარგალიტების მაღაზია







კოსტავას 47



მარიო ჩიპოლინის (მარჯვნივ) უწესობა არ აპატიეს და გამარჯვება იან სვორადას არგუნეს

# ...მარიო მხარგრძელი

„მარიომ ხელი შემიშალა. ნებსით თუ უნებლიეთ, ძნელი სათქმელია. ის იმდენად ძლიერია, რომ გამარჯვება ისედაც თავისუფლად შეუძლია“ — ...ა იან სვორადამ (ლამპრე), რომე...ც მეორე ეტაპი მესამე ადგილზე ...სრულა, მარიო ჩიპოლინის დისკ...იფიკაციის შემდეგ კი ეტაპის გა...ჯვებულად გამოცხადდა.

...ურნირის კომისრების ჟიურიმ ჩა...ლა, რომ ჩიპოლინიმ (საეკო) ფინა...რ სპრინტში თავისი ხაზი დატოვა ...სვორადას ფინიშისკენ გზა კორპუ... გადაუკეტა. ეს კი წესებით აკრძა...ლია და გამარჯვებაც ჩეხს მიაკუთვნეს. ეს მისთვის მეათე მოგებაა სამ უმთავრესველოტურნირში, თუმცა პირველია 1998 წლის შემდეგ.

არადა, ჩიპოლინი თანაგუნდელებმა იდეალურად გამოაქანეს და წარმატებამდე ერთი ნაბიჯიღა იყო. თუმცა მეხუთე პოზიციაზე მყოფმა სვორადამ ბოლო 200 მეტრზე ძალიან ივაჟკაცა და რომ არა ჩიპოს ხაზიდან გადახვევა, ალბათ, გაასწრებდა კიდეც. იტალიელმა, მეტად მკაცრიაო, სასჯელზე თქვა და დაამატა, რომ არაკორექტული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ტელევიზიით სულ სხვა რამ ჩანდა. პელოტონში სუპერმარიოს ყველაზე წესიერი მრბოლის სახელი აქვს და ასეთი რამ ძალიან იშვიათად ემართება. საინტერესო დამთხვევაა — მას 1995 წლის „ჯიროს“ დროსაც იმავე მიზეზით ჩამოერთვა ერთ-ერთი ეტაპის გამარჯვება და თან... იან სვორადას სასარგებლოდ.

მანამდე კი მრბოლებმა პაესტუმსა და სკალეას შორის 174-კილომეტრიანი მძიმე გზა განვლეს, რომლის მანძილზეც კარგა ხანს შხაპუნა წვიმაც ასველებდათ. მთავარი შეტევა 53-ე კილომეტრზე წამოიწყეს იტალიელებმა ანდრია ფერიგატომ (ფასა ბორტოლო) და პაოლო ვალოტიმ (მობილვეტა). ორი ლტოლვილი ნელ-ნელა ზრდიდა უპირატესობას და ოთხ წუთსაც უგებდა პელოტონს, რომელმაც მათზე ნადირობა ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე დაიწყო. მთავარმა ჯგუფმა სიჩქარეს ივან გოტის (პოლტი) თანაგუნდელების ძალისხმევის ხარჯზე მოუმატა და ხუთიოდ კილომეტრის შემდეგ სხვაობა მოწინავე დუეტთან 2 წუთსა და 25 წამამდე შემცირდა.

ფერიგატომ და ვალოტიმ ეტაპის ბოლო აღმართს მაინც ლიდერებად უწიეს, მაგრამ პელოტონმა მალევე ჩაყლაპა ისინი. ამის მერე რბოლას სათავეში ექვსკაციანი ჯგუფი მოექცა, რომელიც მალე რვამდე გაიზარდა. მათი ლიდერი ბელგიის ჩემპიონი ლუდო დირქსენი (ლამპრე) იყო, ვინც ამაოდ ცდილობდა, კომპანიონები აეჩქარებინა. ჩიპოლინის გუნდის — „საეკოს“ წევრების წყალობით პელოტონი დაწინაურებულებს სკალეამდე ხუთიოდ კილომეტრით ადრე წამოეწია.

მერე კი იყო ფინალური სპრინტისთვის მზადება, ჩიპოს პირველობა და სვორადას გამარჯვება.

„ჩიპოლინიმ მარცხნიდან შემავიწროვა, არადა, მას საკმარისი ადგილი ჰქონდა სპრინტისთვის. შედეგად სიჩქარე დავკარგე და ფინიშზე მან მიმასწრო“ — თქვა 31 წლის ჩეხმა.

საერთო ჩათვლაში კი ლიდერობა იტალიელმა კრისტიან მორენიმ (ლიკიგასი) შეინარჩუნა, რომელსაც ეტაპის მეოთხეადგილოსანი იტალიელი მატეო ტოსატო (ფასა ბორტოლო) ერთ წამამდე წამოეწია.

მეოთხე ეტაპი გუშინ გაიმართა სკალეასა და მატერას შორის (227 კმ) და მის შესახებ ხვალ გიამბობთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ...ანიბალი: მეკობრეს ...ალიან გაუჭირდება



საკმაოდ მოსუქებული ედი მერქსი უველოსიპედოდ მაინც ვერ ძლებს

*...როს“ სტარტს ედი მერქსიც დაესწრო. ...ოსპორტის ისტორიაში ყველაზე დიდი ჩემპიონი ...მის პაპმა იოანე პავლე მეორემაც მიიღო. შემდეგ ...ნიბალი“ თავის მეუღლე კლოდინთან ერთად ...ნდა პეტრეს მოედანზე დაესწრო პროლოგის ...იშს და ვაჟ აქსელთან, რომელიც იტალიური ...ეის“ ღირსებას იცავს „ჯიროზე“, ოჯახური ფოტო ...აიღო. ბოლოს „ჯიროსა“ და „ტურ დე ფრანსის“ ...გზის მომგებმა მერქსმა ჟურნალისტებისთვისაც ...ცალა და წლევანდელ ტურნირზე და მარკო ...ტანიზეც თქვა ორიოდ სიტყვა:*

**— რას უნდა ველოდოთ მარკო ...ტანისგან, რომელიც დიდი ხნის ...ის შემდეგ დაუბრუნდა რბო...ს?**

— შარშანდელი „ჯიროს“ შემდეგ ...მხოლოდ ორი დღე ირბოლა. ორი ...ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცო... ვარჯიშები ვერაფრით შეცვლის ...ბრებებს. ჩემი აზრით, პანტანის ...ან გაუჭირდება.

**— ...შეძლებს თუ არა იგი „ჯიროს“ ...ნავე ათეულში დამთავრებას ანდა ...დაც ერთი ეტაპის მოგებას?**

— საუკეთესო ათეულში კი არა, ...ოცეულში ვერ შევა. ერთ-ერთი ...ის მოგება კი უფრო რეალურად ...ბა. ამის გაკეთებას, ალბათ, ტურ...ს ბოლო დღეებში შეეცდება, რო...მე მთიან ეტაპზე. თუმც ყველა... „ჯიროს“ პირველ ნაწილზე იქ... დამოკიდებული. ვნახოთ, რამდე... კარგად ჩაატარებს ის საწყის ეტა...

**— ...ყველაზე მეტად რისი უნდა ეშინოდეს პანტანის?**

— ყველაზე მთავარი რისკი ისაა, რომ შეიძლება პელოტონი ძალიან სწრაფად დაიძრას და მის მისაყოლად „მეკობრეს“ დიდი ძალა დაეხარჯოს. „ტურ დე ფრანსისგან“ განსხვავებით, აქ თავიდანვე ბევრი მთაა დასაძლევი. ამიტომაც გარკვეული საფრთხე ტურნირის მიტოვებისა პანტანისთვის არსებობს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ფსიქოლოგიურად მისთვის ძალიან მძიმე დარტყმა იქნება.

**— რამდენად გამართლებული იყო მისი გადაწყვეტილება „ჯიროში“ მონაწილეობის თაობაზე?**

— ჩემის აზრით, ეს სავსებით სწორი გადაწყვეტილებაა. მისთვის მთავარია „ჯირო“ დაამთავროს და „ტურ დე ფრანსისთვის“ ფორმაში იყოს. ძალიან კარგია, რომ იგი აქაა.

**— შეიძლება მარკო პანტანიმ „ტურზე“ გაიმარჯვოს?**

— თუ „ჯიროს“ დაამთავრებს, „ტურზე“ კარგი შანსები ექნება. თუმც ამაზე საუბარი ჯერ მაინც ნაადრევია.

**— რას ფიქრობთ, აქ საბოლოო გამარჯვების მთავარი კანდიდატები ვინ არიან?**

— ბრძოლა მეტად დაძაბული იქნება. ფავორიტებს ყველა იცნობს, მათ უკვე არაერთხელ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე იტალიაში. ივან გოტი, პაოლო სავოლდელი, პაველ ტონკოვი... თუმც ალმავლობის გზაზე მდგომი რომელიმე ახალგაზრდა მრბოლისგან სიურპრიზსაც უნდა ველოდოთ. მაგალითად, დანილოდი ლუკასგან. მას ძალიან კარგი მონაცემები აქვს და თან ახლა მშვენიერ ფორმაშიცაა.

**— მათზე, ვინც „ტურის“ მოგებაზე ოცნებობენ და იტალიაში არ ჩამოვიდნენ, რას იტყვით?**

— აქ მყოფნი სწორად მოიქცნენ. მე ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ვინც ასეთი მნიშვნელობის ტურნირებს აცდენს, ძალიან ცდება.

**თარგმნა გაგი გურულმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## PLAY OFF
### ნახევარფინალი



ნიუჯერსელი ერიკ დეჟარდენის ამ გოლს ფილადელფიელებმა ორით უპასუხეს

# ნუ იქნებით სულგრძელნი!

აღმოსავლეთი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 1:1**

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 4:3**

1:1 1:2 2:0

1:0 ტოკეტი 1'38 (2); 1:1 გომესი 13'23 (4); 1:2 არნოტი 22'51 (3); 1:3 ელიაში 34'50 (4); 2:3 დეჟარდენი 39'21 (2); 3:3 ტოკეტი 41'06 (3); 4:3 ლენგკოუ 41'58 (5)

მაინც რა არის ნჰლ-ის ჰოკეი, სპორტული შეჯიბრება თუ კარგად ჩაფიქრებული და დაგეგმილი შოუ? ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მეორე მოსაზრება რომ უფრო მართებულად ჩავთვალოთ, მაინც ვერ ვუარყოფთ ერთ ფაქტს — ერთობ დრამატულ და ჩახლართულ სიუჟეტიან სპექტაკლს, რომელშიც მსახიობები (ჰოკეისტები) ასე ოსტატურად ასრულებენ თავიანთ როლებს, ადამიანი გულგრილად ვერ შეხედავს. იგი ერთობ მომხიბლავი და საინტერესოა.

გუშინწინ ფილადელფიურ არენაზე მისული მაყურებელი, ალბათ, ვერაფრით იფიქრებდა, რომ მეორე პერიოდის მიწურულს სასწაული მოხდებოდა. საქმე ის კი არ არის, რომ ნიუ ჯერსი 3:1 იგებდა. მთავარია, როგორ ახერხებდა ამას. არადა, წინა მატჩისგან განსხვავებით, შეხვედრის დასაწყისში იღბალი მასპინძელთა მხარეს იყო და მათი პირველივე მწვავე შეტევა გოლით დაგვირგვინდა. შორეული დარტყმის შემდეგ მარტინ ბროდომ შაიბა ვერ დაიმორჩილა და დამატებაზე რიკ ტოკეტმა ივარგა. მაგრამ რაც მომდევნო 37 წუთში მოხდა, მას შეიძლება ნიუ ჯერსის მიერ ჩატარებული სანიმუშო გაკვეთილი ვუწოდოთ. გოლის გაშვებამ სრულებითაც არ დააბნია სტუმრები. მათ თამაში ჩვეულ სტილში წარმართეს და მალე ინიციატივაც იგდეს ხელთ. თავიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფილადელფიამ თვითონ დათმო პოზიციები, მაგრამ, როგორც მერე გაირკვა, სულაც არ ყოფილა ასე საქმე. უბრალოდ, მასპინძლებს არაფერი გამოსდიოდათ, მეტოქეს კი ყველაფერი. „ეშმაკებს“ პირველ პერიოდში შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მხოლოდ ერთი შაიბა იკმარეს. აშკარად ჩანდა, რომ ნიუ ჯერსი უფრო თანაბარძალოვანი გუნდია. მისი ოთხივე სამეული ქმნიდა საფრთხეს. ამასთანავე სტუმრები უფრო გააზრებულად და გონივრულად თამაშობდნენ. მეორე პერიოდში მთლად აბუჩად აიგდეს ფილადელფია. ისინი ჯესონ არნოტის უძლიერესი დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ, ამის შემდეგ კი ისე გათამამდნენ, ლამაზი, კომბინაციური, დახვეწილი ჰოკეი გააჩაღეს (რაც არც ისე სჩვევიათ) და მხოლოდ მათი სულგრძელობით თუ აიხსნება, რომ ამ მონაკვეთში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. ისე, პატრიკ ელიაშის შაიბამ მართლაც იდეალურად გამოხატა ის, რაც ყინულზე ხდებოდა. როგორც კი ფილადელფიამ (ვინ იცის მერამდენედ) მეტოქეს ორი ერთზე გასვლის საშუალება მისცა, ჩეხმა ფორვარდმა ოსტატურად დაიბრიყვა მცველი და არცთუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმით ბრაიან ბუშეს ფეხებს შორის გაუძვრინა შაიბა. ამის მერე ფილადელფიამ რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენა და პერიოდიც დასასრულს მიუახლოვდა. მასპინძლები ამ მატჩში და მთელ სერიაში დასამარების საფრთხის წინაშე დადგნენ. უცებ თითქოს უიმედო ვითარებაში ბორტთან მყოფმა ვეტერანმა რიკ ტოკეტმა, რომელსაც პარტნიორები არასდროს გაუნებივრებია პასებით, ისეთი სიზუსტით გადააწოდა შაიბა ერიკ დეჟარდენს, რომ მას ცარიელ კუთხეში დარტყმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. სულ მალე გუნდები დასასვენებლად გავიდნენ.

დაიწყო მესამე პირიოდი და გაგრძელდა ნიუჯერსელთათვის კოშმარი. ჯერ კეიტ პრიმომ ზუსტი პასით ტოკეტი ახეირა, შემდეგ კი ბროდოს კარში კურიოზული გოლი გავიდა. ბროდომ დეიმონ ლენგკოუს დარტყმა მოიგერია, მაგრამ კარისკენ გასრიალებულმა ტოკეტმა ოდნავ ჰკრა ხელი მცველს, კოლინ უაიტს და მისი მკერდიდან ასხლეტილი შაიბა ბადეში შეგორდა. თავიდან გოლი ტოკეტს ჩაეწერა და მაყურებლებმა ფორვარდის ჰეთ თრიქის აღსანიშნავად ყინულზე ქუდები ისროლეს, თუმც მერე მსაჯები გაერკვნენ სიტუაციაში და იგი ლენგკოუს ჩაუთვალეს. ასე რომ, ნიუ ჯერსიმ ორ წუთში გაფლანგა ყველაფერი, რაც ასეთი მონდომებით დაიმსახურა. თუმც სტუმრებს ხელი არ ჩაუქნევიათ, ცოტა ხანში კვლავ იგდეს ხელთ უპირატესობა, მაგრამ მწვრთნელმა კრეიგ რამსეიმ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, ფილადელფიელებმა უკან დაიხიეს და მეტოქის ყველა შეტევა მშვიდად უკუაგდეს.

**სამველ ლარიბიანი**

საქართველოს კრივის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა მოლდოვის ორგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი, გიორგი კანდელაკისა და მრავალი ცნობილი მოკრივის აღმზრდელი

**გიორგი კარელიძე**


## იყიდება

ერთოთახიანი იზოლირებული ბინა 3 (8).
ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან აქვს გრძელი აივანი (VI კვ.)
ტელეფონი 30-75-81

# ტინში

REUTERS ტინიდან



*ნახევარ საფრანგეთის ნაკრებს სამთო კურორტ ტინში მოუყრია თავი და ვარჯიშ-ვარჯიშით ელის მეორე ნახევარს, რათა ხუთდღიან შეკრებაზე კიდევ ერთხელ მოემზადოს მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის.*

*მეკარე ფაბიენ ბარტეზი ადრევე ჩასულა, ბუნების წიაღში გავლა-გამოვლა მიყვარს, შეკრებებზე ჩემი „ლევი“ ეს არისო...*

## საფრანგეთის თასი ნახევარფინალი

ოლბორგი 2:1 აკადემისკი (1:1)

## ინგლისი

პლეი ოფი

I დივიზიონი. II მატჩი

იფსვიჩი 5:3დ.დ. (3:3) ბოლტონი (2:2)

0:1 ჰოლდსუორსი (6), 1:1 მეჯილტონი (18), 1:2 ჰოლდსუორსი (49), 2:2 მეჯილტონი (49), 2:3 ჯონსტონი (50), 3:3 მეჯილტონი (90), 4:3 კლაფამი (953), 5:3 როიზერი (10

II დივიზიონი. II მატჩები

ჯილინგემი 3:0დ.დ. (1:0) სტოკი (2:3)

უიგანი 1:0 მილუოლი (0:0)

III დივიზიონი. II მატჩები

დარლინგტონი 1:0 ჰარტლპული (2:0

პიტერბრო 3:0 ბარნეტი (2:1)

REUTERS დე პანიდან



# რობერ ვასეჟის სპორტები

*ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რობერ ვასეჟი ის კაცია, ვისაც მიაჩნია: ფეხბურთი არა მხოლოდ ფეხბურთით არსებობს, არამედ სხვა თამაშობებითაც. ხუთდღიან შეკრებაზე ბელგიელები არა მხოლოდ ფეხბურთს თამაშობენ, არამედ კალათბურთსაც ეწაფებიან. ამ მხრივ, ვასეჟი ეხმიანება ძველი დროის განთქმულ ბრაზილიელ მწვრთნელ ჟოაო სალდანიას, რომელიც ამბობდა, ფეხბურთელმა ჯერ კალათბურთის თამაში უნდა იცოდეს და ფეხბურთში მერე გაიქაჩოსო.*



# ნუხელ ნუნიესი გადადგ

„ბარსელონას“ პრეზიდენტმა, 68 წლის ლუის ნუნიესმა, თანამდებო ბაზე 22-წლიანი ყოფნის შემდეგ დირექტორთა საბჭოს თავისი გადადგო გამოუცხადა. კლუბის პრეს-მდივნის განცხადებით, მის შემცვლელს ი ლისში დანიშნული არჩევნების შემდეგ დაასახელებენ. ყველაზე სავარ უდო კანდიდატად კატალონიაში დღევანდელი ვიცე-პრეზიდენტი, ხუ გასპარი (მარჯვნივ) ეგულებათ, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, რო სერიოზულად ფიქრობს კლუბის გაძღოლაზე.

# ზეპირი სიდნეი

*კანადელ მხატვარ ქალს თავისი სახელი და გვარი დავიწყებისთვის გაუმეტებია და ყველას „სოლას“ ფსევდონიმით აცნობს თავს. სოლას გადაუწყვეტია უკვდავყოს ოლიმპიური თამაშები და აგე, რამოდენა გობელენს შედგომია. სიდნეის ხედი ისეთია, მის მეხსიერებაში რომ დარჩენილა ფოტოების თვალიერებაზე მხატვარი უარს აცხადებს. ეს კი გამოუთვლია ნამუშევრის გასრულებას 2 500 საათი დასჭირდებათ.*

REUTERS სიდნეიდან



# მონტოია ცუდ ამინდში



*კარტის ავტორბოლის კოლუმბიელი ჩემპიონი ხუან მონტოია გაპ ფორმულა I-ის „უილიამსის“ გუნდში მიუჯდება საჭეს. ინდიან წამხდარმა ამინდმა იქაურ ტრასაზე ვარჯიში შეაწყვეტინა ხუანს. ეხე იყოს და, თუ გვერდით ისეთი მიჯნური გყავს, ნატალია ცურხერი რო ვარჯიშს დასვენება გირჩევ*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 2
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge